# საქართველოს რესპუბლიკა

შაბათი, 5 მარტი, 2005 წელი. №52 (5085) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



◎ პრეზიდენტი

## შეხვედრები იტალიაში

**გუშინ საღამოს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის შეხვედრა.**

მანამდე საქართველოს პრეზიდენტმა იტალიის სენატში გამართა შეხვედრები.

გუშინვე რომში ქართულ-იტალიური ბიზნეს-ფორუმი გაიმართა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა გახსნა. მიხეილ სააკაშვილმა იტალიაში მოღვაწე ბიზნესმენებს საქართველოში ინვესტიციების ჩადებისკენ მოუწოდა. – ერთხელ მაინც უნდა ჩამოხვიდეთ ჩვენს ქვეყანაში და ის აუცილებლად შეგიყვარდებათ, – აღნიშნა სააკაშვილმა.

ფორუმზე იტალიისა და საქართველოს სავაჭრო პალატებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი გაფორმდა. იტალიელი ბიზნესმენები საქართველოში, ძირითადად, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და საბანკო სექტორით დაინტერესდნენ.

**ინტერ-პრესი.**

◎ დღის კადრი



თბილისს კვლავ ეწვია გაზაფხული. ლევან ლომაძის ფოტო.

ნომერში წაიკითხავთ:



იხ. მე-5-6 გვ.

◎ ოპოზიცია

## დავით უსუფაშვილი – მაღალი დონის პოლიტიკურ ჩემპიონატში

**დავით ბერძენიშვილი, რომელიც უკვე ექვს წელზე მეტია, სათავეში უდგას საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას, რამდენიმე თვეში თავმჯდომარეობიდან გადადგომას აპირებს. პარტიის ყრილობაზე, რომელიც, სავარაუდოდ, ივნისში ჩატარდება, რესპუბლიკელები ლიდერად დავით უსუფაშვილს აირჩევენ.** რაკი ბატონ დავითს წარდგენა არ სჭირდება, უშუალოდ იმ საკითხებზე გადავალ, რაც საზოგადოებისთვის საინტერესო და, ცოტა არ იყოს, ორჭოფული კითხვის აღმძვრელიც არის – რატომ აპირებს ბერძენიშვილი გადადგომას, ხომ არ შეაშინესო (როგორი გასაოცარიც უნდა იყოს, ზოგს ასეთი კითხვაც დაებადა).

დავით უსუფაშვილი პარტიის თავმჯდომარის შეცვლას რესპუბლიკელთათვის ჩვეულ მოვლენას უწოდებს. ბატონი დავითი შეცვლის ბერძენიშვილს, რომელმაც თავის დროზე ივლიანე ხაინდრავას პოსტი დაიკავა. თავის მხრივ, ხაინდრავამაც შეცვალა წინამორბედი. პარტიის მუდმივი თავმჯდომარე, ალბათ, არც უსუფაშვილი იქნება.

იხ. მე-2 გვ.

◎ პრემიერ-მინისტრი

## სამუშაო ვიზიტად აზერბაიჯანს ეწვია

**გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სამუშაო ვიზიტად აზერბაიჯანს ეწვია.**

მოლაპარაკებების ძირითადი თემაა საქართველოს კუთვნილი იმ ტვირთების შემდგომი ტრანსპორტირების საკითხი, რომელიც დროებით აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა გაჩერებული.

საქართველოს პრემიერი ოპტიმისტურადაა განწყობილი. როგორც ნოღაიდელმა განაცხადა, ის დარწმუნებულია, რომ მოლაპარაკებები კონსტრუქციულად წარიმართება.

საქართველოს კუთვნილი ტვირთები აზერბაიჯანმა გასულ წელსაც დააკავა. აზერბაიჯანულ მხარეს ეჭვი ჰქონდა, რომ აღნიშნული ტვირთების ნაწილი საქართველოს გავლით სომხეთში ხვდებოდა. მაშინ ამ პრობლემის მოგვარება ნოღაიდელის წინამორბედს ზურაბ ჟვანიას მოუხდა.



◎ აქცია

## შენობებს ალამაზებენ, ხალხს კი არსებობის საშუალებას ართმევენ

### ჩივიან სიგარეტით მოვაჭრენი

**აქციათა ტალღამ ბაზრობებს გადაუარა: პირველი მარტიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ბაზრობებზე სიგარეტის ვაჭრობა აიკრძალა. ეკონომიკის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა ერთობლივად მიიღეს ეს გადაწყვეტილება, ჯერჯერობით აკრძალვა ბაზრობებს შეეხება, უახლოეს ხანში აპირებენ ახალი კანონპროექტის მიღებას ლიცენზიის შესახებ. იმედოვნებენ, რომ ამ კანონის ამოქმედებით სიგარეტით ვაჭრობა მოწესრიგდება.**

ხელისუფლების წარმომადგენლები კი იმედოვნებენ ამ პრობლემის გადაჭრას, მაგრამ თავად მოვაჭრეებს და ამ ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს, როგორც ჩანს, არავინ არაფერს ეკითხება.

გუშინ მეორე მშვიდობიანი აქცია მოეწყო პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე. იანვრის თვეში ბაზრობებიდან ერთი მილიონი ლარის უაქციზო სიგარეტი ამოუღიათ. ახლა აქციზიანის გაყიდვაც იკრძალება. 1 მარტს კანონის ძალაში შესვლით ათასობით ადამიანი თბილისში და არა მარტო აქ, უმუშევარი და ულუკმაპუროდ დარჩა. შევეცადე, რამდენიმე მათგანს გავსაუბრებოდი.

**კვიტატიანი რამინი:** – სოხუმელი ვარ, დევნილი, ქირით ვცხოვრობ, ორი შვილიდან ერთი არ მუშაობს, მის ცოლ-შვილს მე ვინახავდი. კი, ბატონო, გაალამაზონ ქალაქი, მაგრამ ჩვენ, უმუშევრებს რატომ გვტოვებენ? დროული კაცი ვარ, სად წავიდე, ყველგან ხალხს ამცირებენ, მე ვინ მიმღებს სამსახურში? ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ჩვენს მთავრობას ხალხის ბედი აწუხებს, დილიდან აქ ვდგავართ, პარლამენტის შესასვლელში, ერთი და ორი ხომ არა, ასობით ვართ, ხელისუფლებიდან კი არავინ გამოდის, რომ გვითხრან, როგორ მოვიქცეთ.

**როინ ხაჩიძე, თბილისელია, ეკონომისტი:** – 12 წელი იქნება, რაც ფირმა „თერგში" სიგარეტის გამავრცელებლად ვმუშაობ. ბაზრობაზე ყველას ჩვენი ადგილი გვქონდა. დღეს არ გვანებებენ მუშაობას, ხელფასს ხომ არ ვთხოვთ მთავრობას, ჩვენ თავს ჩვენვე ვინახავდით, ახლა რა გმოდის, კი, ბატონო, წავალთ, მაგრამ სად? ხომ უნდა ვიცოდეთ – რა გავაკეთოთ.

მე პოლიტიკა არ მაინტერესებს. მინდა სამუშაო ადგილი, რომ პატიოსნად ვიმუშაო და ცოლ-შვილი ვარჩინო. ნუთუ ამის უფლება არ უნდა მქონდეს?

მოვაჭრეები არც იმას უარყოფენ, რომ ქალაქი ნამდვილად მოსაწესრიგებელია და ვაჭრობაც ცივილურ მეთოდებსა და ფორმებს უნდა მიესადაგებოდეს, მაგრამ ამისათვის ჯერ ხელისუფლებას სამუშაო ადგილები უნდა შეექმნა, ფაბრიკა-ქარხნები აემუშავებინა, ჩვენთვის ალტერნატიული სამუშაო შეეთავაზებინაო, – ამბობენ. ვერაფერს დავუმატებ, სრული სიმართლეა, მშიერი კაცი მგელზე საშიშიაო, ტყუილად კი არ უთქვამს ხალხს.

**ნაზი იმნაიშვილი.**

◎ წერილი ამერიკიდან

## ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობა დაასრულა?!

### აგრეთვე ზოგი რამ ქართულ „ქველმოქმედებაზე"

**როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, თბილისელმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა, გინესის მრავალგზის რეკორდსმენმა ჯუმბერ ლეჟავამ მსოფლიოს გარშემო ცხრაწლიანი ველომოგზაურობის შემდეგ ახალი ვოიაჟი წამოიწყო („დაუოკებელი ჯუმბერ ლეჟავა კვლავ ამერიკაშია". „საქართველოს რესპუბლიკა", 30 ნოემბერი, 2004 წ.).**



იხ. მე-4 გვ.

◎ დღე

## გარემოვაჭრეთა ფათერაკები და საყოველთაო კონტრაბანდა

**არ არის საქმე ისე იოლად, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.**

გარემოვაჭრეებს ბაზრობებზე თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობა აუკრძალეს და ისინი გუშინ აქციას აქციაზე აწყობდნენ ხან თბილისის მერიასთან და ხან – პარლამენტთან, შესაბამისად, ხან ქალაქის მერთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან შეხვედრას ითხოვდნენ (ამაოდ), ხან – უმრავლესობის ლიდერებთან (ისევ ამაოდ. აქციის მონაწილეებს პარლამენტის შესასვლელთან, ფლიგელებს შორის მდებარე გისოსებიდან მხოლოდ ფრაქცია „მაჟორიტარების" ლიდერი ბესო ჯუღელი გამოეხმაურა, თუმცა, მოგვიანებით, ისიც თვალს მიეფარა). ბოლოს მათთან სასაუბროდ „მემარჯვენე ოპოზიციის" წევრები ფიქრია ჩიხრაძე, კოკა გუნცაძე და მამუკა კაციტაძე ჩავიდნენ. აღნიშნეს, რომ „მემარჯვენე ოპოზიციამ" ამ საკითხთან დაკავშირებით საოლქო სასამართლოში სასარჩელო განცხადება შეიტანა, მაგრამ სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო და მოტივად ის გარემოება დაასახელა, რომ... ერთ-ერთი მოპასუხის – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მისამართი განცხადებაში არასწორად იყო მითითებული. „მემარჯვენე ოპოზიცია" შეცდომას მალე გამოასწორებს. მამუკა კაციტაძის თქმით, უახლოეს ხანებში პარლამენტი თამბაქოს შესახებ კანონის მიღებას გეგმავს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის პირობებიც, მანამდე კი სიგარეტით მოვაჭრეებს ვაჭრობის უფლება უნდა მიეცეთო.

მაგრამ გარემოვაჭრეების ფათერაკები ამით არ მთავრდება. მათ ახალი სიურპრიზი ელით. საქართველოს მთავრობამ პარლამენტს განსახილველად „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ცვლილებების პროექტი წარუდგინა, რომელიც გარევაჭრობისთვის ჯარიმას ან ალტერნატიული სანქციის სახით 30 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის დაწესებას ითვალისწინებს...

ეს კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში რამდენიმე დღის წინათ შესულა, თუმცა მისი შინაარსი მხოლოდ გუშინ გახდა ცნობილი. მთავრობის სხდომაზე მის განხილვას მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა, თუმცა კანონპროექტს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა, სახელმწიფო მინისტრებმა კახა ბენდუქიძემ და გიორგი ხაინდრავამ მხარი არ დაუჭირეს.



ეს კანონპროექტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა, თუმცა იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას ინციატივით პროექტის საბოლოო ვარიანტში სწორედ ის შესწორება შეიტანეს, რომელიც გარემოვაჭრეებისთვის ჯარიმის (50-100 ლარის ოდენობით) ან ალტერნატიული სანქციის სახით 30 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის შემოღებას ეხება. კერძოდ, საპატრულო პოლიციას უფლება ეძლევა კანონის დამრღვევი დედაბერი 30 დღით სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დააპატიმროს.

სანამ გუშინ, მთავრობის სხდომაზე თამბაქოს ნაწარმით გარემოვაჭრე ისედაც უბედური ხალხის კისრის მოგრეხვის კანონპროექტი მუშავდებოდა, სასტუმრო „მარიოტში" საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის ინიციატივით კონფერენციაზე შეკრებილი ქართველი ბიზნესმენები მთავრობას თამბაქოსა და ნავთობპროდუქტების ბაზრის კონტრაბანდისგან დაცვას სთხოვდნენ. ბიზნესმენები მთავრობის წარმომადგენლებს საზღვრის ადმინისტრირების გამკაცრებისკენ, ასევე იმ გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდებენ, რომლის შედეგადაც თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი 90 თეთრამდე გაიზარდა. „დღეს თამბაქოს ბაზარი ხელში ჩაუვარდათ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ კონტრაბანდისტებს. გასული წლის იანვარ-თებერვალში ჩვენმა კომპანიამ ბიუჯეტში აქციზის გადასახადის სახით 5 მილიონი ლარი შეიტანა. წელს ეს თანხა ნულის ტოლია. ეს კი აქციზის გადასახადის გაზრდამ და საზღვრების დაუცველობამ განაპირობა", – განაცხადა შეკრებაზე კომპანია „ელიზის" პრეზიდენტმა თამაზ ელიზბარაშვილმა. მისი თქმით, თუ ხელისუფლებამ დროული და ქმედითი ზომები არ გაატარა, საქართველოში სიგარეტის მწარმოებელი ყველა საწარმო დაიხურება.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, თამბაქოს გარევაჭრობის აკრძალვა სულაც არ ყოფილა იოლი და მისაყურისძირებელი საქმე...

**სანდრო ალექსიძე.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მიხეილ სააკაშვილი: „რევოლუციას პუტინი ველარ შეაჩერებს"

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ინტერვიუ მისცა იტალიის გაზეთ „ლა რეპუბლიკას" კორესპონდენტს ჯან პაოლო ვიზეტის. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.**

***– როგორ ფიქრობთ, ყოფილ სსრ კავშირში თქვენ პირველი რევოლუციონერი ხართ თუ ბოლოსწინა?***

– დემოკრატიის ექსპანსიასთან მათემატიკას საერთო არა აქვს. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის, ბელორუსიასაც, სურთ მოდერნიზაცია. გზის გარკვეული მონაკვეთი უკვე გავლილია და ახლა ვერავინ ველარ იხსნის დამხობისგან უკანასკნელ რეჟიმებს.

***– თქვენ იზიარებთ ბუშის კრიტიკას რუსეთში დემოკრატიასთან დაკავშირებით?***

– რუსეთის ქცევა საქართველოში ყოვლად მიუღებელია. პუტინს სურს, აღკვეთოს ეუთოს კონტროლი საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე. არ ასრულებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან ბაზების გატანის შესახებ გამოთქმულ დაპირებას, აღვივებს სეპარატიზმის ხანძარს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. იგი ისე მოქმედებს, თითქოს საქართველო რუსეთის ნაწილი იყოს. ევროპაც და შეერთებული შტატებიც უნდა ჩაერიონ ამ სიტუაციაში, რადგან იქმნება აუტანელი დაძაბულობა. კავკასია შეიძლება აფეთქდეს.

***– თქვენი აზრით, შესაძლებელია, რომ რუსეთი დაესხას თავს საქართველოს?***

– ყველასთვის გასაგებია: როცა მოსკოვი აცხადებდა, რომ იტოვებდა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტერორისტებისთვის დარტყმების მიყენების უფლებას, იგი საქართველოს გულისხმობდა. იმისთვის, რომ გაამართლოს საქართველოზე ზემოქმედება, კრემლი აკეთებს ყველაფერს, ცდილობს კვლავ უკონტროლოდ დატოვოს ჩვენი საერთო საზღვრები და შემდეგ საქართველოს დააბრალოს, თითქოს იგი თავშესაფარს აძლევდეს ჩეჩენ მოთარეშეებს. პუტინმა უნდა შეიგნოს, რომ თუ არ გაიყვანს საქართველოდან ჯარისკაცებს, ჩვენ გადავუკეტავთ ენერგიის მიწოდებას რუსეთის სამხედრო ბაზებს და აღარ გავცემთ ვიზებს რუსი სამხედროებისთვის.

***– როგორ ფიქრობთ, მოლდავეთი თუ მიბაძავს საქართველოს და უკრაინის მაგალითს?***

– დემოკრატიული ოპოზიცია გამოვიდა ქუჩებში. სცენარი ყველასთვის ცნობილია: ადამიანებს აღარ სურთ იცხოვრონ მუდმივი შიშის ქვეშ, სიღატაკის, ცენზურის, კორუფციის პირობებში. რუსეთი დამარცხდა: მოლდავეთის დედაქალაქი კიშინიოვი სავსეა ნარინჯისფერი დროშებით. ქუჩაში გამოსული ადამიანები ხოტბადიდებას გვასხამენ იუშჩენკოს და მე. საქართველო, უკრაინა და მოლდავეთი რუმინეთთან ერთად გახდება ის ლოკომოტივი, რომელიც შავი ზღვის ზონას შეიყვანს ევროკავშირში.

***– რატომ მიანიჭეთ თქვენ უპირატესობა დიალოგს ევროკავშირთან და შეერთებულ შტატებთან და არა რუსეთთან და ყოფილ სსრ კავშირთან?***

– იმიტომ, რომ მათ ჩვენს დემოკრატიას დაუჭირეს მხარი ყოველგვარი შანტაჟის გარეშე. მოსკოვს სურს ჩვენზე ზემოქმედების შენარჩუნება და არა ჩვენი დამოუკიდებლობა. ჰოდა, გვემუქრება კიდეც, რომ შეგვიწყვეტს ენერგიის მოწოდებას, შეაჩერებს იმპორტს და სხვა. ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი გვითხრეს: გსურთ დემოკრატია და განვითარება? მაშ მიიღეთ ფული იმისთვის, რომ ყოველივე ეს დაიწყოთ.

***– თქვენ მოითხოვთ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას?***

– სამი წლის განმავლობაში უნდა ვიმუშაოთ ქვეყნის, ყოველივე იმის აღდგენისთვის, რაც შევარდნაძის დროს დაინგრა. ქართველები სულით ევროპელები არიან, პროატლანტიკურ ორიენტაციას ალტერნატივა არ გააჩნია. რატომ შეიძლება ევროკავშირში გაწევრიანება ლიტვისთვის, ბულგარეთისთვის, ან თურქეთისთვის, საქართველოსა და სომხეთისთვის კი – არა? ბრიუსელში უნდა შეიგნონ, რომ კავკასიაში სტაბილურობა ნიშნავს უშიშროებას, როგორც თვით კავკასიის, ისე შუა აზიის საზღვრებზეც.

***– საქართველო კი რას სთავაზობს დასავლეთს?***

– ჩვენ დავამტკიცებთ ჩვენს ცივილიზებულობას. გარდა ამისა, ქვეყანაში დაიწყო გამჭვირვალე და პატიოსანი პრივატიზაცია, უნდა აღვადგინოთ ინფრასტრუქტურები, დავასრულოთ სტრატეგიული გაზსადენებისა და ნავთობსადენების მშენებლობა.

***– რას იტყვით იმის შესახებ, რომ თქვენი და იუშჩენკოს კანდიდატურები დაასახელეს ნობელის პრემიის მოსაპოვებლად?***

– ამ საკითხს მე ვუდგები როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი: გორბაჩოვისა და ვალენსას შემდეგ დადგა რომის პაპის ჯერი. სწორედ მან დაუბრუნა იმედი აღმოსავლეთ ევროპას და ამასთანავე, იხსნა დასავლეთიც.

la Repubblica

## ინტერპანორამა

**მოლდოვის პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა განაცხადა, ჩვენ არც იუშჩენკოსთან და არც სააკაშვილთან რუსეთის საწინააღმდეგო არაფერი მოგვილაპარაკია, მოლდოვა, უკრაინა და საქართველო დაინტერესებული არიან რეგიონალური ორგანიზაცია სუუამის განვითარებით და ჩვენი საუბრების თემაც ეს იყოო.**



**გუშინ ბაქოში დაკრძალეს ოპოზიციური ჟურნალის „მონიტორის" რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი. იგი უცნობებმა ოთხშაბათს დაცხრილეს თავისი სახლის სადარბაზოში. დაკრძალვაში საზოგადოებრიობას, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებითა და ოპოზიციური პარტიების 500 წარმომადგენელი მონაწილეობდა.**



CYAN MAGENTA YELOOW BLACK

ოპოზიცია

# დავით უსუფაშვილი – მაღალი დონის პოლიტიკურ ჩემპიონატში

(პირველი გვერდიდან)

– ამაში არც გასაოცარია რამე, არც – საამაყო. გასაკვირი ის არის, პოლიტიკური პარტიები ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ერთი პირისთვის და ერთი პირის გარშემო რომ არსებობენ. მტკიცედ მწამს, რომ პოლიტიკოსები, რომლებიც შიდაპარტიული დემოკრატიის სკოლას არ, ან ვერ გადიან, ხელისუფლების სათავეში მოსვლისას დემოკრატებად ვერ იქცევიან.

პოლიტიკური პარტიები დავით უსუფაშვილს უფრო პოლიტიკოსების, სახელმწიფო მოღვაწეების გამობრძმედის ადგილად მიაჩნია, ვიდრე კარიერის გაკეთების საშუალებად.

მართალია, იურისტი დავით უსუფაშვილი აქამდე არ ჩანდა დიდ პოლიტიკაში, მაგრამ მუდმივად ექცეოდა მედიისა და ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ის იმ პირად ითვლება, რომლის კომპეტენციაც სამართალმცოდნეობის სფეროს სცილდება და რომლის აზრიც ამა თუ იმ პოლიტიკურ პროცესზე ყოველთვის საინტერესოა. უსუფაშვილი თავის შემცვლელად დავით ბერძენიშვილმა დაასახელა. კითხვაზე – კონკრეტულად რა ნიშნით შეარჩია პარტიის დღევანდელმა თავმჯდომარემ მომავალი ლიდერი, – ჩვენი რესპონდენტის პასუხი ასეთია:

– როგორც ჩანს, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ დღემდე პარტიის თავმჯდომარეები ნაკლებ დროსა და ყურადღებას ახმარდნენ საორგანიზაციო-მენეჯერულ საკითხებს. რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეები, ჩემი აზრით, საუკეთესო პოლიტიკოსები იყვნენ, მაგრამ ხარვეზები ჰქონდათ შიდა პარტიულ საქმიანობაში.

გამოდის, რომ ბატონმა დავით ბერძენიშვილმა ეს ნაკლი საკუთარ თავშიც აღმოაჩინა, აღიარა და საჭიროდ ჩათვალა, ამის გამოსწორება უსუფაშვილისთვის მიენდო. წლების შემდეგ, ალბათ, ჩემი რესპონდენტიც დაფიქრდება თავისი მოღვაწეობის ხარვეზებსა და იმ პიროვნებაზე, ვინც ნაკლოვანების აღმოფხვრას შეძლებს. სრულყოფისკენ სწრაფვა შეუძლებელია, არ მოიწონო, მაგრამ აქ მე ერთმა დეტალმა დამაინტერესა – რატომ არ წამოაყენა დავით ბერძენიშვილმა თავისი ძმის, ასევე უდავოდ, ნიჭიერი და გონიერი პოლიტიკოსის კანდიდატურა. ეს თითქოს ეწინააღმდეგება ქართულ მენტალიტეტს-მეთქი, – ღიმილით აღვნიშნე. ბატონი დავითის თქმით, ეს უფრო საბჭოური მენტალიტეტია, ვიდრე – ქართული. თანაც, რესპუბლიკელები ბევრი მსგავსი სტერეოტიპის დამსხვრევასა და პოლიტიკური ცხოვრების სხვაგვარად წარმართვას აპირებენ.

– შესაძლოა, ეს ძალზე ამბიციურად ჟღერდეს იმ პოლიტიკური ჯგუფისგან, რომელიც დღეს არ არის მძლავრად წარმოდგენილი, მაგრამ, ვფიქრობთ, სერიოზული რესურსი გვაქვს. რესპუბლიკური პარტია, როგორც პარტია, ჯერ არ უნახავს მოსახლეობას, რომელიც რესპუბლიკელებს ინდივიდუალურად იცნობდა. მალე ნახავთ, რომ ჩვენი ამბიცია დაუსაბუთებელი არ არის.

საინტერესოა, გააგრძელებენ თუ არა რესპუბლიკელები ოპოზიციურ კურსს და გამოიჩენენ თუ არა მეტ სიმკვეთრეს. რესპუბლიკელთა ოპოზიციონერობას დიდი ხნის ისტორია აქვს, ჯერ კიდევ კომუნისტებთან, შემდეგ – გამსახურდიას ხელისუფლებასთან პაექრობიდან მოყოლებული. ამიტომ ბევრი მათ ქრონიკულ ოპოზიციონერებსაც კი უწოდებს – მუდამ ხელისუფლების საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან, მაგრამ საკმაოდ ლიბერალურებიც არიან, თუმცა, ქრონიკული დაავადების მსგავსად, დროდადრო უმწვავდებათ ოპოზიციონერობაო. ბოლო ამგვარი „გამწვავება“ აჭარის არჩევნებს დაემთხვა.

– ჩვენ ოპოზიციაში ყოფნა არ გვიყვარს, – აღნიშნავს ბატონი დავითი – ჩვენთვის ყოველთვის ტრაგიკული იყო იმის განცდა, რომ ქვეყანას ისევ ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორიც არ მოგვწონდა. გულსატკენია, რომ საქართველომ ვერა და ვერ მიიღო ისეთი ხელისუფლება, როგორსაც იმსახურებს. **რესპუბლიკელები ოპოზიციაში უდგანან გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს და არა პიროვნებებს. ჩვენ ვიყავით ის პირველი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც მხარში ამოუდგა მიხეილ სააკაშვილს საჭირო დროს. ეს იყო მაშინ, როცა ის „მოქკავშირს“ დაუპირისპირდა და როცა ბევრი მას არანორმალურ ადამიანად თვლიდა (სხვათა შორის, დღეს ბევრი მათგანი სააკაშვილის მზეს ფიცულობს, ყოველ შემთხვევაში, სახალხოდ მაინც), მაგრამ როგორც კი მიხეილ სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ჩვენ დავიწყეთ ფიქრი არა იმაზე, რა ცუდები იყვნენ შევარდნაძე და აბაშიძე, არამედ იმაზე, როგორია სააკაშვილი.** პირველივე დღეებიდან აღმოვაჩინეთ, რომ ბევრი მისი ნაბიჯი არასწორი იყო. გასული წლის თებერვალში, ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე და აჭარის მოვლენებამდე დავით ბერძენიშვილმა ღიად მოუწოდა მაშინდელ პარლამენტს, მხარი არ დაეჭირა კონსტიტუციური ცვლილებებისთვის. ჩვენი სხვაგვარი ხედვა გამოიკვეთა, მაგრამ მაშინ აბაშიძის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული და ამან განაპირობა ჩვენი კვლავ ერთად დგომა. მოგვიანებით აჭარაშიც იმდენი არასწორი ნაბიჯი გადადგა ხელისუფლებამ, რომ რესპუბლიკელთა ყოფნა საპარლამენტო უმრავლესობაში შეუძლებელი გახდა. ამასთან ჩვენ არ ვყოფილვართ შერწყმული, ჩვენ მხოლოდ კოალიციურ სიაში შევდიოდით.



როგორც ბატონ დავითთან საუბარში ირკვევა, რესპუბლიკელები ოპოზიციაში ყოფნას განაგრძობენ. რესპონდენტმა აღნიშნა, პოლიტიკურ ჯგუფს ვეწინააღმდეგებით და არა პიროვნებებსო, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი კრიტიკის ობიექტი, როგორც წესი, ზურაბ ჟვანია იყო. პრემიერ-მინისტრის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ბევრი ამბობდა, რესპუბლიკელთა ოპოზიციონერობაც ასევე მოულოდნელად დასრულდებაო.

– ის, ვინც ამას ამბობდა, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად ერკვევა პოლიტიკაში. ზურაბ ჟვანიასა და რესპუბლიკელების ურთიერთობა მკაფიო მაგალითია იმისა, რაც უკვე აღვნიშნე. რესპუბლიკელები აკრიტიკებდნენ ჟვანიას, როგორც „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალურ მდივანს, პარლამენტის სპიკერს, ოპოზიციონერს, ბოლოს პრემიერ-მინისტრს და არა როგორც პიროვნებას. მიუთითებდნენ მის არასწორ ქმედებებზე, პოლიტიკაზე, მაგრამ ეს არასდროს გადაზრდილა პიროვნულ პრობლემაში. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ჟვანიას შესაძლებლობების ადამიანს გაცილებით მეტი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ მან ეს არ ან ვერ მოახერხა. ამიტომ ვაკრიტიკებდით მას.

რესპუბლიკელებმა კარგი სიტყვა შეაწიეს დავით გამყრელიძეს, რომელიც პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნის დღეს პრეზიდენტს დაუპირისპირდა (შეგახსენებთ, რომ ზურაბ ჟვანია უკვე გარდაცვლილი იყო). მაშინ მათი სიტყვები ასე ახსნეს – მართალია, გასაკიცხი აღარავინ დარჩათ, მაგრამ მიხვდნენ, რომ ოპოზიციაში ყოფნა მომგებიანია და ამიტომაც შებედეს პრეზიდენტს კრიტიკაო.

– ესეც იმ სტერეოტიპთა შორის არის, რომელთა დამსხვრევა მოგვიწევს. როცა რაიმე ხდება, ადამიანები ცდილობენ, ეს ფაქტები თუ მოვლენები ჩასვან წინასწარ გამზადებულ ფორმულაში – ვინ რა მიიღო ამით. თბილისში ნიავი არ გაიქროლებს და ფოთოლს არ ჩამოაგდებს ისე, რომ არ თქვან, ეს ან სოროსმა დაგეგმა, ან – რუსეთმა, ან – მასონებისა, თუ დღევანდელ ხელისუფალთა მიერ დახლართულმა ქსელმაო. ამით ხალხი ერთობა, რადგან სხვას, განსხვავებულს არავინ არაფერს სთავაზობს. მე ვერ გავაბათილებ იმ მოსაზრებას, რომელიც თქვენ ახსენეთ. ეს, დაახლოებით, იმას ემგვანება, რომ გითხრან, აქლემი ხარო და დაიწყო მტკიცება – არ ვარო.

საქმე, რა თქმა უნდა, ასე არ მარტივდება და არ დადის იქამდე – რაკი ზურაბ ჟვანია ცოცხალი აღარ არის, რესპუბლიკელები პრობლემებს ვეღარ ამჩნევენო. თუმცა, ისინი ამჩნევენ იმ ყველაფერსაც, რაც შეიძლება ქვეყანას წაადგეს. ამიტომ პარლამენტშიც მათი საქმიანობა მხოლოდ ოპოზიციურ პრინციპს არ დაეყრდნობა და არ უარყოფენ ნებისმიერ კანონპროექტს, რომელიც სახელისუფლო გუნდის ინიციატივა იქნება.

დავით უსუფაშვილის თქმით, მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია ერთი რამ:

– ათ მცენებასთან ერთად ჩვენ გვაქვს მეთერთმეტეც, რომელიც ამბობს, რომ ათი მცნება ყოველთვის დასაცავია. ჩვენ გააზრებული გვაქვს, რომ ყოველთვის უნდა დავიცვათ ის, რაც კონსტიტუციაში წერია.

რესპუბლიკელები აპირებენ, გააბათილონ პოლიტიკოსთა საყვარელი გამონათქვამი – პოლიტიკოსს ენა იმისთვის აქვს, რომ სათქმელი არ თქვას. ისინი მოსახლეობასთან გულწრფელ დიალოგს არჩევენ და არა პიარ-ტრიუკებს, რაც ჩვენში უკვე აპრობირებული მეთოდია საჭირო რაოდენობის ხმების მოსაგროვებლად.

– ქართველი ხალხი იმსახურებს იმას, რომ პოლიტიკური ლიდერები მას ენის მოჩლექისა თუ პიარ-ტრიუკების გარეშე ელაპარაკონ, სერიოზულად და გულწრფელად.

რაც შეეხება ოპოზიციასთან ურთიერთობას, დავით უსუფაშვილის თქმით, რესპუბლიკელები ამას ორ სიბრტყეში განიხილავენ.

– ჩვენ გვინდა, საქართველოში შედგეს მაღალი დონის პოლიტიკური ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სათანადო დონის პატიოსანი პოლიტიკური გუნდები. ქართველებს ძალიან გვიყვარს ფეხბურთი და ამიტომ ვლაპარაკობთ ამ მეტაფორებით. შეუძლებელია ქვეყანაში არსებობდეს ერთი კარგი პოლიტიკური პარტია. მის სიკარგეს, სიძლიერეს, დემოკრატიულობას განაპირობებს ასეთივე პარტიების არსებობა და ერთმანეთთან ჭიდილი. ამ პოლიტიკურ „მოთამაშეებს“ შორის ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ ნახვაც გვსურს, რომელიც იქნება მმართველი პარტია, სახელმწიფოსგან იზოლირებული, სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის თავმინებებული.

მეორე სიბრტყე პოლიტიკური ალიანსის შესაძლებლობას მოიცავს. რესპუბლიკელები ოპოზიციას არ განიხილავენ ერთიანად, ანუ ისე, როგორც ჯერ კომუნისტები განიხილავდნენ, შემდეგ კი – მათი შთამომავლები: არსებობენ კომუნისტები და ხალხის მტრები (შემდგომში – ხელისუფლება და ოპოზიცია, დაახლოებით, იმავე კონტექსტში). დავით უსუფაშვილის თქმით, რესპუბლიკელები ოპოზიციის მრავალფეროვნების, მრავალგვარობის უკეთ წარმოჩენას შეეცდებიან. ისინი, ძირითადად, ხელისუფლებასთან იკამათებენ, მაგრამ კატეგორიულები იქნებიან იმ ოპოზიციონერთა მიმართაც, რომლებიც, მათი აზრით, რაიმე მცდარ ვარიანტს წამოაყენებენ.

**რეზიუმეს სახით, შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკური პარტია კურსს არ იცვლის, მაგრამ უფრო მეტად გააქტიურებას აპირებს. რაც შეეხება იმას, განსაკუთრებულად რა არ მოსწონთ რესპუბლიკელებს ხელისუფლების ქმედებებში, რის გაკრიტიკებას აპირებენ მწვავედ, დავით უსუფაშვილი ასე აყალიბებს:**

**– ზოგადი პრობლემა, რომელიც ბევრ სხვა პრობლემებს წარმოშობს და რომელიც დამახასიათებელია დღევანდელი ხელისუფლებისთვის, კანონის უზენაესობის უგულებელყოფაა.**

უსუფაშვილის თქმით, დღევანდელ ხელისუფალთ ცოდნაც აქვთ, სწორი ხედვაც, მაგრამ მეთოდები აქვთ უვარგისი. ბატონი დავითი დარწმუნებულია, რომ კონსტრუქტიული, კომპეტენტური, დროული და ინტენსიური ოპონირებითი რეჟიმით ისინი ზეგავლენას მოახდენენ დღეს მიმდინარე პროცესებზე (ვიღაცეებს შერცხვებათ, ვიღაცეებს შეეშინდებათ, ვიღაცეებს ისევ მოუნდებათ არჩევნებში გამარჯვება და ასე შემდეგ).

**რუსუდან გახარია.**

ინფორმაცია

## სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები და მშობლები მოითხოვენ

**სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებმა და მშობლებმა გუშინ საქართველოს პარლამენტთან საპროტესტო აქცია გამართეს.**

**აქციის მონაწილეები პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრას მოითხოვდნენ, თუმცა ვინაიდან ნინო ბურჯანაძე საქართველოში არ იმყოფება, გადაწყვიტეს, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს მაია ნადირაძეს შეხვდნენ.**

**სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები და მათი მშობლები განათლების სამინისტროს იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვით, კოლეჯის კურსდამთავრებულები ავტომატურად, გამოცდების გარეშე ვეღარ ჩაირიცხებიან სამედიცინო ინსტიტუტში, ეს კი მათ ხელშეკრულებებით ჰქონდათ გარანტირებული.**

## „ივანე, წადი სახლში“!

**არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა გუშინ ბათუმში, რუსეთის სამხედრო ბაზის შენობასთან მრავალრიცხოვანი აქცია გამართეს. „ივანე, წადი სახლში“ - ამ ლოზუნგით გენშტაბის შენობასთან მისული მომიტინგეები რუსი სამხედროების გასვლას და გენშტაბის კანონიერი მემკვიდრისთვის დაბრუნებას მოითხოვდნენ.**

**შენობაში, სადაც ამჟამად გენშტაბი მოქმედებს, ადრე №5 სკოლა იყო განთავსებული, აჭარის ყოფილმა ლიდერმა ასლან აბაშიძემ კი შენობა ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე რუს სამხედროებს გადასცა.**

**ამ საკითხთან დაკავშირებით „დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს.**

**ინტერ-პრესი.**

აკრძალული ზონა

# როცა შენი საქმე გიყვარს

***ბოლო წლების განმავლობაში, ციხეებისა თუ კოლონიების ბინადარნი იუსტიციის მინისტრის სტუმრობით განებივრებულნი არიან. საკუთარი გასაჭირის შესახებ სტუმარს თავად უამბობენ, მათთვის სასურველი ცვლილებებისა თუ სიახლეების შესახებ კი მისგან იგებენ.***

***კოტე კემულარიამაც, წინამორბედთა მსგავსად, პატიმრების მონახულება ქალთა კოლონიაში სტუმრობით დაიწყო. მათთან ხელცარიელი არ მისულა, გაზაფხულის დადგომასთან ერთად დედის დღეც მიულოცა და საჩუქრებიც გადასცა.***



იუსტიციის მინისტრმა ახლად გახსნილი ქალთა საპყრობილისა და ქალთა კოლონიის საძინებლების, სასადილო დარბაზისა და სამკერვალო დაწესებულების დათვალიერების შემდეგ, აღნიშნა, რომ № 5 საპყრობილეში ევროსტანდარტების შესაბამისი პირობებია. ყველაფერს ვიღონებთ, რათა სხვაგანაც მივაღწიოთ ასეთ დონეს. პენიტენციურ სისტემაში არსებული მძიმე მდგომარეობა, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო, რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ. საპყრობილეში ყოფნა ადვილი არავისთვის არის, ამ ადამიანებს გამხნევება, თანადგომა სჭირდებათ, რათა საზოგადოებას სრულფასოვნების შეგრძნებით დაუბრუნდნენ – განაცხადა მან.

იუსტიციის მინისტრი პატიმრებს გაესაუბრა, მოისმინა მათი თხოვნება, რომლებიც ძირითადად შეწყალების საკითხს ეხებოდა და დახმარება აღუთქვა. პატიმრებმა კი სტუმრობისათვის და საჩუქრებისთვის მას მადლობა გადაუხადეს.

თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები კი გაზაფხულის დადგომას და ქალთა დღესასწაულს საპყრობილის დირექტორს მედეა ალანიას ულოცავდნენ: – ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა, რომ მისი სახით პატრონს ვხედავთ, ის თითოეული ჩვენგანის დედაა, მართალია ცოტა სამარცხვინო შვილები ვყავართ, მაგრამ არა უშავს, მისი დახმარებით აუცილებლად გამოვსწორდებით, – განაცხადა მსჯავრდადებულმა ნათელა იმნაძემ.

მედეა ალანია 30 წელია ქალთა კოლონიას ხელმძღვანელობს. პატიმრებთან თბილი ურთიერთდამოკიდებულება აქვს. ამ ხნის მანძილზე, ქალბატონი მედიკო ბევრს დაეხმარა ადამიანური ღირსებების დაბრუნებაში, ბევრი დააყენა გამოსწორების გზაზე.

– ხშირად სახლშიც ვერ მივდივარ, 24 საათი დამნაშავე სამყაროსთან მიწევს ურთიერთობა, მაგრამ ეს არავის ძალდატანებით არ ხდება. გაცნობიერებული მაქვს ჩემი სამსახურის სირთულე და მიყვარს ჩემი საქმე. არც ერთი წუთი არ ვინანებ, რომ ამდენი წლები პატიმრებთან, მსჯავრდადებულებთან ურთიერთობას შევალიე.

ქალბატონმა მედიკომ მადლობა გადაუხადა ხელისუფლებას, ბატონ კოტე კემულარიას ყურადღებისა და დახმარებისთვის.

**ლელა ხვადაგიანი.**

სიტუაცია

# უცხოეთში არავითარი გამოფენა არ იგეგმება

**ბოლო ხანს საზოგადოებრიობამ ტელეეკრანიდან შეიტყო, რომ იგეგმებოდა საქართველოს ეროვნული საგანძურის ექსპოზიცია უცხოეთში. ამ ინფორმაციას დამაჯერებლობას მატებდა სპეციალისტების აზრი, რომ ექსპონატების ცუდი მდგომარეობის გამო მათი გატანა ქვეყნის გარეთ შეუძლებელია, ამავე არგუმენტებით გამოვიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.**



ამასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა გუშინ საგანგებოდ მოუხმო ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე, სადაც განმარტა, რომ ეს საკითხი სინამდვილეში, თურმე, არც კი დგას დღის წესრიგში. მინისტრმა ამ ფაქტს პოლიტიკური შეფერილობის განცხადება უწოდა.

ეს არის ტყუილი, – თქვა მინისტრმა, – ამჯერად არავითარი საგანძურის გატანა არ იგეგმება იმიტომ, რომ ეროვნული საგანძური მართლაც უმძიმეს მდგომარეობაშია, რადგან წლების მანძილზე უყურადღებოდ იყო. არ ხდებოდა მათი რესტავრაცია, სარეესტრო სამუშაოები. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეწყო სამუზეუმო რეფორმა, ანუ სამუზეუმო ცხოვრების მოწესრიგება, რასაც სჭირდება დრო და თანხები. მხოლოდ ამ სამუშაოების დასრულების და საზოგადოებრიობასთან დიალოგის შემდეგ იქნება შესაძლებელი საქართველოს ჩართვა საერთაშორისო სამუზეუმო ცხოვრებაში. ჩვენი პოზიცია ასეთია: საქართველო არ უნდა აღმოჩნდეს კულტურულ იზოლაციაში. რა ფორმით და რა კონცეფციით, ეს უკვე შემდგომი ეტაპია. საქართველო ჯერჯერობით ამისათვის მზად არ არის. ამაზე საუბარი ნაადრევია, ვიღაცეებს კი პოლიტიკური ქულების მოპოვება სურთ.

მინისტრისგან ჟურნალისტებმა ისიც შეიტყვეს, რომ 1999 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში საგანძურის გამოფენის ჩაშლას უკავშირდება ვალი – 800 ათასი დოლარი. მაშინ მისმა ორგანიზატორებმა მართლაც გასწიეს ხარჯი. რის ანაზღაურებასაც ითხოვენ. შარშანწინ და შარშან ამ ვალის ნაწილი, 160 ათასი დოლარი საქართველოს გადაუხდია, რაც შეეხება დარჩენილ თანხას, მინისტრის თქმით, მიმდინარეობს დოკუმენტაციის შესწავლა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაიხდის საქართველო დარჩენილ ვალს.

**რუსუდან მუხაძე.**

ინფორმაცია

## პარლამენტარი საზღვარზე ადმინისტრირების გამკაცრებას მოითხოვს

**პარლამენტარ რომან გოცირიძის განცხადებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში კონტრაბანდული საქონლის შემოდინება შემცირდა, თუმცა მცირე მასშტაბებით მაინც ხორციელდება.**

**როგორც გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართულ კონფერენციაზე გოცირიძემ განაცხადა, რევოლუციამდე საქართველოში კონტრაბანდის ძირითადი წყარო უკონტროლო ტერიტორიები იყო: მარტო ერგნეთიდან შემომავალი კონტრაბანდის წლიური ბრუნვა 120 მლნ. დოლარს შეადგენდა და „ამით როგორც ოსი, ასევე ქართველი პოლიტიკოსები და რუსი სამშვიდობოები ითბობდნენ ხელს“. კერძოდ, მისი მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსი სამშვიდობოების ყოფილი სარდლის ნაბდზოროვის წლიური შემოსავალი კონტრაბანდიდან ნახევარ მილიონ დოლარს შეადგენდა. „მიუხედავად იმისა, რომ ერგნეთის ბაზრობა დაიხურა, არსებობს გარკვეული ინფორმაცია, რომლის თანახმად, კონტრაბანდა მცირე პარტიებით მაინც შემოდის და სავარაუდოდ, წლიური ბრუნვა 25 მლნ. დოლარს შეადგენს, რაც ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი შემოსავალია“ – განაცხადა გოცირიძემ.**

**რაც შეეხება აფხაზეთის საზღვარს, მისი მონაცემებით, კონტრაბანდის მთლიან მოცულობაში აფხაზეთიდან შემოსული საქონლის წილი უმნიშვნელო იყო, ამ ტერიტორიაზე კრიმინალების თარეში შემცირდა, მაგრამ ჯერაც არ აღმოიფხვრა.**

**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ექვსიშვიდი თვის განმავლობაში კონტრაბანდის კლება შეინიშნებოდა, თუმცა ბოლო პერიოდში კონტრაბანდამ იმატა, ამიტომ აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ საზღვარზე ადმინისტრირება კიდევ უფრო გაამკაცროს“ – დასძინა მან.**

**ინტერ-პრესი.**

მადლი დედაშვილობისა

# ლამაზად შვილის გამზრდელი...

**დედა!**

**მაისის ფოთოლშლასა და გაზაფხულის გაუხუნარ ფერებს ჰგავს ეს ერთი სიტყვა. აზვირთებული მდინარეების ქუხილს ჰგავს იგი. ამ ერთ სიტყვაშია ჩაქსოვილი სიცოცხლის უკვდავება, ძლიერება, მშვიდობა, სიყვარული, სიკეთე, ურთიერთპატივისცემა... ყოველივე ის, რაც ასე გვამაღლებს და გვალამაზებს.**

სწორედ ქართველმა დედამ შემოგვინახა ერისკაცობა, მამულიშვილობა, რაინდობა, ვაჟკაცობა და ყველაზე დიდი განძი – დედაენა.

საუკუნეებში ცოცხლობს სახელი მისი.

სწორედ ასეთი გამორჩეული 50 დედა შეკრიბა 3 მარტს ვაკე-საბურთალოს რაიონის ხელმძღვანელობამ და მართლაც გამორჩეული ზეიმი მოუწყო მათ.

მრავალშვილიანებთან შესახვედრად მოვიდნენ ქალაქის პრემიერი თეიმურაზ ქურხული, ქალაქის საკრებულოს დეპუტატი ნანული ქაჩიბაია, ბიზნესმენები, რაიონის გამოჩენილი ადამიანები –

**ნინო მენაბდე – 11 შვილის დედა;**

**მანანა გუბელაძე – 8 შვილის დედა;**

**დარეჯან კობახიძე – 8 შვილის დედა;**

**თამარ დაუშვილი – 7 შვილის დედა** და მრავალი სხვა. ბევრი შვილებთან ერთად მოვიდა.



რაიონის გამგებელი, ავთანდილ დავითაძე თითქმის ყველა მათგანს იცნობს, იცის – ვის რა აწუხებს, ვის რა დახმარება სჭირდება, ბევრ მათგანს ოჯახში სწვევია კიდეც.

– აი, ეს ქალბატონი, რომელიც თავად ბავშვი გეგონებათ, უკვე მე-6 შვილს ელოდება, ამან კი – 20 თებერვალს მეშვიდე შვილი გააჩინა და ამ ზეიმზე ეს პატარაც მოიყვანა, – აღტაცებას ვერ მალავს გამგებელი, გრძნობთ, როგორი ამაღლებული და ბედნიერია იგი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს დღე განსაკუთრებული ყოფილიყო დედებისათვის. იყო უამრავი ყვავილი, ტკბილეულობა, შამპანური და, რა თქმა უნდა, ბედნიერი სახეები. დამსწრეთაგან ყველამ ვიგრძენით, ამ დროში როგორ მოგვენატრებია ასეთი სახეების ხილვა.

რაიონის გამგებელს, ბატონ ავთანდილს, ძლივს ვათქმევინეთ ორიოდე სიტყვა:

– ძალიან დიდი სურვილი მქონდა, რომ მრავალშვილიანი დედები მომეწვია გამგეობაში და ზეიმი მომეწყო მათთვის; ჩვენ, ხელისუფლება, ვალში ვართ მათ წინაშე. ამის გათვალისწინებით გადავწყვიტე რაიონში არსებული კომერციული სტრუქტურებისთვის მეთხოვა დახმარება. საბედნიეროდ, ვისაც შევეხმიანე, არავის უარი არ უთქვამს, ზოგმა ცოტა, ზოგმა უფრო მეტი გაიღო და შეიკრიბა იმდენი, რომ თითოეული მრავალშვილიანისათვის 100-100 ლარი, წიგნები, ყვავილები გადაგვეცა და ზეიმი მოგვეწყო. ვიცი, საკმარისი არც ეს არის, მაგრამ სხვა დროს კიდევ სხვა დახმარება იქნება. დღეს სწორედ ის დროა, ერთმანეთს ხელი მივაშველოთ და რითაც შეგვიძლია, დავეხმაროთ.

ამ ზეიმის მოწყობაში თავიანთი დანაზოგი შეიტანეს შპს „იბერიამ“, „თბილმა სახლმა“, „გუმმა“, „ფუკალმა“, „გიჩიმ“, „ინტერსექიურითი ჯორჯიამ“, „ბიზნეს-ალიანსმა“, „ნიუვეის ჯორჯიამ“, „კანტორა-200“-მა.

მადლობა მათ!

გავესაუბრე რამდენიმე ქალბატონს:

**თამარ დაუშვილი,** შვიდი შვილის დედაა. უმცროსი წლისა და ორი თვის ჰყოლია. თვითონ ექიმია, მეუღლე ეკონომისტი.

– თამარ, ცხოვრების არ გეშინოდათ, ნუთუ არ გაგტეხა ყოველდღიურმა საზრუნავმა? – ვეკითხები გაოცებული.

– შეშინებულის რა მეტყობა? – ამაყად მეპასუხება, – ყოველთვის ღმერთის იმედი მაქვს. ვიცი, არ გამწირავს და მუდამ დამიფარავს.

**ნინო მენაბდეს 11 შვილი ჰყავს,** თავად 42 წლისაა ბედნიერი დედა. ერთი შვილიშვილიც ჰყოლია 6 თვის, მისი პატარა კი 11 თვისაა.

– ნინო, ძალიან ახალგაზრდად გამოიყურებით, რამდენი წლისა გათხოვდით?

– ცხრამეტის.

– ალბათ სკოლის შემდეგ უმაღლესშიც ვერ ჩააბარეთ, არა?

– რატომ, უცხო ენათა ინსტიტუტი დავამთავრე, ინგლისური ენის სპეციალისტი ვარ.

– მეუღლე?! სად მუშაობს?

– მოძღვარია.

– გასაგებია. შენც ღრმად მორწმუნე ხარ?

– რასაკვირველია, ღმერთი რამდენ შვილსაც გვაჩუქებს, იმდენს გავაჩენთ. შვილები ჩვენი ბედნიერებაა.

– გამგეობის ხელმძღვანელობა ხშირად გეხმარებათ?

– გამგებელმა ყველა ჩვენგანის მდგომარეობა იცის, შეძლებისდაგვარად ყოველთვის გვეხმარება, მაგრამ მთავარი აქ მატერიალური დახმარება კი არა, ყურადღება და სიყვარულია, რასაც იგი, თითოეული ჩვენგანის მიმართ იჩენს. მიმაჩნია, რომ ადამიანური ურთიერთობა ხშირად გადამწყვეტია. ამისათვის მას დიდი მადლობა ჩვენგან.

**„უშრეტია დედაშვილობის, დედაშვილური სიყვარულის ძალა, დედობრივი სიყვარულის გარეშე დედა დედობას ვერ გასწევს...“ – ბრძანებდა ილია.**

**ჭეშმარიტად!**

**ნაზი იმნაიშვილი.**

სახელმწიფო მინისტრი

# პოლიტიკა ყველაზე მეტად კეთილსინდისიერებას მოითხოვს,–

## ამბობს ზინაიდა ბესტაევა



**ზინაიდა ბესტაევა – სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში. დაიბადა 1967 წელს, ცხინვალის რაიონში. 1984 წელს დაამთავრა ცხინვალის №7 საშუალო სკოლა.**

**1985 წელს ჩაირიცხა რიაზანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მისი დასრულების შემდეგ, მუშაობდა დაბა ბაკურიანში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტურბაზაში საქმის მწარმოებლად.**

**1991 წელს დატოვა საქართველოს ტერიტორია და ჩრდილოეთ ოსეთში დასახლდა. 1996 წლიდან მუშაობდა ლტოლვილთა საქმეების გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოსთან არსებული საბავშვო ფონდის ჩრდილოეთ ოსეთის განყოფილებაში სოციალური მუშაკის თანამდებობაზე, შემდეგ – საემიგრაციო სამსახურში.**

**2004 წლიდან საქართველოშია, აგვისტოდან დეკემბრამდე რეგიონული პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეა.**

**2004 წლის 17 დეკემბრიდან დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრად.**

... გულდაწყვეტილი ამბობს, პროფესიით ეკონომისტი ვარ, მაგრამ ერთი დღეც კი არ მიმუშავია ამ განხრით. ვლადიკავკაზში, ძირითადად, ქველმოქმედებას მისდევდა – ეხმარებოდა ლტოლვილებს, განსაკუთრებით მრავალშვილიან ოჯახებს, ობოლ ბავშვებს, მათთვის სასკოლო წიგნების, ჩანთების, რვეულების, ტანსაცმლის შეძენაზე ზრუნავდა. მათთვის საგზურებსაც შოულობდა, არდადეგებზე ნორმალურად რომ დაესვენათ. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, არაერთ ლტოლვილს სახლიც აუშენეს.

– მთელი ცხოვრება საქველმოქმედო საქმიანობაში ჩართული, უცებ პოლიტიკაში მოვხვდი. უკვე 7 თვეა, პოლიტიკაში ვარ, სიმართლე გითხრათ, ძალზე რთული საქმეა და დიდ კეთილსინდისიერებასაც მოითხოვს...

სახელმწიფო კანცელარიაში, ზინაიდა ბესტაევას კაბინეტში ვსაუბრობთ. ქართული ენა ექვს თვეში შეუსწავლია, რუსულად ინტერვიუს მოცემაზე არ დამთანხმდა, რადგან ქართულს მშვენიერად ფლობს. მიაჩნია, რომ საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა და პატივს სცემდეს მას.

მისი – სახელმწიფო მინისტრის საქმიანობა, ძირითადად, ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლებაა, რადგან უამისოდ სამოქალაქო ინტეგრაცია ვერ მოხდება.

– ადამიანი, რომელმაც ქართული ენა არ იცის, ფიქრობს, რომ თბილისში ის არავის დასჭირდება, ვერ დასაქმდება. ენის უცოდინრობის გამო ის ვერც სასწავლებლად ჩამოდის დედაქალაქში. თუნდაც პარლამენტში ცოტანი არიან: სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები. თუ შევძლებთ ამ მხრივ არაქართველების დაინტერესებას, ინტეგრაცია იოლად მოხდება...

სახელმწიფო მინისტრი ხშირად სტუმრობს ქვემო ქართლს, ჯავახეთს... ხვდება ადგილობრივ მოსახლეობას. კოსტა ხეთაგუროვის დაბადების დღეს ლაგოდეხის რაიონის ოსურ სოფელ არეშფერანში მიუწვევიათ. გული სწყდება, რომ გამოჩენილი ოსი მწერლის ძეგლი იქ აღარ არსებობს, 1991 წელს დაუნგრევიათ. არადა, ქართულოსური მეგობრობისა და ურთიერთობის ტრადიციები უეჭველად უნდა აღდგეს.

სახელმწიფო მინისტრი ზინაიდა ბესტაევა ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე მისთვის არსებითია ლტოლვილი ოსების დაბრუნება. ეს ინიციატივა პირველად საქართველოს ხელისუფლებისგან წამოვიდა: ვლადიკავკაზში ჩავიდნენ გივი თარგამაძე და ქანი კალანდაძე, შეხვდნენ ოს ლტოლვილებს და დაბრუნება შესთავაზეს.

– ბაკურიანში, დიდ მიტარბსა და პატარა მიტარბში მართლაც, ჩამოვიდა ოცი ოჯახი, მაგრამ ბავშვიანი ოჯახები მალევე უკან გაბრუნდნენ, რადგან უსახსრობის გამო ვერ მოვასწარით სკოლის შეკეთება. ბუნებრივმა პირობებმაც ხელი შეგვიშალა, ბაკურიანში მალე ზამთრდება და ოქტომბრიდან იქ უკვე დიდი თოვლია. ვფიქრობთ წლეულს, სკოლის საკითხს მოვაგვარებთ, მაგრამ თუ ამას მაინც ვერ მოვახერხებთ, განათლების მინისტრს კახა ლომაიას უკვე მოველაპარაკეთ, ბაკურიანის სკოლაში რუსული სექტორი გაიხსნას და პარალელურად ქართულიც ისწავლებოდეს.

მინდა გითხრათ, რომ ახლახან ბაკურიანიდან მიტარბამდე მშვენიერი გზა გაკეთდა, რომელიც კონფლიქტამდე არ არსებობდა და ძალზე ჭირდა ამ ორ სოფელს შორის კავშირი.

**– როგორია თავად ოსების განწყობა, მრავლად არიან დაბრუნების მსურველები?**

– მათი რიცხვი თანდათან იზრდება. უკვე 49 განცხადებაა შემოსული. მარტო ბაკურიანსა და მიტარბში კი არა, დაბრუნებას ითხოვენ ქარელში, ხაშურში, გორში, ზაჰესში...

**– სულ რამდენი იქნება საქართველოდან წასული ოსების რაოდენობა?**

– ალბათ, ოცი ათასამდე.

ზინაიდა ბესტაევას თქმით, ოსების დაბრუნების შესახებ პროექტი შემუშავებულია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია დაახლოებით რა თანხა სჭირდება ერთი ოჯახის დაბრუნებას. მაგრამ აუცილებელია არასამთავრობო ორგანიზაციების დაინტერესება, თანხების მოზიდვა, მხოლოდ სახელმწიფო მინისტრის ბიუჯეტი ამ საქმეს ვერ გასწვდება.

**– ორიოდე თვეა, რაც სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე იმყოფებით... და უცებ, ამას წინათ, აჟიოტაჟი ატყდა სახელმწიფო მინისტრების თანამდებობების გაუქმების თაობაზე. როგორ ფიქრობთ, მართებული იქნება, ვთქვათ, თქვენი თანამდებობის გაუქმება?**

– მაშინაც ვუთხარი ჟურნალისტებს: ჩვენი სამინისტრო ახლად შექმნილია, საქმე დავიწყე, მაგრამ ბოლომდე არ მიმიყვანია. ხალხს დაპირებები მივეცი და მტკივნეული იქნება ჩემთვის ამ საქმის ნახევარგზაზე დატოვება.

ვფიქრობ, გოგა ხაინდრავას თანამდებობა ძალზე მნიშვნელოვანია. იმ საქმის შეწყვეტა, რასაც ის აკეთებს, არ შეიძლება. ალბათ, სამოქალაქო ინტეგრაციაც აუცილებელია. არა მგონია, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ამაზე უარყოფითი აზრისანი იყვნენ.

ჩემთვის თანამდებობა და ხელფასი არსებითი არ არის. თუ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა გაუქმდება, ალბათ, დეპარტამენტი მაინც დარჩება, რომელიც ეროვნულ უმცირესობებზე იზრუნებს... აქ დაბადებულმა ოსებმა, სომხებმა თუ აზერბაიჯანელებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ ქართული ენა და ეს დიდი საქმეა...

**ზინაიდა ბესტაევა ამბობს, რომ მისი სამშობლო საქართველოა. მართალია ცხინვალში მშობლებისა და ძმის დამწვარი სახლებია დარჩენილი და იქ არავინ ცხოვრობს, უსაქართველოდ, ალბათ, ვერ იცხოვრებს. მისი მეუღლე წარმოშობით ბაკურიანიდანაა, გვარად ქუმარიტაშვილია და მოხუც დედას ვერ ტოვებს. თავად ზინაიდა ორ შვილთან ერთად თბილისში, ქირით ცხოვრობს. ბორისი საფინანსო კოლეჯის მე-3 კურსის სტუდენტია, ბელა – სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის I კურსზე სწავლობს.**

**– შვილებიც საქართველოს სიყვარულით გაიზარდნენ. ჩვენ გვჯერა, რომ იგი გამთლიანდება. დრო ყველაფრის მკურნალია. ხალხი დაიღალა ომით. მათ კეთილმეზობლური, მშვიდობიანი ცხოვრება უნდათ. გვწამს, მალე ყველაფერი კარგად იქნება..:**

**თამარ შაიშმელაშვილი.**

კონტაქტები

# თემა: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ევროკავშირის გაფართოება

## ქართველი სტუდენტები ფლორენციაში

**ამას წინათ ფლორენციაში გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც პირველად იყო მიწვეული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენციაზე ჩვენი უნივერსიტეტი წარმოადგინა ისტორიის ფაკულტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სპეციალობის რვა სტუდენტმა, რომლებიც იტალიაში პროფესორ ია ხუბაშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრნენ.** კონფერენციის ორგანიზატორი იყო რომუალდო დელ ბიანკოს სახელობის ფონდი, რომლის დამფუძნებელია იტალიასა და მთელ ევროპაში ცნობილი ბიზნესმენი პაოლო დელ ბიანკო. პაოლო დელ ბიანკოს ეკუთვნის უკვე კარგად ცნობილი პროექტი „საერთაშორისო შეხვედრები ფლორენციაში“, რომლის მიზანია სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ყოველწლიური შეხვედრები „ფლორენციისათვის, კულტურისათვის და მეგობრობისათვის ახალგაზრდებს შორის“. პაოლო დელ ბიანკომ ამ პროექტის განსახორციელებლად მის მიერ დაარსებულ ფონდს მამამისის – იტალიის შრომის ორდენის კავალერის რომუალდო დელ ბიანკოს სახელი უწოდა.

იტალიაში გამგზავრებამდე პროფესორმა ია ხუბაშვილმა იტალიაში გააგზავნა თავის სტუდენტთა მიერ მომზადებული იმ ნაშრომების ნუსხა, რომლებშიც იტალიის ისტორიის დიპლომატიისა და კულტურის საკითხებია შესწავლილი. ფონდის გენერალურმა დირექტორმა სიმონე ჯომენტიმ წინასწარ გაგზავნილი მასალების გაცნობის შემდეგ ქართველი სტუდენტები და მათი პროფესორი ფლორენციაში მიიწვია.

ფლორენციის წლევანდელი კონფერენციის თემა იყო „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ევროკავშირის გაფართოება“. ქართველ სტუდენტთა გარდა მის მუშაობაში მონაწილეობდნენ უნგრეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და რუსეთის (მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის) უნივერსიტეტების სტუდენტები.

მოხსენებებთან ერთად ქართველმა სტუდენტებმა მასპინძლებს და კონფერენციის სხვა მონაწილეებს წარუდგინეს კინოფირი, რომელზეც ასახულია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ფონდში შეტანილი ქართული კულტურის ძეგლები და ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები.

კონფერენციის პარალელურად შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებით ცნობილი ქალაქი. კონფერენციის დასკვნით სადამოს კი ყველა ჯგუფს, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის თითო წარმომადგენელი შედიოდა, უნდა წარმოედგინა მოხსენება, თუ რა მისცა მათ ერთმა ფლორენციულმა კვირამ. ჟიურიში, რომელსაც უნგრელი პროფესორი იშტვან ბონა თავმჯდომარეობდა, შედიოდნენ დელეგაციათა ხელმძღვანელები. კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს შორის იყო თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ანა ჯღარკავა. მას და მასთან ერთად კონფერენციის მონაწილე ყველა სტუდენტს და პედაგოგს პაოლო დელ ბიანკომ ფლორენციის შეხვედრის მონაწილეთა სერტიფიკატები გადასცა. ამასთან, კონფერენციის მთავარი მასპინძელი სტუმრებს უზარმაზარი ტორტით გაუმასპინძლდა.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ეს პირველი მონაწილეობა ფლორენციის კონფერენციაში წარმატებული აღმოჩნდა, რაზეც მეტყველებს ფლორენციიდან თსუ რექტორის, პროფესორ რუსუდან ლორთქიფანიძის სახელზე გამოგზავნილი წერილიც.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია იტალიაში საქართველოს საელჩოსა და თბილისში იტალიის საკონსულოს ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა გულისხმიერი დამოკიდებულება ქართული დელეგაციის წევრებისადმი.

ქართველი სტუდენტები ფლორენციის შეხვედრებში მომავალშიც მიიღებენ მონაწილეობას.

**სოსო დონაძე.**

**სურათზე: კონფერენციის ქართველი მონაწილენი პაოლო დელ ბიანკოსთან (შუაში) ერთად; მისგან მარჯვნივ – პროფესორი ია ხუბაშვილი.**



მხარე

# მუზეუმს დაკარგული ნივთები უბრუნდება

**ადრეულ წლებში მიზეზთა გამო ზუგდიდის ეთნოგრაფიული მუზეუმიდან არაერთი ისტორიული მნიშვნელობის ნივთი გაიტანეს, რომლებსაც იგი ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ნელ-ნელა იბრუნებს.**

ახლახანს 59 წლის წინათ გატანილი შალვა დადიანის საწერი მაგიდა დაიბრუნა. 1946 წელს ამ მაგიდასთან ერთად რამდენიმე ნივთი გაუტანიათ, მათ შორის, ორი ვენეციური ჭაღი, მათ მაგიდაზე ადრე მიაკვლიეს და დაიბრუნეს მუზეუმის ხელმძღვანელებმა.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმს მარი ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრებაც“ დაუბრუნდა. შეიძლება ითქვას, რომ მას მაგიდაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც მუზეუმის მუშაკები ამბობენ, მასზე თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერებია შენიშვნებითურთ. ბატონიშვილმა წიგნი სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს გამოუგზავნა საჩუქრად.

**ოდიკ ქუხილავა.**
**„სრ“ საკ. კორ.**

ინფორმაცია

### აჭარის ტელევიზია ჟურნალისტების გარეშე დარჩა

**გუშინ ტელევიზია პროტესტის ნიშნად 10-მა ჟურნალისტმა დატოვა. მათ სოლიდარობა გამოუცხადეს საინფორმაციო სამსახურის უფროსს ნატა იმედაიშვილს და განაცხადეს, რომ უმკაცრესი ცენზურის პირობებში მუშაობას არ აპირებენ.**



**ჟურნალისტ სუზი ვაშაყმაძის განცხადებით, „ასლან აბაშიძის დროინდელი აჭარის ტელევიზიის არასწორი პოზიციის მიუხედავად, მოსახლეობამ „ბათუმური რევოლუციის“ მეორე დღეს ტელევიზია მაინც დაიცვა“. „ჩვენ არ გვაქვს უფლება, ცენზურის პირობებში ვიმუშაოთ და მოსახლეობა კვლავ მოვატყუოთ“ - აღნიშნა მან.**

**აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებს ტექნიკური პერსონალიც შეუერთდა. ამგვარად, ტელევიზიის ხელმძღვანელობის გადადგომის მოთხოვნით მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეთა რიგები გაიზარდა.**

### ბზიფში ელექტრონული მრიცხველი დამონტაჟდება

**აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობა გაკონტროლდება. ბზიფის ქვესადგურში დამონტაჟდება ელექტრონული მრიცხველი, რომელიც აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობას დააფიქსირებს. ამის შესახებ შეთანხმებას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრემიერმა ლეონიდ ლაკერბაიამ გუშინ გამართული შეხვედრისას მიაღწიეს.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, მომავალ კვირას „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ თანამშრომლები აფხაზეთში ჩავლენ და ბზიფის ელექტროსადგურში მრიცხველს დაამონტაჟებენ. ამასთან, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას გადაწყდა, რომ „ენგურჰესის“ სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის სამთვიან პერიოდში აფხაზები ელექტროენერგიის მოხმარებას 40 მეგავატით შეამცირებენ.**

**“აფხაზები ამ კუთხით ჩვენთან ყოველთვის თანამშრომლობდნენ. როდესაც სისტემაში ფორსმაჟორია, ისინი საკუთარ მოხმარებას ზღუდავენ“, - განაცხადა გილაურმა.**

**მისივე თქმით, მიღწეულია შეთანხმება სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის დროს იქ მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების გარანტიების შესახებ. ასევე, გვირაბის რეაბილიტაციისთვის საჭირო საშენი მასალების უსაფრთხო გადაადგილების თაობაზე.**

### მხარს უჭერენ სტუდენტებისთვის სამხედრო სამსახურის გადავადებას

**საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი მხარს უჭერს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის სწავლის პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებას.**

**კომიტეტმა გუშინ პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანას, რომელიც სტუდენტებისთვის სამხედრო სამსახურის გადავადებას ითვალისწინებს.**

**შესაბამის ცვლილებებს პარლამენტი, სავარაუდოდ, მომდევნო სასესიო კვირას დაამტკიცებს.**

**გუშინვე, კომიტეტმა მხარი დაუჭირა წინადადებას ვაზიანის საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის ვადის არანაკლებ სამი წლით განსაზღვრის შესახებ.**

### კონკურსი 209 ვაკანტურ თანამდებობაზე

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 209 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. კონკურსი მხოლოდ ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისთვისაა გათვალისწინებული.**

**კონკურსს სამინისტროს საატესტაციო კომისია სავარაუდოდ, აპრილის დასაწყისში ჩაატარებს. მასში მონაწილეობის მიღება 21-დან 65 წლამდე ასაკის პირებს შეუძლიათ.**

**სამინისტროში ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, რა სახით ჩატარდება კონკურსი და შეფასების რა კრიტერიუმები იქნება შერჩეული.**

### ყველა თანამშრომელი გათავისუფლებულია

**სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის სანიტარიულ-საკარანტინო სამმართველოს ყველა თანამშრომელი გათავისუფლებულია. ამ გადაწყვეტილების მიზნად ინსპექციაში კორუფციის აღმოფხვრას და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას ასახელებენ.**

**გამოთავისუფლებულ ადგილებზე ახალი თანამშრომლები კონკურსის წესით დაინიშნებიან, რომელიც 1, 2 და 3 აპრილს გაიმართება.**

**კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ, სერტიფიცირებული ჰიგიენისტები იყვნენ.**

**საქართველოს საზღვრის გამტარ პუნქტებსა და ტერმინალებზე ახლად დანიშნული თანამშრომლები უზრუნველყოფილნი იქნებიან სპეცტანსაცმლით, მათი საშუალო ხელფასი გაიზრდება და 400-დან 500 ლარამდე იმერყევებს.**

**ინტერ-პრესი.**

აკრძალული ზონა

# „თქვენი სახეები ვარსკვლავებს ათიათასჯერ უფრო გააკაშკაშებს“

**რამდენჯერაც ამ მაღალი, მავთულხლართიანი კედლის მიღმა გადავაბიჯებ და ამ ბიჭებს შევხვდები, ბიჭებს, რომელთა დღევანდელ ყოფას მშობლების, პედაგოგების და მთელი საზოგადოების უდიდეს შეცდომას დავარქმევდი, კიდევ უფრო მიმტკიცდება აზრი: – ეს ყმაწვილები უყურადღებობის, გულგრილობის და განუკითხაობის მსხვერპლი არიან. მათ მხოლოდ ღირებულებების ორიენტირი აქვთ არეული, სიკეთესა და ბოროტებას შორის საზღვარი აქვთ წაშლილი.**

არ ვიცი როგორ ვესაუბრო მათ, როგორც დამნაშავეებს თუ როგორც ჩვეულებრივ ბავშვებს, რომლებსაც ცხოვრების დასაწყისშივე ფეხი დაუცდათ და რაღაცა სერიოზულად შეეშალათ.



ნინო ავსაჯანიშვილი.

რამ ჩაადენინა მათ დანაშაული: „არასრულფასოვანი გარემო ოჯახში“, „მშობლების სუსტი კონტროლი“, „ინტერნატში აღიზარდა“, „ობოლი“, „დედის მავნე გავლენა“, „პატიმარი მშობლები“, „ავადმყოფი მშობლები“, „მცირეწლოვანი დაძმა“ – აი, ასეთი ძუნწი მონაცემებია მათ პირად საქმეში. როდესაც მათ გაესაუბრებით, ეს მშრალი სიტყვები სულ სხვა აზრს იძენენ.

* * *

ნინო ავსაჯანიშვილი 17 წელიწადი ზაჰესის საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. როდესაც 39-ე სკოლაში მუშაობა შესთავაზეს, ცოტა არ იყოს შეცბა, შეეშინდა კიდეც, მსჯავრდადებულთა მასწავლებლობა ვერც კი წარმოედგინა. საკუთარ მოძღვარს გაუზიარა გულისნადები, ვაითუ, ვერ შევძლოო.

– ერთი ბავშვიც რომ გამოსწორდეს, ესეც დიდი მადლიაო, – მიუგო მოძღვარმა.

პირველი გაკვეთილი მეთერთმეტე კლასში ჰქონდა, ვიდრე კლასში შევიდოდა, პირად საქმეებს გადახედა. ისე შეშინდა, ერთ ხანს უკან გაბრუნება გადაწყვიტა. წარმოიდგინეთ, რა ხასიათზე დადგებოდა: 17 მოსწავლიდან 11 მკვლელობისთვის, 6 კი ყაჩაღობისთვის იხდიდა სასჯელს.

თვალწინ დაუდგა მოძღვარი – რა პასუხს გასცემს?

ასე ხელებაკანკალებულმა შეაღო ოთახის კარი, ჰოი, საოცრებავ, სრულიად ჩვეულებრივი თვალმახარა ბიჭები წამოუდგნენ ფეხზე. ცოტა გული მოეცა, რა საშინელებასაც ელოდა, ის არ დახვდა.

ერთმანეთის მიყოლებით ფეხზე დგებოდნენ ყმაწვილები და მკვლელობის საშინელ ისტორიებს ჰყვებოდნენ. თანდათან ეკუმშებოდა გული, ბოლოს კი, როდესაც მშვიდი გამომეტყველების მშვენიერი ყმაწვილი ადგა და ისიც მკვლელი აღმოჩნდა, ნინო მასწავლებელმა თავი ვეღარ შეიკავა, მივარდა ბიჭს, მისი ხელები საკუთარ ხელებში ჩაბღუჯა და შესძახა: განა შეიძლებოდა შენს ხელებს კაცი მოეკლათ? და მწარედ აქვითინდა.

ბიჭები გაოცებით შეჰყურებდნენ.

– მე, იქ ქვემდებარესა და შემასმენელზე ნამდვილად ვეღარ დავიწყებდი საუბარსო, – მეუბნება ნინო – რელიგიური ვარ, ცოდვასა და მონანიებაზე ვამჯობინე დიალოგის გაბმა. თუ მოინანიებ, უფლის წყალობა ხომ უფრო დიდია-მეთქი. ერთბაშად გაქრა შიშის გრძნობა.

– სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ ჩემი ხმა ისმოდა. ვიგრძენი, – ამ ბავშვებს მართლა ვჭირდებოდი, მე უკვე გულწრფელად მიყვარდა ისინი, ასე, ერთი ნახვით შეყვარება, მაშინ ვიწამე.

– ზარი დაირეკა, მაგრამ არც ერთი არ განძრეულა, ისე გადაება ორი გაკვეთილი ერთმანეთს, სულგანაბულები მისმენდნენ. ზოგიერთს ცრემლიც ჩამოუგორდა ლოყაზე. შემდგომ ის კლასი ჩემი სადამრიგებლო გახდა. მეორე დღეს კლასიდან რომ გამოვედი, ერთი ყმაწვილი დერეფნის ბოლოს დამეწია და მკითხა:

– მე თუ მეშველება რამე?

– არ არსებობს ცოდვა, რომელიც უფალმა არ მიუტევოს, – ვუპასუხე.

დავინახე, როგორ გაუბრწყინდა თვალები.

ცოტა დრო რომ გავიდა, ერთმა მითხრა: ის, რაც გვაკლდა, თქვენ შეგვივსეთო. ხმამაღლა ნათქვამად ნუ ჩამომართმევთ და ეს სიტყვები ჩემთვის ყველაფერია...

ყველაფრის მიუხედავად, მაინც ისმება კითხვა: – კოლონიაში მოხვედრილი მოზარდი გამოსწორდება თუ არა?

– ჩემი აზრით, – მეუბნება ნინო, – პატიმარი, რომელიც კოლონიაში გაჭირვებამ მოიყვანა, აუცილებლად გამოსწორდება, თუ სახელმწიფო მას ნორმალური ცხოვრების პირობებს შეუქმნის. თუ ის იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდება გათავისუფლების შემდეგ, უკან მობრუნება გარდაუვალია.

როგორ შეიძლება გამოსწორდეს მოზარდი, როდესაც მის ოჯახს დღითი დღე უფრო უჭირს. არ არის სამუშაო და, თუ ვინმე მუშაობს, მასაც მცირეოდენი ხელფასი ეძლევა. როდესაც მოზარდი ამას უყურებს, იძულებული ხდება, დანაშაულებრივი გზით არჩინოს ოჯახიცა და საკუთარი თავიც.

– ამ ნამუშევრებს არავითარი პრეტენზია არა აქვთ მხატვრულ ღირებულებაზე, – მეუბნება კოლონიის თანამშრომელი ალეკო აჭარაძე და ნახატებს მაჩვენებს. ისინი ისეთები არიან, როგორც მისმა ავტორმა შექმნა. უბრალოები, უფრო მეტიც, პრიმიტიულები, მაგრამ ისინი არსებობენ, არსებობენ მის ავტორთან ერთად, რომელიც ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების ბინადარი იყო. იგი ხატავს, ხატავს როგორც იცის, როგორც შეუძლია, როგორც სჯერა. მისი ნახატები ზოგჯერ მკაცრია („მოკალით ბარდო“), ზოგჯერ კი მშვიდი („მაცხოვარი“). ზოგშიც სითბოს დანატრებული ადამიანის სული იგრძნობა. ამიტომაცაა ყველა ნახატში კარები ღია. ამ ნახატების ავტორს სახლი არა აქვს. ის ხანძარმა გაანადგურა, მაგრამ მას ჰყავს დედა, მას აქვს ოცნება, რომ ოდესღაც ექნება სახლი, სახლი რომლის კარსაც არასოდეს დაკეტავს, და რომ ამ სახლში ის დედასთან ერთად იცხოვრებს.

ხანდახან კარი დატოვეთ ღია...

– სამწუხაროდ, იგი უკვე სრულწლოვანია და ციხეში გადაიყვანეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩვენ სკოლაში არ ვიყავით. გიომ გამოსამშვიდობებელი წერილები დაგვიტოვა. იქნებ ამ წერილებსაც გადახედოთო, – მეუბნება ნინო მასწავლებელი და ბარათებს მაწვდის.

**მასწავლებლებს**

**მასწავლებლებო, სამწუხაროა, რომ წერილით მომიწია დამშვიდობება და მადლობის გადახდა.**



გიო ჭელიძის ნახატი.

**ჩემო ტკბილო ხალხო, მადლობა, რომ თქვენი მოვალეობა ხუთიანზე შეასრულეთ და ცოდნა დამიტოვეთ.**

**მადლობა, რომ ჩემს გულისტკივილს იზიარებდით და გვერდში მედექით.**

**მე კი, უნდა დაგტოვოთ. ვიცი, მომენატრებით იქ, ციხეში, ღამე ცას რომ ავხედავ, თითოეული თქვენთაგანის დაუვიწყარი სახეები გამოჩნდება ვარსკვლავებში, რომლებიც მათ ათი ათასჯერ უფრო გააკაშკაშებს.**

**კარგად იყავით!**
**თქვენი მოწაფე**
**გიო ჭელიძე.**

მე ამ ყმაწვილების სამყარომ გამაოცა, იმათმა ბედმა თუ უბედობამ მომგვარა ცრემლი, ვისზე საფიქრალი დრო ვეღარ გვიპოვია, ვისი ცხოვრების გზაც უკვე გარკვეულ-დაკანონებული გვგონია. არადა, მათ სწორედ ახლა სჭირდებათ, თურმე მეგზური და მასწავლებელი. სწორედ ახლა ხედავენ ისინი ცხოვრებას ბევრ გაზულუქებულ ჩინოვნიკზე უკეთ.

ჩვენ კი, მათთვის მხოლოდ ჭკუის დამრიგებლად ვქცეულვართ. იქნებ ჩავიხედოთ საკუთარ სულში და მათი დანაშაულის მიზეზი იქ ვეძიოთ. უყურადღებოდ და უსიყვარულოდ დარჩენილი ბავშვი ხომ ყოველთვის იოლი ლუკმაა დამნაშავე სამყაროსთვის. და ვიდრე ჩვენი ქუჩები სავსეა მათხოვრებითა და მაწანწალებით, აშკარაა, რომ იქ, მავთულხლართებს მიღმაც არ შემცირდება მათი რიცხვი...

ყველას უნდა გვეყოს ვაჟკაცობა და ვაღიაროთ, რომ კედლებს იქით მთელი ჩვენი საზოგადოების დიდი შეცდომაა, რომელსაც ხანდაზმულობის ვადა არა აქვს.

**მარადი ანასაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 52, შაბათი, 5 მარტი, 2005 წელი.

⊙ კრივი

# 125 მოკრივე ვარიანში



**ვარიანის (გორის რაიონი) სპორტულ კომპლექსში ხუთ დღეს გრძელდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავით კვაჭაძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კრივის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული რესპუბლიკური სასპორტო სკოლის (დირექტორი რევაზ მეგრელიშვილი) ღია პირველობა (მთავარი მსაჯი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ავთანდილ შოშიაშვილი). შეჯიბრებაში 14 ქალაქისა და რაიონის 1988-89 წლებში დაბადებული 125 მოკრივე მონაწილეობდა. ეს იყო ძალთა ერთგვარი დათვალიერება საქართველოს პირველობის წინ.**

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **გიორგი თუთაშვილი** (ახალსოფელი), **ვახტანგ წინამძღვრიშვილი, ვახტანგ გაგნიძე, ანზორ ბესტავაშვილი, გიორგი ეგნატაშვილი** (ყველა — გორი), **ალეკო ვახტანგიშვილი, კახა ლაზარაშვილი, გიორგი ყველაშვილი, გიორგი გოგინაშვილი, დავით გოგიშვილი** (ყველა — ვარიანი), **ნიკოლოზ ოთიკაშვილი** (დუშეთი), **დავით ნავერიანი** (მარნეული), **კახაბერ თედიაშვილი** (ბორჯომი), **ნოდარ იველაშვილი** (გამარჯვება) და **გელა მამადაშვილი** (თბილისი).

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, „ოლიმპიური ენციკლოპედიებით", კერამიკული ხელთათმანებითა და სხვა ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **თემურ სამადაშვილმა,** კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი კანდელაკმა,** გორის რაიონის გამგებლის მოადგილემ **გურამ აბრამიძემ,** სპორტის ოსტატმა **უჩა ზურაბაშვილმა** და სკოლის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რამაზ ნიკოლაძემ.**

სპეციალური პრიზები დაიმსახურეს პერსპექტიულმა მოკრივეებმა — **ამბაკო თოდუამ** (ნარაზენი) და **რომა გევორქიანმა** (თბილისი), რომლებიც შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ.

— მოხიბლული ვარ შეჯიბრების ორგანიზაციით, — გვითხრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბატონმა თემურ სამადაშვილმა — ასპარეზობის ხელმძღვანელებმა მცირე დროში შეძლეს ასეთი ლამაზი შეჯიბრება ეჩუქებინათ მოზარდებისთვის.



განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ 2005 წლამდე სასპორტო სკოლები, ფაქტობრივად, არ ფინანსდებოდა. ნამდვილად გმირები არიან ის ადამიანები, რომლებმაც შიშველ ენთუზიაზმზე შეინარჩუნეს ეს სასწავლებლები. შარშან ჩვენმა სამინისტრომ შეძლო რესპუბლიკური სასპორტო სკოლების დავალიანებათა დაფარვა, რისთვისაც 300 ათას ლარზე მეტი გავიღეთ. წლეულს ბიუჯეტში 750 ათასი ლარი გვაქვს გათვალისწინებული, რაც ამ სკოლებს უკეთ მუშაობის რეალურ საშუალებას მისცემს.

ვარიანში ბატონი გიორგი კანდელაკის წყალობით შესანიშნავი სპორტული კომპლექსი მოეწყო ჩინებული სასტუმროთი. ასპარეზობის მონაწილენი ნამდვილ კომფორტში ცხოვრობდნენ და შეჯიბრების ყველა ხარჯი ჩვენმა სამინისტრომ გაიღო. მართლაც, კარგი საქმე გავაკეთეთ ამ ჭაბუკებისთვის. მათს ანთებულ თვალებს და მონდომებას რომ ვუყურებდი, გულწრფელად მიხაროდა. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ მოზარდებს სპორტულ საქმიანობაში ჩაბმის სურვილი არ ჩავუკლათ.

მესმის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონატებს ვერ გაზრდის, მაგრამ მათს დაოსტატებას ჩვენ უნდა ჩავუყაროთ საფუძველი. სასპორტო სკოლებისთვის წლეულს გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი, ამიტომ, ვეცდებით, გაისად იგი გავზარდოთ, რაც ხელს შეუწყობს როგორც კრივის, ისე სპორტის სხვა სახეობების „გეოგრაფიის" გაზრდას. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რაიონების ნორჩ ათლეტთა ფართოდ ჩაბმას სპორტულ პაექრობებში. სამწუხაროდ, ეს ორი რეგიონი წლების განმავლობაში ამოვარდნილი იყო საქართველოს საგანმანათლებლო სივრციდან და შედეგიც, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა.

წლეულსვე დავიწყებთ პერიფერიებში როგორც სასპორტო, ისე ჩვეულებრივი სკოლების სპორტული დარბაზების შეკეთებას, შესაძლებლობის მიხედვით, შევიძენთ ინვენტარსაც, ფიზიკური აღზრდა კვლავ გახდება ჩვეულებრივი სასკოლო საგანი. რეფორმების გატარების შემდეგ, მერწმუნეთ, ბევრად უფრო ჯანსაღი ახალგაზრდობა გვეყოლება და ვარიანში გამართული შეჯიბრების მსგავს პაექრობებშიც მეტი ახალგაზრდა იასპარეზებს.

— ჩემი მხრივ, უნდა დავძინო, რომ საპრიზო ადგილებზე გასული მოკრივეები ვარიანშივე გაივლიან თორმეტდღიან შეკრებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, — ჩაერია საუბარში **რევაზ მეგრელიშვილი** — ჭაბუკებს შესანიშნავი პირობები აქვთ, რათა საქართველოს პირველობისა და დავით კვაჭაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის საფუძვლიანად მოემზადონ...

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: მერაბ სამადაშვილი; შეჯიბრების მომენტი.**

⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— მიმდინარე წლის მარტში შვილს ველოდები. გთხოვთ განმიმარტოთ რა დახმარება და შეღავათი მეკუთვნის ბავშვის შეძენისას. უფრო კონკრეტულად, მეკუთვნის თუ არა ნაწილობრივ ფასიანი შვებულება.**

**თუ შეიძლება ისიც მაცნობეთ, როცა მომუშავე დედას ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით უფასო შვებულების აღება არ სურს და ოჯახი გადაწყვეტს მის მაგივრად ბავშვს ბებიამ მიხედოს, რომელიც ასევე მომუშავეა, ითვალისწინებს თუ არა რაიმე გარანტიას ბავშვის ფაქტიური მომვლელის მიმართ კანონი?**

**შორენა ბოცვაძე.**

— საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება მშობიარობამდე სამოცდაათი კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ ორმოცდათექვსმეტი (გართულებული მშობიარობის ან ორი ან მეტი ბავშვის შეძენის შემთხვევაში სამოცდაათი) კალენდარული დღის ხანგრძლივობით. ორსულობისა და მშობიაროს გამო შვებულება გამოიანგარიშება შეჯამებულად და ქალს მიეცემა მთლიანად, მშობიარობამდე ფაქტობრივად გამოყენებული დღეების რაოდენობის მიუხედავად.

ფასიანი დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ ქალს უფლება აქვს მოითხოვოს უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად მისი სამი წლის შესრულებამდე. აღნიშნული 3 წლის განმავლობაში დედას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და ეს პერიოდი ეთვლება როგორც განუწყვეტელ, ისე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში.

თუმცა შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლში აღნიშნულია ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე დედისათვის ნაწილობრივ ფასიანი შვებულების მიცემის შესახებ, მაგრამ ამ საკითხზე რაიმე კანონქვემდებარე აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა დახმარების ოდენობა და დაფინანსების წყარო, დღემდე მიღებული არ არის. რის გამოც მოკლებული ვართ კანონიერ შესაძლებლობას დადებითად გადავწყვიტოთ აღნიშნული საკითხი.

რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა დედის ნაცვლად ბავშვს მოუაროს ბებიამ, განვმარტავთ, რომ კანონის თანახმად ფასიანი დეკრეტული შვებულებით ყველა შემთხვევაში უნდა ისარგებლოს ბავშვის დედამ, ხოლო უხელფასო შვებულება დედის ნაცვლად, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ შეუძლია გამოიყენოს მომუშავე ბებიამ, პაპამ, მამამ ან სხვა ნათესავმა, რომლებიც ფაქტობრივად განახორციელებენ ბავშვის მოვლას და როგორც ბავშვის დედას (თუ იგი მოუვლიდა ბავშვს) მათაც ეს პერიოდი ჩაეთვლებათ საერთო და უწყვეტ შრომის სტაჟში.

ამისათვის აუცილებელია იმ პირის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციისათვის მიმართვა, რომელიც ფაქტობრივად მოუვლის ბავშვს და ბავშვის დედის სამუშაო ადგილიდან სათანადო საბუთის წარდგენა, რომ იგი ბავშვის მოსავლელად შვებულებით არ სარგებლობს.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

**2005 წლის 23 თებერვლის № 43 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ გამოცხადებულ განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები და დამატებები:**

**1. ავტომობილების შესყიდვის ტენდერში უნდა იყოს:**

| ლოტი № | დასახელება | განზ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| I ლოტი | მსუბუქი ავტომანქანა, 2005 წლის გამოშვება, ძარა სედანი, ბენზინის 4 ცილინდრიანი ძრავა, ძრავის მოცულობა მინიმუმ 1600 სმ³, 4 კარი, მექანიკური 5-სიჩქარიანი კოლოფი | ცალი | 1 |
| II ლოტი | მაღალი გამავლობის ავტომანქანა (4X4), 2005 წლის გამოშვება, ბენზინის 4 ცილინდრიანი ძრავა, ძრავის მოცულობა მინიმუმ 1700 სმ³, 3 კარი, მექანიკური 5-სიჩქარიანი კოლოფი, თუნუქის ძარა. | ცალი | 8 |

⊙ სპორტულ ორბიტაზე

## ყაიმების მოზღვავებაში ვალეხომ გაიბრწყინა



**ლიახ, ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლებული ლინარესის სუპერტურნირის მეორე ნახევრის პირველი, საერთოდ კი მე-7 ტურის ყველა პარტია ყაიმით დამთავრდა. მსოფლიო რეიტინგის უცვლელი ლიდერი გარი კასპაროვი „თეთრებით" ეთამაშებოდა ვესელინ ტოპალოვს. საერთოდ ამას ერთგვარ უპირატესობად მიიჩნევენ, თუმცა ამ პარტიაში ეს დიდად არ გამომჟღავნებულა და მეტოქეები 21-ე სვლაზე დაზავდნენ. ერთი სვლით მეტხანს გაგრძელდა მაიკლ ადამსისა და ვიში ანანდის პარტია. ისინი 22-ე სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე. ვალეხოსა და ლეკოს კი ამისათვის მხოლოდ 13 სვლა დასჭირდათ.**

მერვე ტურში ყველაზე ადრე კასპაროვისა და ლეკოს პარტია დამთავრდა ყაიმით. ადამსმა და ტოპალოვმა დაზავებას 48 სვლა მოანდომეს.

ამ ყაიმების ორომტრიალში სპეციალისტები სენსაციურ გამონათებად მიიჩნევენ ვალეხოს გამარჯვებას ფიდეს მსოფლიო ჩემპიონთან კასიმჯანოვთან.

8 პარტიის შემდეგ 4,5 ქულით 7 შესაძლებლიდან ლიდერობს კასპაროვი, ტოპალოვს 4 (7) ქულა აქვს, ანანდის — 3,5 ექვსიდან, ლეკოსაც — 3,5, ოღონდ შვიდი პარტიიდან. შემდეგ მოდიან ადამსი — 3 (7), კასიმჯანოვი 3 (7) და ვალეხო 2,5 (7).

## 3,5 მილიარდ დოლარად

**ორმა ამერიკულმა კომპანიამ გამოთქვა ეროვნული ჰოკეის ლიგის ყველა 30 გუნდის შეძენის მზადყოფნა. ბოსტონში მდებარე დიდი საინვესტიციო კომპანია Bain Capital Partners LLC და ნაკლებად ცნობილი ფირმა Game Plan Intnational ამისათვის 3,5 მილიარდ დოლარზე მეტის გაღებას აპირებენ.**



ეს სენსაციური წინადადება წამოაყენეს ნიუ-იორკში 30-წუთიანი პრეზენტაციის დროს, რომელიც ლიგის კომისარმა ჰერი ბეტმენმა მოაწყო. „ბითუმად მოვაჭრეები" დარწმუნებულები არიან, რომ გუნდების მფლობელთა უმრავლესობა, რომლებმაც ბოლო 2 სეზონში უკვე 500 მილიონი დოლარი დაკარგეს, უარს არ იტყვის თავისი ბიზნესის დათმობაზე.

შარშან ჟურნალმა Forbes ეროვნული ჰოკეის ლიგა 4,9 მილიარდად შეაფასა.

## იწყება დიდი რბოლები

**გუშინ შორეულ მწვანე კონტინენტზე დაიწყო „ფორმულა-1"-ის ახალი სეზონის პირველი რბოლის თავისუფალი ტესტები, ხვალ კი მელბურნში, ალბერტპარკის ავტოდრომზე გაიმართება „ავსტრალიის გრან-პრის" გათამაშება.**

იქამდე კი ხუთშაბათს გაიმართა ამ რბოლის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი პარადი. მის სანახავად მელბურნის ქუჩებში გამოვიდა 150 ათასზე მეტი ადამიანი. მოეწყო სპორტული ავტომანქანებისა და „ფორმულა-1"-ის ბოლიდების საჩვენებელი რბოლა იმპროვიზირებულ წრეზე, მელბურნის მთავარ ღირსშესანიშნაობებს რომ მოიცავდა. უამრავმა ფოტოკამერამ აღბეჭდა ჩამოსული თუ ადგილობრივი ლამაზმანებიც.




## განცხადება

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ამა წლის 19 იანვარს გამოცხადებულ ღია ტიპის ტენდერში, საავტომობილო საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „კანარგოსტანდარტ ოილ პროდუქტი".

**საქართველოს კონტროლის პალატი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (2005 წლის 27 თებერვალი № 47) საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში, არის შეცდომა. კერძოდ: მე-7 მუხლის მე-2 აბზაციდან ამოსაღებია წინადადება: „პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს იმდენ ლოტზე, რამდენზედაც მის მიერ იქნება შემოტანილი განცხადება".

**შპს „ტრანსXორXია 2002" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: თბილისი, კარალეთის ქ. № 4.**

**შპს „ტრანსXორXია 2002"-ის ადმინისტრაცია.**

⊙ წერილი ამერიკიდან

# ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობა დაასრულა?!

## აგრეთვე ზოგი რამ ქართულ „ქველმოქმედებაზე"

(პირველი გვერდიდან)

ბატონმა ჯუმბერმა ეს მოგზაურობაც დაასრულა. ვანკუვერში გამგზავრების წინ სიეტლიდან დამირეკა და მოგზაურობის ზოგიერთი დეტალი მიამბო. შემპირდა, რომ ვანკუვერიდან დაბრუნების შემდეგ უფრო ვრცლად ისაუბრებდა.

ვიდრე ბატონი ჯუმბერი კანადის დასავლეთის უკიდურეს წერტილს აფიქსირებდა, ინტერნეტში გამოჩენილი ავტომოგზაურის შესახებ ვებ-გვერდს წავაწყდი, რომელიც სპონსორებს მოუმზადებიათ. მოგზაურობის ხელშეწყობის მიზნით ანგარიშებიც გაუხსნიათ ნიუ-იორკსა და თბილისში (ტიბისი-ბანკში).

გულწრფელად გამიხარდა.

— ახლა კი ეშველა-მეთქი მოგზაურს, გამიელვა. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

მაშინვე თბილისში დავრეკე. ბატონ ნუგზარ ბაბუაძეს დავუკავშირდი. ვთხოვე, მათი საქმიანობის შესახებ მოეთხრო.

— ბატონი ჯუმბერი უნიკალური პიროვნებაა, დიდ საქმეს აკეთებს, — ბრძანა ბატონმა ნუგზარმა. ბევრი ვიწვალეთ, რომ საიტი მოგვემზადებინა, დიდი ხარჯი გავწიეთ. ორი კვირაა, რაც გავხსენით. ჯერჯერობით არავის არაფერი ჩაურიცხავს. ამიტომ ბატონ ჯუმბერს ფინანსურად ვერ ვეხმარებით, მაგრამ გვინდა, მომავალში დავეხმაროთ. კოორდინატებს ორ კვირაში ერთხელ გადმოგვცემს. ბოლო ინფორმაციით, რვა შტატი მოიარა. მისი სპონსორი, ბატონი რობერტ ღარიბაშვილი, როგორც შეუძლია, ეხმარება. თქვენ თუ საშუალება გაქვთ და ანგარიშზე გარკვეულ თანხას ჩაგვირიცხავთ, მადლობელი ვიქნებით, — დაასრულა მან.

იმავე საღამოს ბატონ ჯუმბერს დავუკავშრდი და ვებ-გვერდის შესახებ ვუამბე, მეგონა, გავახარებდი...

— ჯერ კიდევ თბილისში ვიყავი, როდესაც დაიწყო მოლაპარაკება ვებ-გვერდის შესახებ, — განაცხადა ბატონმა ჯუმბერმა; ქაღალდებზე ხელი მომაწერინეს. მითხრეს, — თვეში რვაასი დოლარით უზრუნველგყოფთო, მაგრამ რაკი ცენტიც არ მოუციათ, ჩვენი ურთიერთობა წამოსვლის დღესვე შეწყდა. უკვე ამერიკაში ვიყავი, რომ თბილისიდან დამირეკეს, — გვერდს აკეთებენო. მე სასტიკი უარი განვაცხადე, მაგრამ მაინც გაუკეთებიათ. ამ რვა თვის მანძილზე მათთან არანაირი კავშირი არ მქონია! ასე რომ, მავანთა გააქტიურება მოგზაურობის თითქმის დასრულების ჟამს ზედმეტად მიმაჩნია!

— დიდი ხარჯი გავწიეთ, მაგრამ ფინანსურად ვერ ვეხმარებითო, რომ უბრძანებია, გამოდის, რომ ეს ხარჯი მათ თავიანთი მიზნებისთვის გასწიეს, თორემ თუ საშუალება ჰქონდათ, რვა თვის განმავლობაში, თუნდაც სიმბოლურად, ასი დოლარის გამოგზავნა ვერ მოახერხეს? ან უბრალოდ, დაერეკათ მაინც?

რვა შტატი მოიარაო, რომ უთქვამს, იმ დროისთვის მე უკვე ოცი შტატი მქონდა გავლილი...

აი, ასეთი გულშემატკივარი სპონსორები მყავდა...

რაც შეეხება რობერტ ღარიბაშვილს. მთელი მოგზაურობის მანძილზე მას ერთხელაც არ დაურეკავს. მე სისტემატურად ვცდილობდი მასთან დაკავშირებას, ინფორმაციის მიწოდებას, მაგრამ უმეტესად შეუძლებელი იყო, ზოგჯერ, როდესაც დავუკავშირდებოდი, მუდამ რაღაცას მოიმიზეზებდა, — ახლა ძალიან დაკავებული ვარ, მოგვიანებით დამირეკეო, და ტელეფონი გამოირთვებოდა.

ერთ შემთხვევას გავიხსენებ — თავისი თანამშრომლების თანდასწრებით ხმამაღლა რამდენჯერმე განმიცხადა — ჯუმბერ! ხვალ გიგზავნი სამას დოლარს, შემდეგ ყოველ მეორე დღეს შევსება გექნებაო. ცხადია, ესეც მხოლოდ ლამაზ დაპირებად დარჩა...

ეტყობა, მან დღემდე ვერ გაიგო, რომ მე სხვა კონტინენტიდან ვრეკავ, თბილისს ოცი ათასი კილომეტრი მაშორებს, და რაოდენ მტკივნეულია ცარიელი დაპირებებით ილუზიების ტყვეობაში ყოფნა...

როგორც იცით, ნიუ-იორკში ექვს ნოემბერს ჩამოვედი. ცოტა შევისვენე და გზა განვაგრძე. გეგმა ასეთი იყო — ის შტატები უნდა გამევლო, რომლებშიც 1996 წელს ამერიკაში რვათვიან მოგზაურობისას არ ვყოფილვარ. ურთულეს ზამთრის პირობებში მომიხდა ოცდაორი შტატის გავლა. ესენია — ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერსი, პენსილვანია, მერილენდი, ვირჯინია, დასავლეთ ვირჯინია, კენტუკი, ტენესი, არკანზასი, ოკლაჰომა, კანზასი, მისური, ნებრასკა, ვაიომინგი, კოლორადო, იუტა, არიზონა, ნევადა, აიდაჰო, მონტანა, ვაშინგტონი და ორეგონი. ასე რომ, ამერიკის ორმოცდაათივე შტატი გავლილია, ასევე ვიყავი ვანკუვერში (ბრიტანეთის კოლუმბია, კანადა).

მთელი ცხოვრება წინააღმდეგობების გადალახვა მიხდება. გაჭირვების მეტი რა გადამხდენია თავს, მაგრამ წინა,



ცხრაწლიან მოგზაურობაშიც არ გავწამებულვარ ისე, როგორც ამჟამად. ძალზე გამიჭირდა! შვიდ, ზოგჯერ თხუთმეტგრადუსიან ყინვაში მიხდებოდა გადაადგილება, მშიერ-მწყურვალს, რადგან ხშირად უსახსროდ ვიყავი. დავიტანჯე, გამოვიფიტე. ოსვენციმის ტუსაღს დავემსგავსე, — სამოცდაექვსი კილოგრამი გავხდი.

სამწუხაროდ, სალტ-ლეიკ-სიტიდან რომ გამოვედი, მთებში სიარულისას ბარკლები გამეხეხა, ინფექცია შემეჭრა და სისხლი მომეწამლა. ოთხი ოპერაცია დამჭირდა. მეტად ძვირადღირებული წამლებით მიმკურნალეს. თითო კაფსულა 90 დოლარამდე ღირდა, საჭირო იყო 90 კაფსულა, ესე იგი, ხუთიათას დოლარზე მეტი იყო საჭირო მხოლოდ ერთი წამლისთვის!

ექიმმა ჯონ პულმანმა სპონსორი მომიძებნა და მკურნალობის კურსი ჩავიტარე.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. რადიომ, ტელევიზიამ, გაზეთებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მოგზაურობა ავადმყოფობის გამო შეფერხდა. სანახავად მოდიოდნენ ჩემი ახალი მეგობრები, სხვა ქალაქებიდანაც ჩამოვიდნენ; სალტ-ლეიკ-სიტიდანაც რეკავდნენ...

სამწუხაროდ, თბილისიდან არც ერთი ზარი არ ყოფილა...

საავადმყოფოდან მაკდონალდისის საოჯახო ადგილზე გადამიყვანეს, პაულ კლარკის სახლში, სადაც სახლის მენეჯერმა ბეკი ტეილორმა საუკეთესო ნომერი გამომიყო.

ყურადღებას არ მაკლებდნენ მსოფლიოში აღიარებული პროფესიონალი ველომრბოლელის ლევი ლეიპჰეიმერის ძმის (ისიც პროფესიონალი ველომრბოლელი იყო)რობისა და მისი მშობლების ოჯახები, შერიფი ბილ ბრეგი, მისი მშობლები — ბოიდი და დიანა ბრეგები და სხვ.

მოგზაურობის ბოლო ეტაპზე კი, პირდაპირ მფარველ ანგელოზებად მომევლინენ უკეთილშობილესი ადამიანები — ლარისა კალპალაცკაია და მის მეუღლე, ბატონი მიხეილი. მათი დახმარებით ვიყავი ორეგონში, ასევე კანადის უკიდურეს დასავლეთ წერტილზე, — ვანკუვერში; მოგზაურობის დასრულების შემდეგ მთლიანად თავზე აიღეს ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მომაკეთეს, ფეხზე დამაყენეს. ნელ-ნელა ვდგები ჩვეულ სპორტულ ფორმაში. ჩემმა კეთილმა მასპინძლებმა ძვირადღირებული კომპიუტერიც მიყიდეს, და რაკი სპონსორებისგან შეპირებულ სამგზავრო თანხას ვერ ველირსე, — სიეტლიდან ნიუ-იორკამდე თვითმფრინავის ბილეთიც შემიძინეს.

ვიდრე სული მიდგას, ქალბატონი ლარისას და ბატონი მიხეილის ამაგს რა დამივიწყებს!

რა მეშველებოდა, ასეთი კეთილი ადამიანები რომ არ შემხვედროდნენ.

ამიტომ, ჩემი ზოგიერთი თანაგუნდელის მისამართით გულში გავივლებდი — მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა თქვენგან განაწირსა...

ამას წინათ ბატონ რობერტს დავურეკე. არც კი უკითხავს, რა ფაზაშია მოგზაურობა, ვიყავი თუ არა პორტლენდში, ვანკუვერში, და, საერთოდ, რით ვარსებობ, — ამერიკაში სამი თვის მანძილზე მან გამოგზავნა — ორას ათი დოლარი (?!).

ამიტომ, პირდაპირ გავოცდი, როცა სურვილი გამოთქვა, — ჩამოვიდეს, მადრიდში დამხვდეს, და იქიდან ერთად ჩავიდეთ ისრაელში (?) რისთვის? რა საშუალებით? თუ ფული აქამდე არ ჰქონდა, მადრიდში როგორღა ჩამოდის? ისრაელამდე გზის გაგნებაში უნდა დამეხმაროს?

საქართველოში რამდენიმე ახალი პროექტით ჩავდივარ. მათ შორის, მოგზაურობის პერსპექტიული განვითარების პროგრამით.

წლების მანძილზე ისე გავწამდი, იმდენჯერ აღმოვჩნდი გაწბილებული და მოტყუებული, რომ გადავწყვიტე — მოგზაურობასთან დაკავშირებული ძველი გუნდიდან ბიჭიკო სულიაშვილის გარდა ყველა ჩამოშორდება საქმეს! შეიქმნება ახალი გუნდი, რომელიც მოგზაურობის განვითარების ახალ პროგრამაზე იმუშავებს.

მე თავად ჩავუდგები სათავეში ყველა საქმეს, რადგან ვერ ვნახე ადამიანი, რომელიც გულწრფელად იმუშავებდა ჩემთან...

რაც შეეხება გამოსაცემად წიგნების მომზადებას, — მწერალიც, ჟურნალისტიც, გამომცემელიც, უკვე შერჩეული მყავს.

მომავალში ყოველგვარი გაუგებრობა უნდა გამოირიცხოს.

ექვს მარტს ამერიკას დავემშვიდობები. ნიუ-იორკ-მადრიდის ბილეთი უკვე მაქვს. მადრიდ-თელ-ავივის ბილეთის ფული — შვიდასი დოლარი კი კვლავ საძებნია. არადა, თბილისში გადაწყდა, რომ მოგზაურობა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერთან უნდა დასრულებულიყო.

ნუთუ, უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს სურვილი არ შევუსრულოთ?!

თხუთმეტ მარტს თბილისიდან ჰოლანდიაში უნდა გავემგზავროთ, ბატონ რევაზ სულავას ხელმძღვანელობით, რათა ტექსელზე, ქართველ ტყვეთა ბანაკში აჯანყებისას დაღუპულთა ნათელ ხსოვნას მივაგოთ პატივი.

**— ბატონო ჯუმბერ! წინა ინტერვიუს დროს ბრძანეთ, რომ სამხრეთ პოლუსზე აპირებთ გამგზავრებას. ვინ არის თქვენი პარტნიორი? რა პრინციპით შეარჩიეთ? ეს ხომ ძალზე რთული და სახიფათო წამოწყებაა?**

— ჩემი მომავალი პარტნიორი ვლადიმერ მიკულა უკრაინიდანაა, დონეცკიდან. მან უკრაინიდან საფრანგეთამდე მანძილი ოჩოფეხებზე გაიარა. იგი თბილისშიც გვესტუმრა, საკმაოდ რთულ ექსპერიმენტებში გამოვცადეთ ერთმანეთი; ორივენი კმაყოფილები დავრჩით.

ანტარქტიდის სანაპიროსთან, როსის ზღვაზე, არგენტინიდან, ან სამხრეთ აფრიკიდან ჩავალთ. ამას მაშინ გადავწყვეტთ, როდესაც უკრაინაში ვიქნები, არქტიკის ინსტიტუტში. საგანგებოდ ამ მოგზაურობისთვის დამზადებულ ველომობილს ჩრდილო ციმბირში გამოვცდით.

მოგზაურობა სამ თვეს გასტანს.

სტარტი ოქტომბერშია დაგეგმილი.

**ბატონ ჯუმბერს გზა დავულოცე, მოგზაურობის წარმატებით დასრულება და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება ვუსურვე.**



**ჯუმბერ ჯიშკარიანი, „საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ. აშშ-ში.**

## განცხადება

**საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) აცხადებს ტენდერს სემეკის ოფისის არასაუწყებო დაცვის სამსახურის კომპანიის შესარჩევად.**

**ტენდერში მონაწილეობის მსურველმა კომპანიამ საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:**

— განაცხადი ტენდერში მონაწილეობის თაობაზე,
— დოკუმენტაცია დასაკომპლექტებელი პერსონალის რაოდენობის, კვალიფიკაციის გამოცდილების და მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ,
— სამსახურის მოსაზრებები (ხედვა) შესასრულებელი სამუშაოებისადმი,
— ინფორმაცია ენერგეტიკის სექტორში დაცვის სამსახურის ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ.

ფინანსური შეთავაზებები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე დალუქულ კონვერტებში.

**განაცხადი და საკონკურსო პირობების შესაბამისი დოკუმენტები მიიღება მ/წ 21 მარტამდე გარდა უქმე დღეებისა, 11-დან 18 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 45. მე-5 სართული (სემეკის საერთო განყოფილება).**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №1



**„1922 წლის 20 თებერვალი. გემზე ბევრი ქართველია. ყველა სევდიანად გასცქერის მიმავალ ღრუბლებს... არასოდეს დამავიწყდება მამაჩემის – კოკი დადიანის მწუხარე სახე. მის თვალებში აშკარად ირეკლებოდა საქართველოდან სამუდამო განშორების ავი წინათგრძნობა...“**

**ბაბო დადიანის დღიურიდან:**

„ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი ნაღვლიანი სახე“... – უთქვამს მის ვაჟსაც – მიშა დადიანს....

„ახლა მე განვლილს ვერ დავეწევი,
გაჰქრა წარსული, ტკბილი სიზმარი
და დამრჩა გული, ვითა ნანგრევი,
გაუქმებული ძველი ტაძარი...“

ამ სტრიქონების ავტორის – კოკი დადიანის ფოტოები დადიანთა საოჯახო ალბომის განსაკუთრებული რელიკვიაა...

ერთი ფოტო საქართველოშია გადაღებული, მეორე ემიგრაციაში. ვიქტორ ნოზაძესაც აღუნიშნავს: „განსაკუთრებულად სევდიანი თვალები ჰქონდაო კოკი დადიანს...“

რას განიცდიდა ესოდენ მტკივნეულად პარიზის ქართული სათვისტომოს ბინადარი, საფრანგეთში გადახვეწილ ქართველ თავადაზნაურთა უკანასკნელი წინამძღოლი კოკი დადიანი?..

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, დიდი ხნით ადრე, 1904 წლის იანვარში გაზეთში „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ დაიბეჭდა ახალგაზრდა კოკი დადიანის პოლემიკური წერილები ვინმე ვოსტორგოვის წინააღმდეგ. ეს რუსი მოხელე მეგრული ანბანის შემოღებასა და სამეგრელოს ავტონომიის ჩამოყალიბებას ითხოვდა.

ახალგაზრდა მარშალი კოკი დადიანი ემოციური და, ამავე დროს, მყარი არგუმენტებით დაუპირისპირდა ვოსტორგოვს.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო მაშინდელი სამეგრელოს მოსახლეობის სწორი პოზიციაც და ეს აბსურდული გეგმა ჩაიშალა.

დღეს, საქართველოს სხეულის დაშლის და დაქუცმაცების საშიშ მოლოდინში, ალბათ კიდევ ერთხელ უნდა წავიკითხოთ შორსმჭვრეტელი, გამორჩეული ქართველის – კოკი დადიანის წერილები, გავაანალიზოთ მისი შეუვალი არგუმენტები, ესოდენ თანამედროვე და პრობლემატური ჩვენი საზოგადოების ცნობიერებისთვის.

... საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში კოკი დადიანი მსახურობდა დავით მიქელაძის ასეულში და მთავრობის დამცველ რაზმში.

1917 წელს დაუკავშირდა საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს. ცნობილია, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავით მოტანილი იარაღი მის საგვარეულო მამულში ინახებოდა...

* * *

„ჩემს გზას ანათებს სიკვდილის შუქი...“ მრავალი წლის შემდგომ დაწერს თავის ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ლექსში მწუხარე თვალებიანი ემიგრანტი კოკი დადიანი... ეს ალბათ, მისი წინათგრძნობა იყო...

# თავადი სევდიანი თვალებით

კოკი დადიანი გარდაიცვალა პარიზში, 1939 წელს, აღდგომა დღეს... გამოსათხოვებლად მივიდა პარიზის მთელი ქართული კოლონია...

ხუთშაბათს, 13 აპრილს, 11 საათზე, ბერძნულ ეკლესიაში აუგეს წირვა. ლოცვებს კითხულობდა ბერძნების არქიმანდრიტი. გალობდა ქართული გუნდი... გამოსათხოვარ სიტყვაში, გენერალი შალვა მაღლაკელიძე ამბობდა: „მას უნდოდაო ბრძოლაში დაელია სული...“

კუბოსთან მორიგეობით დგებოდნენ: სპირიდონ კედია, ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, ექვთიმე თაყაიშვილი...

**„დღეს შენთან ერთად უცხო მიწაში ვმარხავთ ჩვენს უდიდეს საუნჯეს, ჩვენს წინაპართა ტრადიციას, – ახალგაზრდების სახელით მოწიწებით, წარსდგა ძვირფასი ცხედრის წინაშე სიმონ ბერეჟიანი, – შენ გქონდა, ჩემო ბატონო, ის, რაც ახასიათებდა შენს თაობას – ქართული ინტუიცია და ბევრი განსწავლული ვერ მიაგნებს მას. გსურდა ჩვენი მივიწყებული ზნე-ჩვეულებანი, ადათი ჩვენთვის, მომდევნო თაობისთვის გადმოგეცა. ყველაფრისთვის მადლობას გწირავთ, კოკი ბატონო!..**

**სეფა უნდა გაგვეშალა, ჩემო ძვირფასო ბატონო, შენს საყვარელ ეზოში, ცაცხვების ჩრდილს ქვეშ... საქართველოს ყველა ქალაქიდან, კუთხიდან, სოფლებიდან უნდა მოსულიყვნენ ზარით შენი პატივისმცემელნი...**

**ძიძიშვილები უნდა გდგომოდნენ თავთან. იმათ უნდა დაეტირე. შენი საყვარელი ქართული წირვა და ქართული გალობა უნდა მოგესმინა უკანასკნელად...**

**თავსასთუმალი გაგისწორეთ, ბატონო კოკი, შენი ლამაზი, გრძელი, ჯიშიანი ხელები გულზე დაგიკრიფეთ და შენი საყვარელი შავი ჩოხა, რომლის განათხოვრება არ გიყვარდა, „ამაში უნდა დავიმარხოვო“, ჩაგაცვით... ღამესაც გითევდით...**

**შენს კუბოს ფარავს ეროვნული დროშა... „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, კოკი ბატონო...“**

ლევილში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავის გვერდით, კოკი დადიანის საფლავია, სულისშემძვრელი ეპიტაფიით:

**„მითხარ შენდობა... და ჩემს მხარესა**
**ოდეს მოვუთხრობ ამბავს მწარესა,**
**სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე:**
**ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“.**

**რუსუდან ვანიძე.**

კოკი დადიანი ემიგრაციაში და ემიგრაციამდე





**„... ერთხელ ოპერის თეატრში ვალოდია ჯიქია სიტყვით გამოვიდა და წამოჭრა ეროვნული ჯარის შექმნის საკითხი. იქ დამსწრე რუსეთის ხელისუფლების ერთი ბობოლა წარმომადგენელი შეესიტყვა, – საქართველო რუსეთის კურორტია და ეროვნული ჯარი ამ ქვეყნისათვის ზედმეტი ბარგიაო. მაშინ ვალოდიამ ისეთი ალიყური აჭამა თავხედს, რომ იგი ორკესტრის ორმოში გადაისროლა“.** – აი, ასე იხსენებდა სიმონ ბოლქვაძე მეამბოხე საზოგადო მოღვაწეს... ამ ფაქტზე ამაყად საუბრობდა დიდი კონსტანტინე გამსახურდია.

დახვეწილი ინტელიგენტური აღნაგობითა და არაჩვეულებრივად უნივერსალური სულით, ევროპული აზროვნებითა და ქართული ტემპერამენტით აღსავსე შემოქმედს, ვალოდია ჯიქიას არასდროს უკვირდა გაუხარებელი წუთისოფლისგან ნაგემი გესლი ან გულს დაუფლებული მელანქოლია... მან ხომ სიცოცხლეშივე მოასწრო დიდების მწვერვალებისთვის თვალი ედევნებინა, თუნდაც, მზერა შეეჩერებინა, რადგანაც მხოლოდ ის შეიძლება იყოს ყოველთვის თანამედროვე, ყველასთვის თანადროული და აქტუალური, ვისაც ბოლომდე გულწრფელად გაუაზრებია საკუთარი ქვეყნის ტკივილი.

იშვიათი ბედით გადარჩენილი თაობიდან, ის იყო ლეგენდიდან მოსული კაცი, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ღირსებად და ძალმოსილებად მიაჩნდა... რომანტიკული პათოსი აახლოვებდა პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, სანდრო ახმეტელთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, დიმიტრი შევარდნაძესთან, მიხეილ ჯავახიშვილთან... ფარულად დევნილი მოაზროვნე ევროპაშიც საქართველოს ბედზე ფიქრობდა, მის სასარგებლოდ აქტუალურ საკითხებზე უკომპრომისოდ მსჯელობდა... სძულდა რუსეთის ბიუროკრატი ცინიკოსები, კომუნისტური რუტინით აღზრდილი თეორეტიკოსები, რომლებიც მუდამ სულს უხუთავდნენ... მათ მოსაგერიებლად თურმე ხშირად იშველიებდა ილიასეულ სტრიქონებს: **„სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნელად მონობისა“.**

1935 წლის 1 მაისს ყორღანოვის (ახლანდელი ქიაჩელის) ქუჩაზე საბედისწერო ინციდენტი მოხდა... მოვლენათა ეპიცენტრი ბერიასა და ჯიქიას სახლის აივნებს დაუკავშირდა...

კონსტანტინე გამსახურდიას დაკითხვის ოქმიდან:

**„... ჯიქია ყორღანოვის ქუჩაზე, ბერიას სახლის პირდაპირ ცხოვრობდა. ბინების აივნები ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს იყო და გადალაპარაკება შეიძლებოდა. ჯიქიასთან სადილად ვიყავით. მოპირდაპირე აივანზე ბერია გამოვიდა, რომელსაც ახმეტელმა ფამილარულად „შენობით“ მიმართა და საკმაოდ კადნიერად ჩვენთან დაუძახა. ბერიამ ჯიქიასთან მოსვლაზე უარი განაცხადა. ზუსტად არ მახსოვს რა ითქვა, მაგრამ ახმეტელმა ბერიას უწმაწურად მიმართა. მაშინ ახმეტელს შენიშვნა მივეცი, რომ ასეთი მოქცევა არ შეიძლებოდა, მათ შორის როგორი ურთიერთობაც არ უნდა ყოფილიყო. ბერია ცენტრალური კომიტეტის მდივანია და ჩვენ ვალდებულნი ვართ, მისი ავტორიტეტი დავიცვათ. მაშინ ვინ გვესწრებოდა და სხვა რა რეაგირება მოახდინეს, არ მახსოვს... ვერ ვიტან, როდესაც საზოგადოებაში ადამიანები ცუდად იქცევიან. ამიტომ ჯიქიას ბინაზე ბერიას მიმართ ახმეტელის საქციელმა აღმაშფოთა. პირადად მე, ბერიას ორგანულად ვერ ვიტანდი, ვინაიდან პარტიული ყრილობის ტრიბუნიდან ნაციონალისტი და ფაშისტი მიწოდა...“**

რა მოხდა ამ ინციდენტის შემდეგ?

**„სანდრო ახმეტელი დაიჭირეს და დახვრიტეს... დახვრიტეს ტიციანი, გოგი ელიავა, ზოზო ნანეიშვილი, ვალოდია ჯიქია... 37-იანი წლების რეპრესიები ეს იყო ბერიას შურისძიება ქართველი ინტელიგენციის მიმართ... ვალოდია ჯიქიასა და მის მეგობრებს ბიუროკრატია ფარულად თუ აშკარად სდევნიდა... მამა ქართული ენის, ტრადიციული არქიტექტურისა და ეროვნული ჯარის არსებობის ინიციატივით გამოდიოდა, ამ იდეას პრინციპულად იცავდა... დახვრეტამდე მის დაკითხვას ფიზიკური და მორალური ძალადობის შემდეგ იწყებდნენ...“** – თვალცრემლიანი საუბრობს მარინე ჯიქია.

# ლეგენდიდან მოსული კაცი

იხ. მე-6 გვ.

მთავარი თემა:

# „ვინ არის ჭკვიანი ქართველი?“

დრო, როცა „საგანი თავისთავში“ არის გამოკეტილი, როცა მასების სპონტანური რეაქციები კულტურის ტრადიციების მსხვრევას გამოხატავს, როცა მაღალ ღირებულებებზე საუბარი უადგილოდ გვეჩვენება და თემა აუდიტორიის გარეშეა დარჩენილი, ერის ინტელექტუალები უფრო ხშირად დუმილს აფარებენ თავს.

ნიშნავს თუ არა დუმილი, თუნდაც მრავალმნიშვნელოვანი, გამოსავლის მიებას და თუ არა, მაშინ რა არის გამოსავალი?.. განმანათლებლობის ეპოქები დასრულდა. მაღალი კათედრებიდან აღარ გვმოძღვრავენ ავტორიტეტები, სულიერი ლიდერები...

„ვის უნდა ველაპარაკო?!“ — იკითხა ერთხელ თვით ილია ჭავჭავაძემ — რა გვაქვს საყოველთაო?..“

**მართლაც, ვის უნდა ელაპარაკოს ჭკვიანი ქართველი? და საერთოდ, რას ნიშნავს ჭკვიანი ქართველი?**

პარიზში, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 25 წლისთავზე, ქართული ემიგრაციის წინაშე, შალვა ამირეჯიბმა „ჭკვიანი ქართველი“ „ისტორიულ იშვიათობად“ გამოაცხადა, მაგრამ მაინც მისი არსობრივი განმარტება სცადა:

**„ეგრეთ წოდებული ნიჭიერი ხალხი ისტორიაში იშვიათი არ არის. მათ უცხოვრიათ და უმოქმედიათ, როგორც სამსხვერპლო ცეცხლს, ლამაზი და მწვავე ალით აღგზნებულს, მაგრამ რომ წასულან, შთამომავლობისთვის ცეცხლის და ნაცრის მეტი არაფერი დაუტოვებიათ. ისტორიაში იშვიათი მხოლოდ ჭკვიანი კაცია...**

**დიდი ღირსება ილია ჭავჭავაძისა, ჩვენთვის ქართველებისთვის, იყო და დღესაც ის არის, რომ ის ჭკვიანი ქართველი იყო. იმის სიკვდილის შემდეგ მრავალმა წელიწადმა გაიარა. ეს ის წლებია, როცა, როგორც მსოფლიოში, ისე ჩვენს პატარა ქვეყანაში, ამბებმა და ვითარებამ უმძაფრეს სიმაღლეს მიაღწიეს... საქართველო როგორც დაეცა, რამდენმა ქართველმა გაიგდო ხმა და სახელი, რამდენმა იმარჯვა, რამდენმა კვლავაც ივარგა, მაგრამ... საქართველო? და მხოლოდ ილია ჭავჭავაძის უკვდავი სული, ამდენ გაცუდებულ დოქტრინათა და წამხდარ კაიბიჭობის ნანგრევებში იძულებით ქვეშ მოყოლილი, მიუხედავად დიდი წყენისა და შეურაცხყოფისა, სიყვარულით საქართველოს ისევ აღორძინებისკენ მოუწოდებს...“**

მომავლით, ვის დააკლდება იგი? ვინ ინაღვლებს, თუკი არავის ეცოდინება მისი მნიშვნელობა?

**– თუკი აღარ იარსებებს, მართლაც, რა აზრი ექნება სადღაც სივრცეში არსებულ ცოდნას თუ ცნებას მისი მნიშვნელოვანების შესახებ? იქნებ კაცობრიობის აღსასრულის თემა მხოლოდ რიტორიკაა და სხვა არაფერი?**

– პირიქით, ეს მთავარი ცხოვრებისეული თემაა. მომავლის ყოფნა-არყოფნაზე ფიქრი არის კაცობრიობის გადარჩენის გზა... ამაზე ფიქრობდნენ და ფიქრობენ ყველაზე გამორჩეული ინდივიდები, აღიარებული გონები... ისინი თითქმის ერთსულოვნად განმანათლებლობის იდეასთან მიდიან. შედარებით სხვაგვარად გამოიყურება XVIII საუკუნის განმანათლებელთა სკოლა (რუსო, მონტესკიე) და მათი მიზნებიც: ადამიანის უფლებები, თანასწორობის იდეა...

XXI საუკუნე ისეთი საშინელებებით დაიწყო, რომ ამ ანტაგონისტურ პროცესებს მხოლოდ დიდი ჰუმანური და განსაკუთრებული იდეა თუ შეაჩერებს. კაცობრიობა იღუპება. დედამიწა უკვე ძალიან დაპატარავდა.

ციონალისტია, იდეალისტია, ამიტომ მას ყოველთვის აწუხებდა ჭკუის, ანუ რაციონალიზმის პრობლემა, რომელიც თავს იჩენს ხოლმე მაშინ, როცა ერის კოლექტიური საკითხები წყდება.

კაცი იხრჩობოდა და იძახდა: ღმერთო, მიშველეო. – ხელი გაანძრიე და გეშველებაო. ქართველმა არ იცის, როგორ გაანძრიოს ხელი, არ იცის „ცურვა“. გაჭირვებაში ყოველთვის ჩივის: „რა მეშველება?!“ არასოდეს იტყვის: „რით ვუშველო თავს?!“ დახმარების ხელს და „ჭკუის ინვესტიციას“ გარედან ელის.

დავით გურამიშვილს უწერია: „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკუა ცოდნით მოიხმარების“. ჩვენი დიდი პოეტი ევროპული განმანათლებლობის იდეებზე იყო აღზრდილი და კარგად იცოდა ჭკუის, ანუ პრაქტიკული გონების ფასი. ბრიყვებში იგი არაპრაქტიკულ, ირაციონალურად განწყობილ ადამიანებს გულისხმობს. პრაქტიკული გონების დეფიციტი სახეზეა – უმაღლესი ხელისუფლებიდან დაწყებული, ბოგანო გლეხებით დამთავრებული.

მიდით ბაზარში, გვერდიგვერდ დგანან ქართველი და ბორჩალოელი თათარი. ქართველს რაც უნდა ეხვეწო და ემუდარო, ფასს არ დაუკლებს, თათარი იმწამსვე თანახმაა, ოღონდ გაყიდოს.

როკფელერები იმით გამდიდრდნენ, რომ ყიდულობდნენ გვიან და ყიდნენ – ადრე. ეს არც ქართველმა იცის და არც თათარმა, მაგრამ მათ შორის განსხვავება ის არის, რომ თათარი ამას გუმანით, პრაქტიკული ჭკუით ხვდება.

შვეიცარიელი გლეხი იმდენს რომ მუშაობდეს, რამდენსაც შრომობს ერთი რიგიანი ქართველი გლეხი, დამერწმუნებით, წელში გაწყდებოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ შვეიცარიელს ესმის შრომის ორგანიზაცია, – პრაქტიკოსია. ქართველს არ ესმის – იდეალისტია, მეოცნებე.

სწავლას ბევრი დრო სჭირდება, ჭკუის სწავლას – უფრო მეტი. ჩვენ ახლა ვიწყებთ.

როგორც ნიკო ლორთქიფანიძე იტყოდა, „ჩვენი დღეც დადგება ოდესმე უეჭველია, მაგრამ განგებას ჯერ არ გადაუწყვეტია“.

* * *

**კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ნათელი ეპოქები, ვთქვათ, ანტიკური ან შუა საუკუნეების სამყაროები, ცოდნის (და არა ცივილიზაციის) აღიარებით და თაყვანისცემით ჩანან ესოდენ მიმზიდველნი...**



**რა მოღვაწეობის ასპარეზი აქვს დღეს ჭკვიან ქართველს?**

***გურამ ბენაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:***

„ნიჰილიზმი ცოდნისა და წიგნიერების მიმართ, ლუარსაბის სინდრომი, დღეს განსაკუთრებით გამოვლინდა. ძალიან მცირე ნაწილი საზოგადოებისა არის განათლებული და მას სხვაგვარად ყოფნა არ ძალუძს, ხოლო მეორე, უფრო დიდი ნაწილი გაუნათლებელია და ამავე დროს, ამაყი იმით, რომ არის გაუნათლებელი...

ჩვენ მედიის უზარმაზარ, მრავალსახოვან ბადეში ვართ გახვეულნი. მასმედიის სიმრავლე და უსახობა კიდევ უფრო აბრუებს, ამ ცხოვრების ნაფოტად აქცევს ადამიანს. იკარგება შინაგანი ინტუიცია და გეზი... მასიურად ყალიბდება მხოლოდ საბრალო მომხმარებლის უნუგეშო მოდელი...

ხელისუფლების ტრიბუნებიდან ყოველდღიური ლაპარაკია ევროპეიზაციაზე... ევროპაში კი დიდ ყურადღებას აქცევენ ხელოვნებას და ლიტერატურას არა მარტო საზოგადოების, არამედ ხელისუფლების დონეზეც... ვიცი, როცა იქ მწერალი გამოჩნდება, მას რაღაც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან... საზოგადოებაში ჩუმად გადაიშრიალებს ხოლმე, რომ მწერალი შემოვიდა... რადგან თვლიან, რომ მას აქვს ღვთაებრივი ნიჭი შემოქმედებისა... ეს საოცრად რომანტიკული, ბევრისთვის გულუბრყვილო წარმოდგენები მწერალსა და მწერლობაზე, ჯერ კიდევ ცოცხლობს ევროპაში...“

* * *

**რა საჭიროა განმანათლებლობა? „ეს დაახლოებით იგივე კითხვაა: რა საჭიროა კაცობრიობა“, – წერს ვილჰელმ შმიდტი „ახალ დისკუსიებში“, რომელიც გერმანულიდან თარგმნა ლევან ბრეგაძემ.**

შმიდტის მიხედვით, ეს არის „ფუნდამენტური ეთიკური შეკითხვა“, რისი არგუმენტებიც დასაღუპად განწირული კაცობრიობის თანდათანობითი კვდომის მორალურ მიზეზებშია საძიებელი.

***ლევან ბრეგაძე, ლიტერატურული კრიტიკოსი:***

საჭიროა თუ არა განათლება? ვთქვათ, ალიგავა პირისაგან მიწისა კაცობრიობა, თავისი წარსულითა და განათლებული მსოფლიო – ეს არის გადარჩენის ერთადერთი გზა. მეტსაც გეტყვით, შეიძლება ამ გზამაც უკვე შედეგი ვეღარ გამოიღოს, ვერ შეაჩეროს ნგრევის პროცესები, მაგრამ უნდა ვეცადოთ... ეს, მართალია, მხოლოდ სტრატეგიაა და არა პრაქტიკა, მაგრამ მაინც უნდა ვეცადოთ, მიუხედავად იმისა, რომ გარანტიები აღარ არსებობს...

ახლა ცდილობენ პროცესები ე.წ. დემოკრატიზაციით მოაწესრიგონ. ანუ ჭკუა ეკითხება ყველას და მერე საერთო აზრი დგინდება არჩევნების, სოციოლოგიური გამოკითხვების თუ რაღაც რეიტინგების გზით... დემოკრატია-პლებეიზაციის პრიმატმა ინდივიდების სარბიელი მოსპო.

რა საოცარია, თითქოს ყველაფერი გაკეთდა ადამიანის ყოფის გასაიოლებლად (მექანიზაცია, კომპიუტერიზაცია...) მაგრამ დისკომფორტი და მღელვარება უფრო იზრდება... ტექნიკის განვითარების მეოხებით, ადამიანი მინიმალურ დროს ხარჯავს ყოფით საკითხებზე, მაგრამ დღეს, როგორც არასდროს, არა აქვს დრო და მეტისმეტად დაღლილია. ის დროის უქონლობას უფრო მეტად უჩივის, ვიდრე თუნდაც, შუა საუკუნეების ადამიანი... სინამდვილეში რა სჭირდება მას? ვფიქრობ, მისი მნიშვნელობის მშვიდი აღიარება... ადამიანი ისე, როგორც ხალხი, მშვიდდება, როცა აღიარებენ... ყველა ხალხის კულტურა კარგია, კულტურა არ შეიძლება იყოს ცუდი... ცუდი შეიძლება იყოს პროფესიული მწერლობა, ანუ კონკრეტული მწერალი ან ხელოვანი... ზოგადად კი ადამიანთა და ხალხთა კულტურა ყოველთვის მნიშვნელოვანია...

რომანტიკოსთა მოძღვრების მიხედვით, ჭეშმარიტი საქმე მხოლოდ სიყვარულით კეთდება. სიყვარულით, აუჩქარებლად უნდა შევხედოთ ბუნებას, ადამიანს თუ რაიმე მოვლენას... მხოლოდ ასე გამოვლინდება ჩვენი ხედვის უნარი.

რომანტიზმი, ჩემი აზრით, თანამედროვე და აქტუალური მცნებაა. ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფია და რომანტიზმი, ვფიქრობ, განუყოფელია.

ყველა ადამიანი, სწორედ საკუთარი რომანტიკული ბუნებით უნდა დაუპირისპირდეს იმ „დემოკრატიულ-პლებეურს“ და განსხვავებული პოლუსები მოარგოს.

***ივანე ამირხანაშვილი, მწერალი, პუბლიცისტი:***

ცალკეული ჭკვიანი ქართველი ბევრი ვიცით და გვინახავს, მაგრამ მხოლოდ ცალკე, პიროვნულ, ინდივიდუალურ დონეზე. კოლექტიური ჭკუა არ ჩანს. კოლექტიური ჭკუა ის არის, რასაც ევროპელები ნაციონალიზმს უწოდებენ.

ქართველი თავისი ბუნებით ირაციონალისტია, იდეალისტია, ამიტომ მას ყოველთვის აწუხებდა ჭკუის, ანუ რაციონალიზმის პრობლემა...

**საფიქრალია, რომ დაივიწყეს ბრძენნი და წინასწარმეტყველნი, მქადაგებელნი და გენიალური ოსტატები... უფრო სწორად, დაივიწყეს მათი ნამდვილი სწავლებანი... იქნებ ის ცოდნა, თუნდაც იმიტომ რომ ივიწყებენ, არ არის უნივერსალური, არ გახლავთ აუცილებლობა და ამ გენიალურ შემოქმედთა ცხოვრებაც და აზროვნებაც მართლაც ამაო იყო და დროის ერთი კონკრეტული ლოკალით შემოსაზღვრული?..**

**არნახულ კრიზისს განიცდის ცნება „ჭკვიანი ქართველი“. კარგავს თავის სიმყარეს, მდგრადობას, ამ სამყაროში გაფორმებულობას, სახელდებას... ბარბაროსული ხმების ფონზე საბედისწეროდაა გაჩუმებული... მაგრამ თავისი ცხოვრების წესით, გნებავთ, აღსასრულით, ეს ალბათ ერთხელ კიდევ მოგვცემს დიად მაგალითს, რომელიც დიდი ხანია ვეღარ ხორციელდება მხოლოდ წარსულის გამოხმობით და წარსულისვე დაცვის მცდელობით...**

**იქნებ აღარც გვჭირდება ჭკვიანი ქართველი, თუკი მისთვის სამოქმედო ასპარეზი აღარ არსებობს? თუ ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ მართლაც, მხოლოდ უზენაესის ნებას ვართ მინდობილნი.**

**თამარ წიკლაური.**



# მერი შ(ა)ერვაშიძე — მითი თუ სინამდვილე?

ძნელი წარმოსადგენია ეძებდა თუ არა გალაკტიონი ცხოვრებაში იდეალურთან მიახლოებულ ქალს, მაგრამ პოეზიაში ქალური სრულყოფილების ფორმულად ბოდლერის, გოტიეს, ვერლენის და ანრი რენიეს სტრიქონები მოიხმო: „მოულოდნელი მომხიბვლელობა სამკაულისა — ვარდისფერის და შავის...“, „ცისფერი ქალწული ნაკადულის გრილ ნაპირებზე...“, „ჩამავალ მზეთა მელანქოლია...“, „და ვარდები მეტად ტანმაღალი...“

*"[illegible]*
*ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი*
*ასეთი ლამაზი?..*
*[illegible]*
*[illegible]*
*[illegible] — ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი,*
*ასეთი ლამაზი..."*

„О жизни догоревшей в хоре,
О томных девушках у двери...
...
О дальней Мери, светлой Мери“

(ა. ბლოკი)

„სახელი „მერი“ მე არ გამომიგონებია, თუმცა ლექსის ობიექტად ეს სახელი პირველია საქართველოში“... (გ. ტაბიძე).

*"[illegible]*
*[illegible]*
*[illegible]*
*[illegible]..."*

* * *

„მე არ ვიცნობდი გალაკტიონ ტაბიძეს“ — ყოველთვის ხაზგასმული დისტანციით იმეორებდა საქართველოს ყველაზე დიდი ლირიკოსის მუზად აღიარებული მერი შარვაშიძე... (და არა შერვაშიძე!) „სიშორის შენის სიახლოვე მარადის მძაფრი“... ეს გალაკტიონის სიტყვებია... თავად მერი შარვაშიძე კი რუსეთის იმპერატორის ყოფილი ფრეილინა, რუს არისტოკრატთა შორის გამორჩეულად პატივსაცემი „კნიაგინია“, შემდგომ კი ნიკოლოზ II-ის ფლიგელ-ადიუტანტის გიგუშა ერისთავის მეუღლე („შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი“...) 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ბათუმიდან მიმავალ გემზე ადის. კონსტანტინოპოლში მეუღლე ეგებება და ისინი პარიზში მიემგზავრებიან.

## ვინ არის ეს ქალი...

ცხადია, შეუძლებელია ამ სტრიქონების რეალური პერსონალებით დაკონკრეტება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლექსი 1916 წლითაა დათარიღებული, ბიოგრაფიულ სიზუსტეებს თავიდანვე გამოვრიცხავთ, როგორც ყველაზე მარტივ და მცდარ გზას, გალაკტიონის სამყაროს ახსნის ამაო მცდელობას... მის ყველა ლექსს, სადაც თუნდაც კონკრეტული ადრესატია დასახელებული, უფრო მეტიც, თავად პოეტიც რომ აღნიშნავს: „მას მივუძღვენიო“, რეალურ ფაქტებთან ვერ გავაიგივებთ. ძალიან ძნელია და ალბათ, შეუძლებელიც ამ რანგის პოეტის პირად ცხოვრებაში რეალურსა და წარმოსახულს შორის ზღვარის გავლება...

* * *

ისტორია ხშირად ლეგენდას უფრო სათუთად და მოკრძალებით ინახავს, ვიდრე სინამდვილეს...

ლიტერატურის ისტორიკოსები სხვადასხვა ვერსიებს გვთავაზობდნენ, თუ ვინ იყო ალექსანდრ პუშკინის, ანდრეი ბელის, ჯორჯ ბაირონის, ალექსანდრ ბლოკის, პერსი ბისი შელის თუ მიხეილ ლერმონტოვის „მერი“... როგორ აიხსნება სახე-მეტაფორა „მერი“?..

„მას შემდეგ, რაც დაიწერა ჩემი ლექსი „მერი“, ხშირად მკითხავდნენ, თუ ვინ იყო ეს მერი... მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი პასუხზე“... გალაკტიონი თვლის, რომ ამ უარის მოტივაცია არის ერთადერთი: „როგორც პოეტი, ვსარგებლობდი უფლებით“, ანუ პოეტებს არ უნდა დაუსვან ასეთი შეკითხვები...

„კნიაგინია მერი“, შემდგომ უკვე ცნობილი კოკო შანელის მოდელი და მანეკენი, პარიზის გარეუბნის მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვლება...

მის სულზე მაინც სამშობლომ იზრუნა... ქალბატონ ბაბო დადიანის თხოვნით, საქართველოს პატრიარქმა სიონში გადაუხადა პანაშვიდი...

* * *

*"[illegible]*
*[illegible]*
*[illegible]*
*[illegible]..."*

ეს სიტყვები კი უკვე ტიციან ტაბიძეს ეკუთვის... გიგო დიასამიძე ცნობილი ქუთაისელი გამომცემელია, ხოლო „ურია მხატვრად“ იგულისხმება საველი სორინი.

სორინს ეს ნახატი საქართველოსთვის უჩუქებია, მაგრამ დღეს ის რატომღაც მონაკოს პრინცის პირად კოლექციაში ინახება.

„ქუთაისში ამბობდნენ, რომ გალაკტიონმა ლექსი „მერი“ მე მიძღვნა, მე კი მას არ ვიცნობდი“... — სიცოცხლის ბოლომდე იმეორებდა მშვენიერი მერი შარვაშიძე, რომელსაც არასოდეს წაუკითხავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართული არ იცოდა... საუბრობდა და წერდა რუსულად და ფრანგულად. საქართველოში, ახლობლებთან გაგზავნილ წერილებს კი ბოლოში ქართულად აწერდა თავის სახელს „მერი“...

**ნინო ხოფერია.**



გალაკტიონ ტაბიძე, 1925 წელი

# ქართველი ინტელიგენციის სხივჩრდილი

(მეხუთე გვერდიდან)

**სანდრო ახმეტელის დაკითხვის ოქმიდან:**

**კითხვა: როგორ დაახასიათებთ ვალოდია ჯიქიას პრაქტიკულ მოღვაწეობას საქართველოს სამშენებლო დარგში?**

პასუხი: მე გამოძიებას უკვე მოვახსენე, რომ ჯიქიამ თავისი მოღვაწეობით საქართველოში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ჯიქია რიონჰესს ხელმძღვანელობდა, ქუთაისის კეთილმოწყობას და გახდა ამ ქალაქის მეცენატი. ჯიქია აშენებდა ჰიდროელექტროსადგურს, ჯიქიას, გაჰყავდა გზები, აშენებდა სახლებს, მფარველობდა სხვადასხვა ორგანიზაციას. ასაქმებდა ყველას, ვისაც მუშაობა შეეძლო, ჯიქიას შეიძლება სთხოვო ყველაფერი. უარს არ გეტყვის, გითანაგრძნობს. ჯიქია იწყებს სამგორის პრობლემის მოგვარებას, აწარმოებს მოლაპარაკებებს მოსკოვში და ა.შ. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, მას ავტორიტეტს უქმნიდა, მაგრამ თუკი მის მოღვაწეობას შევხედავთ უარყოფითი მხრიდან, მაშინ ეს ადმინისტრაციული თვითნებობანი ხელმძღვანელობის საერთო ინტერესებიდან წინააღმდეგობაში მოდიოდა. გამოვიდა ისე, რომ ვლადიმერ ჯიქიას საქართველოს გასაჭირი გულთან ახლოს მიჰქონდა, ვიდრე მათ.

**კითხვა: გამოავლინა თუ არა თქვენთან ვლადიმერ ჯიქიამ თავისი ნაციონალისტური ინტერესები?**

პასუხი: დიახ, ამ საკითხში, როგორც მე, ასევე ვლადიმერ ჯიქია ვაჭარბებდით. მახსენდება ჩვენი მტკიცება, რომ თბილისი თანდათან ხდება ეკლექტური არქიტექტურის ქალაქი, რომ ის არ ინარჩუნებს თავის ნაციონალურ სახეს და ა.შ.

**კითხვა: თქვენ გქონდათ არალეგალური კავშირი პატიმარ ვლადიმერ ჯიქიასთან, კიდევ რაზე საუბრობდით?**

პასუხი: — მითხრა, რომ მისი საქმე გადაწყვეტილია, რომ მას აბრალებენ პატრიოტულ ორგანიზაციაში მონაწილეობას, ვისი წევრებიც იყვნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სოსო ნანეიშვილი, გოგი ელიავა, კონსტანტინე გამსახურდია. ამის შემდეგ ჯიქიამ ისიც მითხრა, რომ მას უყენებენ ახალ ბრალდებას — კავშირს ბუდუ მდივანთან, რომ ბუდუ მდივანი ახლა მოსკოვშია ტროცკისტების პროცესზე.

**„ქართველ კაცს ქართველობას მაბრალებენო!“** — აღშფოთებით ამბობდა თურმე ვალოდია ჯიქია... და ამ უაზრო კომპრომატში ცინიზმის შტრიხებს უფრო ხედავდა, ვიდრე პერსონალურ ანგარიშსწორებას.

და მაინც, ე.წ. „აივნის ინციდენტი“ ეს იყო ბერიას მორიგი ავანტიურა. ახლა ყველაფერი იოლად ჩანს, მაშინ კი...

გაყინულ საკანში მარტოდდარჩენილ ინჟინერ კაცს ხმის ამოღება უმძიმდა... ღრღნიდა უნდობლობა, თუნდაც უიმედობა... ეჭვი?! და ისევ, ჯიუტი რწმენა იყო იმ დღეებში მისი საყრდენი, შინაგანი ძახილი და... უტყუარი მეგობარი!..

სანამ კანიბალური ვნებები ჩაცხრებოდა, ვლადიმერ ჯიქიას ბედი იმ საუკუნის გასამართლებას უფრო ჩამოჰგავდა, რომელსაც უთუოდ მოჰყოლოდა ასეთი დასკვნა: დროსა და სივრცეში ინტელიგენტი ამ ცხოვრებისგან განდგომილია... ის სულიერად დაუცველი და სუსტია ამქვეყნიური „ურჩხულების“ წინაშე...

კაცობრიობის არსებობის ყველაზე ღირსეული მაგალითები ალბათ, ასეთ ზნეობრივ გმირებს უკავშირდება... უწმინდური ხელითა და შეურაცხყოფილი სახელით არასოდეს გამქღავნებულა ცხადი ჭეშმარიტება და დიდი მიზანი.

**მზექა მახარაძე.**



ვლადიმერ ჯიქია.



# თანამედროვე აქსესუარი

**მობილური ტელეფონი ამ მშვენიერი წყვილისთვის, დამეთანხმებით, რომ დისონანსია და, რა თქმა უნდა, ეპოქის სტილიდანაა ამოვარდნილი, მაგრამ ჩვენი დროება უკვე წარმოუდგენელია მის გარეშე...**

მეცნიერთა მსოფლიო კონგრესებსა თუ კონფერენციებზე შიგდაშიგ ისმის ხმამაღალი, შემაშფოთებელი ნოტები: **„კაცობრიობამ მოიგონა სოტური ტელეფონი, რაც შესაძლოა მისივე არსებობას კატასტროფით დაასრულებს!...“**

რიგ მეცნიერთა აზრით, ელექტრომაგნიტური ზემოქმედება უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე... მისი სიმპტომებია: დაღლილობა, მეხსიერების დაქვეითება, არტერიული წნევა, უძილობა, გულისცემის რიტმის დარღვევა...

აპარატების უმეტესობა, რომელიც დამზადებულია EVV 50,66-2 სტანდარტის მიხედვით, რუსეთის ცნობილ მედიკოსთა აზრით, ჰიგიენურ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს და საერთოდ, მობილური ტელეფონი ხანგრძლივი მოხმარებისას შეიძლება მძიმე დაავადებების მაპროვოცირებელ ნევროგენულ ფაქტორად იქცეს.

... და მაინც, ჩვენ, რომელნიც უკვე ველარ მოვიშორებთ ამ აქსესუარს, ექიმები გვირჩევენ: **1. ვეცადოთ მინიმუმამდე შევზღუდოთ საუბრების ხანგრძლივობა. 2. შევიძინოთ ძვირადღირებული მობილური აპარატები, რომელთაც შედარებით უკეთესი დაცვის მექანიზმი გააჩნიათ. 3. მობილური ტელეფონი არასოდეს დავიკიდოთ გულზე, არ ჩავიდოთ ჯიბეში. ვატაროთ მხოლოდ ჩანთით.**

დანარჩენი კი უკვე ჰამლეტურ კითხვათა რიგს განეკუთვნება: ვიქონიოთ თუ არ ვიქონიოთ, ანუ ავყვეთ თანამედროვეობას თუ წარსულს დავუბრუნდეთ...

# ჰელონისტი ამერიკელი და ქართული არისტოკრატია

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ინტელექტუალები ამა თუ იმ მიზეზის გამო იწყებენ უცხო ენების შესწავლას. ზოგს დიდი სურვილი აქვს, რომ მსოფლიოს უძლიერესი პროზაიკოსი — თეოდორ დოსტოევსკი ორიგინალში წაიკითხოს, ზოგი ფრანგული ენის ლამაზი ჟღერადობით არის მოხიბლული და ზოგსაც სპარსული პოეზიის დამათრობელი სურნელი არ აძლევს მოსვენებას.

ამერიკაში, ინდიანას შტატის სამხრეთ ბენდში დაბადებული (წარმოშობით ირლანდიელი) ქევინ თუითი ქართული შრიფტით დაინტერესდა. ორიგინალურმა ანბანმა ძლიერ მიიზიდა და ქართული ენათმეცნიერების შესასწავლად ჩიკაგოს უნივერსიტეტში შევიდა.

ის ქართულად საოცრად გამართულად მეტყველებს, შეცდომებს არ უშვებს. არც არქაული ქართული აქვს და არც ძალიან მოდერნიზებული:

**— ბატონო ქევინ, თქვენ ინგლისურად თარგმნეთ ქართული ხალხური პოეზიის ანთოლოგია. კრებული ამერიკაში გამოვიდა. როგორ ფიქრობთ, პროფესიონალი მთარგმნელი ხართ?**

— ვფიქრობ, პრაგმატული პერსპექტივა არ გამაჩნია, ვინაიდან შეკვეთით ვერ ვთარგმნი. ეს კრებული ეთნოგრაფიული პროექტი იყო ჩემთვის, კულტურული და სოციოლოგიური შენიშვნებით. ამავე დროს ლექსებზე მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. 1987 წელს ბესიკის „ტანო ტატანოს“ თარგმნა დავაპირე. პირველი სტროფები საოცრად კარგად და სწრაფად გამომივიდა, მაგრამ ამ პროცესის დასრულება ვერასგზით შევძელი. საბოლოოდ ლექსი მხოლოდ ახლახან გადავთარგმნე. ზეშთაგონების გარეშე ასეთი რამის კეთება არ ღირს. ჩემს ვებ-გვერდზე მაქვს გალაკტიონის, ანა კალანდაძის, ლადო ასათიანის, ლია სტურუას, რუსიკო მეგრელიშვილის ლექსების თარგმანები. მინდა ამ კუთხით მუშაობა, მაგრამ თარგმანს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვასრულებ, თუკი კარგად გამომდის.

**— ევროპული კულტურა უფრო ახლოს არის ჩვენთან, ვიდრე ამერიკული, და უფრო დახვეწილია, იმ თვალსაზრისით, რომ იქ ძალადობის მომენტები არ არის, რასაც ამერიკულ პოპულარულ კულტურაზე ვერ ვიტყვით. მათ ელიტარულ ლიტერატურას როგორ წარმოგვიდგენდით?**

— რა ვიცი, ჩემი აზრით ძალიან საინტერესო არ არის. აი, მაგალითად, ფრანგები ლიტერატურას უფრო აფასებენ. ამერიკაში ფაქტობრივად არის წიგნის ინდუსტრია, სადაც მილიონიანი ტირაჟით იცემა ბესტსელერები, რომლებიც უნდა ითქვას, რომ მწერლების დაწერილი არ არის... აი, მაგალითად, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ძველი ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტი თავის მეგობრებთან, ფილოლოგებთან ერთად რომელიღაც კლუბში იჯდა, ერთობოდა. გერმანული, ინგლისური, ფინური, უნგრული მითოლოგიის ელემენტებს ერთმანეთში ურევდა და სათავგადასავლო ამბებს ჰყვებოდა. იქ მყოფმა გამომცემლობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჩათვალა, რომ ყოველივე ეს ბავშვებს მოეწონებოდათ, ამ ისტორიების გამოქვეყნება დააპირა და პროფესორს ხელნაწერი მოსთხოვა. წიგნი ბესტსელერად იქცა, დიდი წარმატებით გაიყიდა. ამჟამად მსგავსი გამოცემები ძალიან მომრავლდა. ჰარი პოტერის ავტორიც, ვფიქრობ, მას ბაძავს. პრობლემა ის არის, რომ ხალხი ძალიან ცუდად იყენებს ახალ ტექნოლოგიას. როცა საკმაოდ ნაკითხი არ ხარ და ინფორმაციას მხოლოდ კომპიუტერის ეკრანიდან იღებ, ვერც იმის გარკვევას შეძლებ, კარგია თუ ცუდი ეს ინფორმაცია და ვერც ამგვარად ამოკითხული ტექსტის სისწორეში იქნები დარწმუნებული. ასე რომ, დღევანდელ ახალგაზრდებს დროის აღქმის სხვა მეთოდები აქვთ, გაცილებით სწრაფი და ეფექტური, მაგრამ დიდებულ წუთებთან, წიგნის გადაშლის საოცარ რიტუალთან ზიარების შესაძლებლობა აღარ ეძლევათ. კომპიუტერიზაციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. უბრალოდ, ეს შენი ცხოვრების მთავარ ნაწილად არ უნდა იქცეს. ინფორმაცია შეიძლება გააყალბო და გაუთვითცნობიერებელ ადამიანს ისე მიაწოდო, როგორც გინდა.



ქევინ თუითი.

**— ქართულ სინამდვილეში ზოგჯერ სუსტ, მაგრამ გახმაურებულ ავტორს კლასიკოსს უწოდებენ...**

— მსგავს საუბარს სხვაგან ვერ მოისმენ. მაგალითად, საფრანგეთში დუმბაძის მსგავსი მწერალი სულ სხვა კატეგორიად არის მიჩნეული, ვიდრე ჭილაძის ან დოჩანაშვილის ეკვივალენტი და ამაზე არავინ დავობს. ემილი დიკენსონს ან სტივენ კინგს ერთმანეთს არ ადარებენ. მაგალითად, ინგლისურად დაწერილი ჯოისის ბოლო რომანები, ჩემი აზრით, საერთოდ არ ითარგმნება, ფარულ შიფრს ჰგავს, აინშტაინის თეორიასავით არის. შესაძლოა, ამის გაგებას მსოფლიოში სულ რამდენიმე ადამიანი ახერხებდეს, დანარჩენებისთვის ეს რაღაც გაუგებარი, საიდუმლო კულტურაა, მაგრამ გააჩნია იგივე ჯოისს, რისთვის კითხულობ. ჩვენთან, უნივერსიტეტებში, ინგლისური ენის განყოფილებებზე ათი სადოქტოროდან სამი ამ მწერალზე იწერება, ჯოისი ინდუსტრიად გადაიქცა. ლიტმცოდნეობაში რაღაც ბუმია, რაც ძალიან ცუდია.

**— მხოლოდ ეთნოგრაფიულ, ლინგვისტურ და ენათმეცნიერულ მასალას აგროვებთ თუ სხვა სახის ინფორმაციაც გაინტერესებთ?**

— ხვალ დილით, საოცარი პიროვნება, ცოცხალი მემატიანე, კონსტანტინე ჩოლოყაშვილი უნდა მოვინახულო. ამას ჩემი პირადი განცდების გამო ვაკეთებ. ჰელონისტი ვარ და დახვეწილ, მოხუც ქართველ არისტოკრატთან ურთიერთობა ძალიან მსიამოვნებს. მისი მეტყველების მანერა, ჟესტიკულაცია იშვიათია და უჩვეულო. საკვირველი კი ის არის, რომ მათ ცხოვრებაში მომხდარი შემზარავი, ტრაგიკული ისტორიების მიუხედავად, ასეთი ადამიანები შურისმაძიებლის გამწარებული ტონით არ საუბრობენ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მომხიბვლელ, სათნო არსებებად რჩებიან. ეს მათი კერძო, პირადი ფილოსოფიაა და ამერიკელისთვის ალბათ გაუგებარი რამ არის, მაგრამ მსგავს ჩანაწერებს მე მაინც შევაგროვებ. შემდეგ მეცნიერული პროექტის სახით ჩამოვაყალიბებ და ჩემს ვებ-გვერდზე განვათავსებ, სათაურით — „XX საუკუნის საქართველოს ცოცხალი ბიბლიოთეკა“.

ეს უჩვეულო ამერიკელი, მე-20 წელია, რაც ჩვენთან ჩამოდის და სულიერების თვალსაზრისით თითქოს საქართველოსთან ერთად გაიზარდა. ტენდენციური არასოდეს არ არის, ყოველთვის ობიექტურად მსჯელობს და დროდადრო სინატიფეს მოკლებული ერთფეროვანი, შემთხვევით გარემოდან თავდაღწევის საოცარი უნარიც გააჩნია.

**ქეთევან ბოჭორიშვილი.**



მხატვარი კარლო ფაჩულია.

# განცხადებები საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ

## პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი
## კრედიტი № 3702-GE

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,** პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმებს საქართველოს აჭარის რეგიონის მაღალმთიან სოფლებში (დიოკნისე, სხალთა, ღორჯომი, ხიხაძირი. შუბნა, ჩვანი, ბარათაული, დღვანი, ზამლეთი, მერისი, პირველი მაისი, ცხმორისი, დანდალო, მახუნცეთი, წონიარისი) შერჩეული **პირველადი ჯანდაცვის 15 დაწესებულების** (დაახ. 2,080 მ$^2$) რეაბილიტაციისთვის საჭირო **არქიტექტურული დიზაინისა და საავტორო ზედამხედველობის სამუშაოების განსახორციელებლად.**

**არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:**

- შეიმუშაოს არქიტექტურული მონახაზი;
- შეიმუშაოს საბოლოო არქიტექტურული დიზაინი (პროექტი);
- მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების, საინჟინრო სპეციალური სამუშაოების, აგრეთვე, საოფისე და სამედიცინო აღჭურვილობისა და ავეჯის ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.
- სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ობიექტის აღჭურვისა და დაკომპლექტების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა სტანდარტებთან და პროექტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- წარმოადგინოს რეგულარული ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

შენიშვნა: ინდივიდუალურმა კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ყველა ნახაზი არქიტექტურულ კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad /AutoCad-ში) და ყოველთვიურად წარმოადგინოს ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის წამყვან სპეციალისტებს (არქიტექტორი) უნდა გააჩნდეთ მინიმუმ 7 წლის სამუშაო გამოცდილება, ხოლო სხვა პერსონალს – მინიმუმ 5 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;

**სამუშაოების ხანგრძლივობაა 8.5 თვე (რაც მოიცავს: 2 თვეს არქიტექტურული დიზაინის მოსამზადებლად).**

ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", 1997 წლის იანვარი (შესწორება – 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი).

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები და ა.შ.);
3. **სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე;**
4. ინფორმაცია ფირმის ძირითადი და სხვა პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა - CV).

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ 2005 წლის 14 მარტის 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**

**ტელ/ფაქსი: +995 (32) 331934, 331839**

**ელ. ფოსტა:** info@hpic.ge; bforhealth@caucasus.net

**საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**

---

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,** პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმებს საქართველოს იმერეთისა და აჭარის რეგიონების სოფლებში (წირქვალი, პერევესა, სვერი, კაცხი, ითხვისი, დღნორისი, ზვარე, ხანი, ზეგანი, ზვარე – ქედის რაიონი, თხილვანა, ფუშუკაური, რიყეთი, აგარა, წყალსაყარი, ოლადაური) შერჩეული **პირველადი ჯანდაცვის 16 დაწესებულებისთვის** (დაახ. 2,150მ$^2$) ახალი შენობების **არქიტექტურული დიზაინის შესამუშავებლად და საავტორო ზედამხედველობის სამუშაოების განსახორციელებლად.**

**არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:**

- შეიმუშაოს არქიტექტურული მონახაზი;
- შეიმუშაოს საბოლოო არქიტექტურული დიზაინი (პროექტი);
- მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების, საინჟინრო სპეციალური სამუშაოების, აგრეთვე, საოფისე და სამედიცინო აღჭურვილობისა და ავეჯის ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.
- სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ობიექტის აღჭურვისა და დაკომპლექტების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა სტანდარტებთან და პროექტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- წარმოადგინოს რეგულარული ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

შენიშვნა: ინდივიდუალურმა კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ყველა ნახაზი არქიტექტურულ კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad/ AutoCad-ში) და ყოველთვიურად წარმოადგინოს ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის წამყვან სპეციალისტებს (არქიტექტორი) უნდა გააჩნდეთ მინიმუმ 7 წლის სამუშაო გამოცდილება, ხოლო სხვა პერსონალს – მინიმუმ 5 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;

**სამუშაოების ხანგრძლივობაა 8.5 თვე (რაც მოიცავს: 2 თვეს არქიტექტურული დიზაინის მოსამზადებლად).**

ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", 1997 წლის იანვარი (შესწორება – 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი).

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები და ა.შ.);
3. **სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე;**
4. ინფორმაცია ფირმის ძირითადი და სხვა პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა - CV).

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ 2005 წლის 14 მარტის 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**

**ტელ/ფაქსი: +995 (32) 331934, 331839**

**ელ. ფოსტა:** info@hpic.ge; bforhealth@caucasus.net

**საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**

---

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,** პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმებს საქართველოს აჭარის რეგიონის სოფლებში (აჭარისაღმართი, ურძამა, ახალსენი, კირნათი, თხილნარი, კახაბერი, საჩინო, ქობულეთი, ხალა, ბობოყვატი, ციხისძირი, კვირიკე, ლეღვა, ქაქუთი, ოჩხამური, ხუცუბანი) შერჩეული **პირველადი ჯანდაცვის 16 დაწესებულების** (დაახ. 3,900 მ$^2$) რეაბილიტაციისთვის საჭირო **არქიტექტურული დიზაინისა და საავტორო ზედამხედველობის სამუშაოების განსახორციელებლად.**

**არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:**

- შეიმუშაოს არქიტექტურული მონახაზი;
- შეიმუშაოს საბოლოო არქიტექტურული დიზაინი (პროექტი);
- მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების, საინჟინრო სპეციალური სამუშაოების, აგრეთვე, საოფისე და სამედიცინო აღჭურვილობისა და ავეჯის ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.
- სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ობიექტის აღჭურვისა და დაკომპლექტების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა სტანდარტებთან და პროექტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- წარმოადგინოს რეგულარული ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

შენიშვნა: ინდივიდუალურმა კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ყველა ნახაზი არქიტექტურულ კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad/ AutoCad-ში) და ყოველთვიურად წარმოადგინოს ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის წამყვან სპეციალისტებს (არქიტექტორი/ინჟინერი) უნდა გააჩნდეთ მინიმუმ 7 წლის სამუშაო გამოცდილება, ხოლო სხვა პერსონალს – მინიმუმ 5 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
4. სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე.

**სამუშაოების ხანგრძლივობაა 8.5 თვე (რაც მოიცავს: 2 თვეს არქიტექტურული დიზაინის მოსამზადებლად).**

ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", 1997 წლის იანვარი (შესწორება – 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი).

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, მოკლე აღწერა და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები და ა.შ.);
3. **სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე;**
4. ინფორმაცია ფირმის ძირითადი პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა - CV).

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2005 წლის 14 მარტის 17 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**

**ტელ/ფაქსი: +995 (32) 331934, 331839**

**ელ. ფოსტა:** info@hpic.ge; bforhealth@caucasus.net

**საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**

---

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,** პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმებს საქართველოს იმერეთის რეგიონის სოფლებში (ქვაციხე, ნიგოზეთი, რგანი, ხრეითი, ტყემლოვანა, ჯალაურთა, ჩალოვანა, კორბოული, ცუცხვათი, საწირე, მუხური, ჯვარისა, გურნა, სოჩხეთი, თუზი, გორდა) შერჩეული **პირველადი ჯანდაცვის 16 დაწესებულების** (დაახ. 2,280 მ$^2$) რეაბილიტაციისთვის საჭირო **არქიტექტურული დიზაინისა და საავტორო ზედამხედველობის სამუშაოების განსახორციელებლად.**

**არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:**

- შეიმუშაოს არქიტექტურული მონახაზი;
- შეიმუშაოს საბოლოო არქიტექტურული დიზაინი (პროექტი);
- მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების, საინჟინრო სპეციალური სამუშაოების, აგრეთვე, საოფისე და სამედიცინო აღჭურვილობისა და ავეჯის ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.
- სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ობიექტის აღჭურვისა და დაკომპლექტების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა სტანდარტებთან და პროექტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- წარმოადგინოს რეგულარული ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

შენიშვნა: ინდივიდუალურმა კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ყველა ნახაზი არქიტექტურულ კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad/ AutoCad-ში) და ყოველთვიურად წარმოადგინოს ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის წამყვან სპეციალისტებს (არქიტექტორი) უნდა გააჩნდეთ მინიმუმ 7 წლის სამუშაო გამოცდილება, ხოლო სხვა პერსონალს – მინიმუმ 5 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
4. სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე.

**სამუშაოების ხანგრძლივობაა 8.5 თვე (რაც მოიცავს: 2 თვეს არქიტექტურული დიზაინის მოსამზადებლად).**

ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", 1997 წლის იანვარი (შესწორება – 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი).

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, მოკლე აღწერა და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები და ა.შ.);
3. **სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე;**
4. ინფორმაცია ფირმის ძირითადი პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა - CV).

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2005 წლის 14 მარტის 17 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**

**ტელ/ფაქსი: +995 (32) 331934, 331839**

**ელ. ფოსტა:** info@hpic.ge; bforhealth@caucasus.net

**საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**

---

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის, მაკომპლექტებელი ნაწილების და სახარჯი მასალების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:**

**ლოტი № 1** სერვერი – 2 ცალი (თსუ მონაცემთა ბაზების და თსუ კომპიუტერული ქსელის მთავარი სერვერები). თითოეული ორპროცესორიანი, მოწყობილობების „ცხელი" შეცვლით.

**ტექნიკური მონაცემები:**

1). პროცესორი – 3.2GHz 800 MHz 1 MB 12 Cache Xeon Processor with Intel EM64T – 2 ცალი;
2) ოპერატიული მეხსიერება – 1.5GB PC-3200 (3 x 512MB) ECC DDR2 SDRAMRDIMM Kit;
3) „ცხელი" შეცვლის მყარი დისკების მაქსიმალური რაოდენობა (Total hot swap bays-Internal RAID) – 6 ცალი;
4) მყარი დისკი – 73Gb 15K SCSI – 3 ცალი;
5) ფლოპი დისკის მატარებელი – 1.44MB 3.5-inch Discette Drive – 1 ცალი;
6) კომპაქტდისკის მატარებელი – 52 X CD-ROM Drive – 1 ცალი;
7) ქსელის ადაპტერი – Integradet 10/100/1000 Mbps Ethernet – 1 ცალი;
8) კლავიატურა – Standars Keyboard – 1 ცალი;
9) კვების წყარო – 350W Hot-Swap Power Supply.

**ლოტი № 2** პერსონალური კომპიუტერი – 106 ცალი.

**ტექნიკური მონაცემები:**

1) დედაპლატა – Pentium IV, Integrated Video, Audio, 10/100 Mbps Ethernet;
2) პროცესორი – 2.4GHz 800MHz Celeron;
3) ოპერატიული მეხსიერება – 512MB ECC DDR2 SDRAM RDIMM Kit;
4) მყარი დისკი – 40Gb 7500;
5) ფლოპი დისკის მატარებელი – 1.44Mb ECC DR2 SDRAM RDIMM Kit;
6) კომპაქტდისკის მატარებელი – 52 X CD-ROM Drive;
7) კლავიატურა – Standard Keyboard;
8) მაუსი – Optical;
9) კვების წყარო – 300W Power Supply;
10) მონიტორი – 17".

**ლოტი № 3** ნოუთბუქი Pentium IV – 5 ცალი.

**ლოტი № 4** პრინტერი:

1) ლაზერული, 600 x 600, A4, 12 გვ/წთ, შავ-თეთრი – 43 ცალი;
2) ლაზერული, 600 x 600, A4, ფერადი – 1 ცალი.

**ლოტი № 5** სკანერი 600 x 600, A4 – 4 ცალი.

**ლოტი № 6** მონიტორი:

1) LCD 15''– 8 ცალი;
2) LCD 17''– 9 ცალი;
3) 17'' – 2 ცალი.

**ლოტი № 7** უწყვეტი კვების წყარო:

1) UPS 600 VA – 11 ცალი;
2) UPS 1200 VA – 4 ცალი;
3) UPS 2000 VA – 1 ცალი;
4) Smart 1400 VA – 1 ცალი;
5) Back UPS Pro 1400-ის ბატარეა GP 12170 (12V, 17 Ah) – 4 ცალი.

**ლოტი № 8** კომპიუტერული ქსელის მოწყობილობები:

1) Switch 10/100Mb/s 16 ports – 11 ცალი;
2) Switch 10/100Mb/s 8 ports – 21 ცალი;
3) Tester for UTP Gables– 2 ცალი;
4) Tools for UTP Gables – 2 ცალი.

**ლოტი № 9** კომპიუტერული ტექნიკის მაკომპლექტებელი ნაწილები:

1) დედა პლატა Pentium IV, Integrated Video, Audio, 10/ 100Mbps Ethernet– 4 ცალი;
2) პროცესორი P4 3.0Ghz FSB 800Mhz Cache 1024– 1 ცალი;
3) პროცესორი Celeron 2.4Ghz– 2 ცალი;
4) მყარი დისკი HDD 49Gb 7200 – 6 ცალი;
5) მყარი დისკი HDD 80Gb 7200 – 4 ცალი;
6) მყარი დისკი HDD 120Gb 7200 – 1 ცალი;
7) ოპერატიული მეხსიერება 512MB ECC DDR2 SDRAM RDIMM Kit– 14 ცალი;
8) ოპერატიული მეხსიერება 256MB ECC DDR2 SDRAM RDIMM Kit – 5 ცალი;
9) კომპაქტდისკის ჩამწერი CDRW – 4 ცალი;
10) USB flash drive 512 Mb – 2 ცალი;
11) USB flash drive 128 Mb – 2 ცალი;
12) ფლოპიდისკის მატარებელი Floppy Disk Drive 1.44 – 1 ცალი;
13) ქსელის ადაპტერი Ethernet Gard 10/100Mb/s – 48 ცალი;
14) ვიდეო კარტა ორი მონიტორისათვის – 1 ცალი;
15) ვიდეო კარტა 128 Mb – 1 ცალი;
16) ვიდეო კარტა Geforse FX 5700 256 Mb – 1 ცალი;
17) აუდიო კარტა Creative Sound Blaster Live.S.1.PCI. – 1 ცალი;
18) კლავიატურა Genius (Wirelese) – 2 ცალი;
19) კლავიატურა PS/2 – 30 ცალი;
20) მაუსი PS/2 – 21 ცალი;
21) მაუსი Optical – 47 ცალი;
22) დინამიკები Activ Speakers – 3 ცალი;
23) მიკროფონი – 1 ცალი;
24) cooler for CPU P4 3.0Ghz – 4 ცალი.

**ლოტი № 10** კომპიუტერული ტექნიკის სახარჯი მასალები:

1) კარტრიჯი HPLJ 6L – 26 ცალი;
2) კარტრიჯი HPLJ 1100 – 16 ცალი;
3) კარტრიჯი HPLJ 1200 – 11 ცალი;
4) კარტრიჯი HPLJ 1010 – 13 ცალი;
5) კარტრიჯი HPLJ 4 – 3 ცალი;
6) კარტრიჯი HPLJ 4Plus – 3 ცალი;
7) კარტრიჯი HPLJ 2100/2200 – 6 ცალი;
8) კარტრიჯი LBP-810 – 4 ცალი;
9) კარტრიჯი LBP-1120 – 2 ცალი;
10) კარტრიჯი HPLJ 1300 – 1 ცალი;
11) კარტრიჯი HPDJ 6490C ფერადი – 2 ცალი;
12) კარტრიჯი HP DJ 6490C შავი – 2 ცალი;
13) კარტრიჯი HP695C შავი – 6 ცალი;
14) კარტრიჯი HP695C ფერადი – 6 ცალი;
15) კარტრიჯი HP DJ c6625a ფერადი – 1 ცალი;
16) კარტრიჯი HP DJ c6625d შავი – 3 ცალი;
17) კარტრიჯი Canon BJC – 5000 (BC-21 e) – 2 ცალი;
18) კარტრიჯი Canon BJC – 5000 (BC-21 c) – 1 ცალი;
19) კარტრიჯი Canon BJC – 5000 (BC-23 black) – 1 ცალი;
20) კარტრიჯი HP dds – 3 data cartrige, 24 GB – 5 ცალი.

**კომპაქტდისკები:**

1) CD RW – 40 ცალი;
2) CD R – 200 ცალი;

ფლოპდისკები 1.44'' – 320 ცალი;

კომპიუტერული ქსელის კაბელი UTP 5 კატეგორიის (305 მეტრი) – 10 ცალი;

კონექტორები UTP – 500 ცალი.

ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2005 წლის 31 დეკემბრამდე** ეტაპობრივად, წინასწარი მოთხოვნის შესაბამისად. მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 21 მარტის 10.00 საათიდან 24 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1, უნივერსიტეტის I კორპუსი, III სართული, სპეცსახსრების ბუღალტერია.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი პირები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**4.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისთვის:**

ა) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილებას რეგისტრაციის შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება, ასევე თუ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ვერ დააკმაყოფილებს ტენდერში მონაწილეთათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ **2005 წლის 28 მარტის 10 საათიდან 30 მარტის 17 საათანმდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1, უნივერსიტეტის I კორპუსი, III სართული, სპეცსახსრების ბუღალტერია. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.**

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: **ინგა ტუხაშვილი** – აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, **შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1, უნივერსიტეტის I კორპუსი, III სართული, სპეცსახსრების ბუღალტერია. ტელეფონი: 25-15-48. 893 73-42-14.**

**სატენდერო კომისია.**

---

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აცხადებს აუქციონს

## შპს „ელექტრონული ტექნოლოგიების" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის, ბალანსზე რიცხული 18 ერთეული მანქანა-დანადგარების რეალიზაციაზე

| საინვ.№ | ძირითადი საშუალების დასახელება | [illegible] | რაოდ. [illegible] | საწყისი გასაყიდი ფასი, ლრ. | „ბე" ლრ. |
|---|---|---|---|---|---|
| B58 | [illegible] | 1986 | 1 | 2 894 | 289,4 |
| B88,B90 | [illegible] | 1988 | 2 | 2 885 | 289,3 |
| B96 | [illegible] | 1988 | 1 | 7 315 | 731,5 |
| B101,R1 | [illegible] | 1989 | 2 | 5 194 | 519,4 |
| B118, B113 | [illegible] | 1989 | 2 | 1 252 | 125,2 |
| R2 | [illegible] | 1983 | 1 | 2 449 | 244,9 |
| R133,R134,R135 | [illegible] | 1990 | 3 | 2 449 | 344,9 |
| B74,B125,B041 | [illegible] „ორბიტორი-5" | 1989 | 3 | 3 396 | 339,6 |
| OP35 | „ორბიტორი-5" | 1985 | 1 | 2 539 | 253,9 |

| | |
|---|---|
| [illegible] | 50 ლარი |
| [illegible] | ქ. თბილისი, [illegible] 8 |
| [illegible] | ქ. თბილისი, [illegible] 8, [illegible] ტ. 52 61 92 |
| [illegible] | 2005 წლის 5 მარტიდან 2005 წლის 5 აპრილის ჩათვლით, 14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე [illegible] |
| [illegible] | 2005 წლის 6 აპრილი, 16.00 სთ. |
| [illegible] | [illegible] 220101827, [illegible] 220101107 |

**აუქციონში მონაწილეობა, პირობები და საჯარიმო სანქციები:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივ თანამმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია. 'მყიდველი" ვალდებულია აუქციონზე შეძენილი სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასი გადაიხადოს აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 1 თვეში. დადგენილ ვადებში საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ობიექტზე და არ უბრუნდება შეტანილი „ბე".

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სახელმწიფო ქონების დასახელებას, საწყის გასაყიდ ფასს, რომლის შეძენაც მას სურს;

ბ) „ბე"-ს და „მონაწილის ბილეთის" შეტანის დამადასტურებელ საბანკო ქვითარს;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემებს;

ც) ნოტარიულად დამტკიცებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამტკიცებულ ასლს.

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მე-14 საშუალო სკოლის პედაგოგი ნინელი კობახიძე თავის აღსაზრდელებთან. გადაღებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში.

მოგვაწოდა ნუციკო მოსეშვილმა.

## გიხაროდენ!

# ვაჟიან-ქალიანობა არ მოგვშლოდეს

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

**თითოეულის შეტყობინება ჩვილის დაბადებაზე გვახარებს.**



— ოჯახს მატება, გამრავლება! — ლოცავენ შინ მიბრუნებულ დედა-შვილს ახლობლები და სათქმელს ასე ამთავრებენ — ქალიან-ვაჟიანობა არ მოგშლოდეთო. ჰოდა, გვიხარია როცა გვატყობინებენ: — შეგვეძინა პირველი შვილი, შვილიშვილი, შეიქმნა ახალი ოჯახი და გვარის გამგრძელებელი უკვე გვყავს და რომელი ერთი ჩამოგითვალოთ.

გუშინ, დედაქალაქის ვაზისუბნის დასახლების პირველი მიკრორაიონიდან გვესტუმრა სანდრო გიორხელიძე, მან მეზობლის ოჯახის სიხარული გაგვიზიარა, — ჯალაღანიებს ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინათ — სოფო და ლევანი (ბებია-ბაბუის სახელი დაარქვესო).

ჯალაღანიების მეზობლის სიხარული გვესიამოვნა, კარგია, როცა ადამიანები ჭირსა და ლხინში ერთად არიან.

## ცოტაც გავიღიმოთ...



ახალდაქორწინებული წყვილი პლაჟზე ნებივრობს. ქმარი თვალს ვერ წყვეტს ლამაზ გოგონებს.

— ნიკა წესიერად მოიქეცი, არ დაგავიწყდეს, რომ ცოლიანი ხარ, — საყვედურობს მეუღლე.

— რატომ? დავუშვათ, თუ დიეტაზე ვარ, მენიუს გადათვალიერების უფლება არა მაქვს?

* * *

ავტოინსპექტორმა მთვრალი მძღოლი გააჩერა და ნოტაციას უკითხავს:

— თუ მთვრალი ხარ, საჭეს ხელი უნდა უშვა.

— აბა, დაფიქრდი, რას მეუბნები. მთვრალს ისედაც მიჭირს მანქანის მართვა და ახლა საჭესაც ვუშვა ხელი?

* * *

პროკურორი — ეს ბიზნესმენია, რომელმაც საქმე სასტარტო კაპიტალის გარეშე დაიწყო.

* * *

— ძვირფასო, ხომ არ გვიმღერებდი? — უჩურჩულებს ქმარი ცოლს.

— რა აზრი აქვს, სტუმრები ხომ უკვე იშლებიან.

— ჰო, იშლებიან, მაგრამ — ძალიან ნელი ტემპით...

* * *

— არაყი გიყვარს?

— არა!

— რამე რომ იყოს, დალევდი?

— რა თქმა უნდა!

* * *

მთვრალი კაცი ვეტერინართან მიდის:

— გავიგე, საქონლის ექიმი ყოფილხარ, არა?

— ჰო. რა გტკივა?

* * *

ცოლმა ალკოჰოლიკი ქმარი მაღაზიაში გაგზავნა ორი შავი პურის საყიდლად.

— შავი პური არ ჰქონდათ და ორი ბოთლი შავი ღვინო ვიყიდე, — უპატაკა ქმარმა.

* * *

— გაგპუდროთ? — ეკითხება დალაქი მიხოს.

— ეს გაპარსვის ღირებულებაში შედის?

— ცხადია.

— მაშინ პუდრი შემიხვიეთ და ცოლს წავუღებ.

* * *

— შენ ჩემი ნაღდი მეგობარი ხარ?

— უნაღდესი!

— შეგიძლია, ჩემს ნაცვლად მოკვდე?

— შენ რა, არ გცალია?

* * *

— გახსოვთ, ამ ხუთი წლის წინათ თქვენთან რომ ვიყავი? — ეკითხება ქალი მარჩიელს — მაშინ მითხარით, რომ მდიდარი ქმარი და სამი შვილი მეყოლებოდა.

— მახსოვს, კარგად მახსოვს.

— შვილები კი, მაგრამ ახლა მაინტერესებს, ქმარი როდის მეყოლება?

* * *

— ამბობენ, შენი მეგობარი გოგონა საოცრად შეუხედავიაო. მართალია?

— როგორ გითხრა... მყავდა ქირურგთან პლასტიკური ოპერაციისთვის, მაგრამ მან მითხრა, კუდის მიკერება უფრო უპრიანიაო.

## ფესტივალი

# თქვენ ფილმები გადაიღეთ, „მზე“ ქვეყანას გააცნობს...



**წლების მანძილზე ქართული კინოს გასაჭირზე ბევრი ითქვა და დაიწერა. საზოგადოებასაც თითქოს მობეზრდა ერთი და იგივეს მოსმენა ეროვნული კინემატოგრაფიის უკიდურეს კრიზისზე. თუმცა ბოლო ხანებში რამდენიმე საგულისხმო ძვრამ მაყურებელი დაარწმუნა, რომ ქართული კინო ჯერ კიდევ ცოცხლობს.**

**ახლახან დაიწყო ტელეკომპანია „მზისა“ და კინემატოგრაფისტთა კავშირის ერთობლივი ფესტივალი, რომელიც სამ თვეს გასტანს და 1 ივნისს, „მზის“ დაბადების დღეს, საზეიმოდ დაიხურება.**

ამ სამი თვის განმავლობაში ტელეკომპანია „მზის“ ეთერის საშუალებით მაყურებელს ყოველ საღამოს შეუძლია იხილოს კონკურსში მონაწილე ფილმები. ფესტივალის მიზანია, ბოლო 5 წლის მანძილზე შექმნილი კინონამუშევრებიდან საუკეთესოები გამოარჩიოს. წამოწყების თაოსანია ტელეკომპანია „მზე“ (იდეის ავტორი — მარინა სალუქვაძე), რომლის წარმომადგენლებმაც ჩანაფიქრი კინემატოგრაფისტთა კავშირს გაუზიარეს და ერთობლივი ძალებით ამ პროექტის განხორციელება შესთავაზეს და, რაღა თქმა უნდა, თანხმობა მიიღეს.

საკონკურსო პროგრამაში სულ 130 ფილმი მონაწილეობს, მათ შორის სრული და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, ანიმაციური, დოკუმენტური და ახალგაზრდული ნამუშევრები. პრიზებიც ამ კატეგორიების მიხედვით გადანაწილდება და ჩამოთვლილ ჟანრებში საუკეთესო ფილმებს გადაეცემათ. საუკეთესო სცენარის, რეჟისურის თუ სამსახიობო ოსტატობის შეფასებას ფესტივალზე ამჯერად არ აპირებენ. აქვე დამატებით გაიცემა კინემატოგრაფისტთა კავშირის სპეციალური პრიზი „ნატო“ ქართულ კინოში განსაკუთრებული ღვაწლისთვის.

ფესტივალს ორი ჟიური ჰყავს: პროფესიონალთა და მოყვარულთა. პროფესიონალთა ჟიური კინომცოდნეებისგან შედგება. ორგანიზატორებმა ბევრი იფიქრეს ჩაერთოთ თუ არა მის შემადგენლობაში რეჟისორები, ოპერატორები და ა. შ. თუმცა საბოლოოდ არჩევანი მაინც კინომცოდნეებზე შეჩერდა და საუკეთესოთა გამოვლენა ჟიურის თავმჯდომარის არჩილ შუბაშვილის მეთაურობით დაევალათ გოგი გვახარიას, ნანა თუთბერიძეს, ოლღა თაბუკაშვილს, ზვიად დოლიძეს, ლია კალანდარიშვილს, პაატა იაკაშვილს, მანანა ლეკბორაშვილს, მაია ლევანიძეს, მარინა კერესელიძეს, თეო ხატიაშვილს, ქეთი ჯაფარიძეს, ნინო მხეიძეს, ლიანა სიგუას, ლიანა მაღლაკელიძეს, ლია ხოშტარიას, ეთერ ოკუჯავას და მარინა ნანეიშვილს.

მოყვარულთა ჟიურიში ტელემაყურებელი მოიაზრება. ყოველდღიურად ნებისმიერ მაყურებელს საშუალება ექნება ტელეფონის საშუალებით ხმა მისცეს თავის რჩეულს. კონკურსის დასასრულს ხმები შეჯამდება და მაყურებლის რჩეული ფილმიც გამოვლინდება.

გამარჯვებულ ნამუშევრებს დიპლომები და სიმბოლური მცირე ქანდაკებები გადაეცემა. რაც შეეხება ფულად ჯილდოებს და სხვა წამახალისებელ პრიზებს, ამჯერად ისინი არ გაიცემა.

წარდგენილ ნამუშევართაგან ზოგიერთის პრემიერა უკვე გაიმართა, ზოგმა საერთაშორისო ფესტივალებშიც მიიღო მონაწილეობა, თუმცა საქართველოში ფართო მაყურებელი ჯერაც არ იცნობს. სწორედ ეს არის ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი ღირსება, რომ იგი ერთგვარად შეაჯამებს ბოლო 5 წლის მანძილზე ქართულ კინემატოგრაფში შექმნილ პროდუქციას.

**უნდა ითქვას ისიც, რომ ფესტივალი კომერციული არ არის და ტელეკომპანია საკმაო რისკს ეწევა, როცა ტელეეთერის „პრაიმ ტაიმში“ მაღალრეიტინგული პროგრამების ნაცვლად უცნობ ფილმებს აჩვენებს. ერთჯერადი იქნება ეს წამოწყება თუ შემდეგაც გაგრძელდება, ამას 1 ივნისის შემდეგ შევიტყობთ.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

## ტრადიცია

# ანგელოზის ხუთშაბათი

**ქართლში, დიდი ლიახვის ხეობაში, ყოველწლიურად აღნიშნავენ „ანგელოზობას“. ფრონეს ხეობაში კი მას „მარიაშნობასაც“ ეძახიან.**

**ეს არის ძველი, მამა-პაპური ტრადიცია. წლეულს იგი დედის დღეს, 3 მარტს დაემთხვა. ისე, უმეტესწილად, თებერვალში მოდის ხოლმე. მაგრამ რადგან ამჯერად პირველ მაისს ვდღესასწაულობთ აღდგომას, „ანგელოზობამაც“ აქეთ გადმოიწია. შეიძლება ვთქვათ, რომ ის მოძრავია და აღდგომას დასდევს.**

ამ დღისთვის ყოველი ოჯახი ზრდის მამალს. ვისაც არა ჰყავს, აუცილებლად იყიდის. ქალები აცხობენ ქადებს, ხაჭაპურებს, ნამცხვრებს. ოჯახის უფროსი მამაკაცი კი ხდის ქვევრს, რომელშიც ზედაშე, თავანკარა ღვინოა ჩასხმული. შემოდგომით, ყურძნის დაწურვისას საგანგებოდ გამოყოფილ პატარა ქვევრებში ასხამენ პირველგამოწურულ ბადაგს. ჭურჭელი შეიძლება იყოს ათი, ოცი, ან უფრო მეტი ლიტრის ტევადობისა. ზედაშის შენახვა ქართლში ოჯახებისთვის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ეს კერიის მფარველის, ფუძის ანგელოზის საპატივცემლოდაა განკუთვნილი.

მამალი აუცილებლად ხუთშაბათს იკვლება. შემდეგ მრგვალად მოხარშულ ფრინველს, პირველ გამომცხვარ პურს, დოქით ღვინოს მთელი დღის განმავლობაში კარადაში „შეუდგამენ“ ფუძის ანგელოზს. თვითონ კი მეორე დღემდე ხელს არ ახლებენ.

ზოგნი პირიქით, მაშინვე სუფრას შლიან, რომელსაც მხოლოდ ოჯახის წევრები მოუსხდებიან ხოლმე. ჯერ უფროსები აიღებენ ლუკმას, შემდეგ — უმცროსები. სანთელს აანთებენ სუფრაზე და უმეტესად, წითელი ღვინით ახსენებენ მფარველ ანგელოზს. შესთხოვენ მას ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას, გამრავლებას, უხვ მოსავალს...

მეზობლები ამ დღეს ერთმანეთსაც პატიჟებენ ხოლმე. მაგრამ მიღებულია, რომ საანგელოზო ღვინო და პურმარილი უფრო შინაურებმა მიირთვან.

რაღა თქმა უნდა, ერთ სუფრაზე ვერ შეისმება წმინდა ღვინო. ამიტომ მას ქვევრიდან სუფთად ამოიღებენ და მთელი წლის განმავლობაში ინახავენ. შეიძლება მიართვან მხოლოდ განსაკუთრებით პატივსაცემ სტუმარს, რაც დიდ პატივად ითვლება.

**გასულ ხუთშაბათს, დიდი ლიახვის ხეობის ცხრა ქართულმა სოფელმა იზეიმა „ანგელოზობა“. მთელი დღე ისმოდა აქ მცხოვრებთა ოჯახებში უფლისა და ღვთისმშობლის, წმინდანების, მფარველ ანგელოზთა სადიდებელი. ყოველ ოჯახში ენთო სანთელი.**

**ანგელოზთა მადლი ჰფარავდეს საქართველოს იმერ-ამიერს.**

**ლია ჭილლაძე.**

## ქორწილია, ქორწილი!

# ნატანებლების «პატარა» ოჯახი

**— მეზობრებთან ერთად მეც ვუერთდები თქვენს ბედნიერებას და სანამ რეგისტრაციაში ქორწინებას გავაფორმებდეთ, კიდევ ერთხელ გკითხავთ — არის თუ არა თქვენი გადაწყვეტილება ერთობლივი და ხართ თუ არა თანახმა, შექმნათ ოჯახი, — ასე მიმართა ქორწინების სახლის უფროსმა ინსპექტორმა მარეხ ხორნაულმა წყვილს.**

შემდეგ „მრავალჟამიერი“ დაგუგუნდა და ახალდაქორწინებულები მაყრიონის შუაგულში აღმოჩნდნენ. მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. ძლივს დავიმარტოხელე მზია მიმინოშვილი და ნუგზარ თოიძე.

გურიასა და მთელ საქართველოში სახელგანთქმულ სოფელ ნატანებიდან ყოფილან ახალგაზრდები. იქ № 2 საშუალო სკოლა დაუმთავრებიათ. მერე, მათი გზები სწავლის სურვილმა „გაყარა“. თბილისმა კი გულში ჩაიკრა ბავშვობის შეყვარებულები და 27 და 29 წლის ნეფე-პატარძალმა გადაწყვიტეს, კიდევ ერთი ფუძეძლიერი, ქართული ოჯახი შეექმნათ.

მზია მიმინოშვილმა იოანე პეტრიწის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი დაამთავრა დაწყებითი განათლების პედაგოგის სპეციალობით, ნუგზარ თოიძემ — დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული სამხედრო აკადემიის სატანკო ფაკულტეტი. შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. ტეხასის შტატში ინგლისური ენის ინსტიტუტი დაამთავრა, ჯორჯიის შტატში ჯერ ქვეითი ოცმეთაურის, შემდეგ კი ინსტრუქტორის კურსები. ახლა საგურამოს ქვეითი ბატალიონის (S-2) უფროსი ოფიცერია. საუბარში, როცა სიტყვა ამერიკაში გამგზავრებაზე კვლავ ჩამოვუგდე, სხარტად მიპასუხა — ისე მოვიქცევი, როგორც სამშობლოს დასჭირდება.

მზიას ბედნიერებით, უპირველესად, მისი დედ-მამა ეკატერინე და ომარ მიმინოშვილები ხარობენ. მართალია, გლეხებს სოფელში გარჯა და შრომა არ აკლიათ, მაგრამ იმედი აქვთ, მშობლების გარეშე დარჩენილ სიძეს ზრუნვას, სითბოსა და სიყვარულს არ მოაკლებენ.



— ეს ჩემი არჩევანია, — ბრძანა პატარძალმა, — ვიცოდი, რა ნაბიჯსაც ვდგამდი. ომი იქნება თუ მშვიდობა, ყველგან ჩემი მეუღლის გვერდით ვიქნები. ქართველი ქალის ბედი ეს ყოფილა — უერთგულოს ქმარს და მამულს, ღირსეული შვილები უზარდოს, — სიმტკიცეს მართლა ვერ დაუწუნებ და გვარსაც ამართლებს მიმინოშვილის ქალი.

როცა ჩვენი ტრადიციული კითხვა დავუსვი, თუ რა სურვილი აქვთ ამ ბედნიერ წუთებში, ასე მიპასუხეს:

**მზია:** — ვიცი და ვგრძნობ, ჩემს მეუღლეს როგორ ვუყვარვარ. მეც ძალიან მიყვარს. ეჭვი არ მეპარება, ასე იქნება სიცოცხლის ბოლომდე. ყველა კარგ გოგოს ვუსურვებ ბედნიერებას. იმათაც, ვისაც ჩემი და ჩემი ოჯახის ბედნიერება ნამდვილად ახარებს.

**ნუგზარი:** — ბედნიერი ვარ, მეუღლე მიყვარს. მინდა ეს ყველამ იცოდეს. მე სამხედრო მოსამსახურე, ოფიცერი გახლავართ და კარგად ვიცი მშვიდობის ფასი. მშვიდობას და გამრავლებას გისურვებთ. დიდი მადლობა ყველას. მადლობელი ვარ თქვენი გაზეთის ყურადღების.

მშვიდობა და გამრავლება ვუსურვოთ თოიძე-მიმინოშვილის ახალ ოჯახს.

**ია კალანდარიშვილი.**

**სერგო კურეგიანის ფოტო.**

**გამოგვეხმაურეთ 899-18-51-54, მთელ ქვეყანას ვამცნობთ თქვენს გაბედნიერებას.**

**გასტროლი გადაიდო**

**საბალეტო ხელოვნების მოყვარულებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჟენევის დიდი თეატრის საბალეტო დასის ხილვით და რომელთა გამოსვლებიც დაგეგმილი იყო დღეს და ხვალ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ვაცნობებთ, რომ, სამწუხაროდ, მათ მოლოდინი არ გაუმართლდათ: ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ უამინდობის, კერძოდ შვეიცარიაში დიდთოვლობის გამო ჩაიკეტა გზები, მათ შორის აეროპორტიც. ამიტომ მსახიობები თბილისში ვერ ჩამოფრინდნენ. ცხადია, გასტროლი გადაიდო, მაგრამ რამდენი ხნით, ეს ჯერ ცნობილი არ არის. ამაზე ორგანიზატორები — საფრანგეთისა და შვეიცარიის საელჩოები, ფრანგული კულტურის ცენტრი და ოპერის თეატრი დამატებით გვაცნობებენ.**



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და სტატისტიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სტატისტიკის კათედრის პროფესორი

გიორგი მიხეილის ძე მაზიაშვილი

პანაშვიდი 6, 7 III 16 სთ. დაკრძალვა 8 III 14 სთ. ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. IV კორპ. მე-7 სად. მე-7 სართული.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს უზენაესი სასამართლოს თანამშრომელს ირინა სადაღაშვილს დედის

მილა სადაღაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ციალა კანდელაკი, შვილები მანანა, გია, რძალი ნატა ნიჟარაძე, სიძე მერაბ არობელიძე, შვილიშვილები გიორგი, თათია არობელიძეები, ოთიკო, ლევან კლდიაშვილები, ძმები ბუდუ, ალიკო, ბიჭიკო, ზურიკო კლდიაშვილები ოჯახებით, ბიძაშვილები ოჯახებით, მძახლები ეთერ ქავთარაძე, ირა ხერკი, თემა ახობაძე, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ანტონის ძე კლდიაშვილი

პანაშვიდი 5 III, დაკრძალვა 6 III 2 სთ. ლერმონტოვის ქ. №15.

---

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი ნამდვილი წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჰამლეტ გიორგაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი მარინა, და ელენე კოშაძე, შვილიშვილები ნინო, ვანიკო სადაღაშვილები, სიძეები გოგი სადაღაშვილი, შოთა შანიძე, დიმიტრი მიშველიძე, შვილთაშვილები, რძალი ჯენეტი გოგიჩაშვილი, ძმისწულები, დისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ შიოს ასული კოშაძე-ათანელიშვილი

პანაშვიდი 4,5 III 17 სთ. მისამართი ქ. თბილისი წყნეთის ქუჩა II კორპუსი, III სადარბაზო, ბინა №47. დაკრძალვა 6 III 14 სთ. ქალაქი გორი.

---

შპს „ფოპტნეტის“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს შპს „ვანექსის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს, ბატონ მერაბ ფაჩულიას მამის

შოთა ფაჩულიას

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი თანაგრძნობას უცხადებს ინსტიტუტის თანამშრომელს ლენა სომოვას დედის

ოლგა ჩიაურელის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება“ იუწყება, რომ გარდაიცვალა

ქეთევან რუბენის ასული ჩიჩინაძე-დოლიძისა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 6 III 15 სთ. ბარნოვის ქ. №42ა.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

## ვაიმე, ენავ!

# რიცხვისა მრავლობითისა გამო

**რათა ერთ პრეცედენტს სხვა მახინჯი ფორმებიც არ მოჰყვეს...**

**დროის მოტანილმა, ყოვლისმომცველმა და მოდურმა თუ მოდად ქცეულმა, მაგრამ უშუალოდ ხალხისთვის ჯერჯერობით ბევრი ვერაფერი სიკეთის შემმატებელმა რეფორმებმა საგამოცდო მექანიზმებსაც მიაკითხა.**

**იგივე დრო გვიჩვენებს (თანაც სულ მალე), თუ რამდენად გაამართლებს „ტესტობანა“ საზაფხულო მისაღებ გამოცდებზე, მაგრამ 30-ლარიანი „საწევრო“ უკვე ერთგვარ ეჭვს აჩენს — ფულის მოსაზიდად ხომ არ არის შემოღებული (აბიტურიენტთა მრავალათასიანი კონტინგენტის გათვალისწინებით, კაი ძალი თანხა უნდა შემოვიდეს!) და „ლეგიტიმურ“ კორუფციასთან ხომ არ გვაქვს საქმე („ბევრი ვერაფერი სიკეთე“, თუნდაც მედიცინის სფეროს მაგალითზე წამომცდა — იქ გატარებული რეფორმები, არსებითად, მკურნალობის, კერძოდ, ოპერაციების და მედიკამენტ-წამლების ფასების არნახული ავარდნით გამოიხატა ჯერჯერობით...)?**

ეს — „სხვათა შორის გითხარით, სალაპარაკოდ კი არა...“ სალაპარაკო, როგორც ერთ-ერთ გულშემატკივარს, სხვა მაქვს, ის, მშობლიურ ენას რომ შეეხება...

ახლა ტელევიზია და პრესა დიდ ყურადღებას უთმობენ „რეფორმირებულ“ მისაღებ გამოცდებს (ღმერთმა ქნას, დეფორმირებული არ გამოვიდეს...) და ეკრანზეც და გაზეთების ფურცლებზეც გაჩნდა ცნება „უნარების ტესტი“. მეც გამიჩნდა კითხვა — შეიძლება თუ არა „უნარის“ მრავლობით რიცხვში ჩაყენება?

ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ეს წვრილმანი იყოს. ჩვენ უკვე მოვამრავლეთ ინიციატივა (ინიციატივები!), თავისუფლება (თავისუფლებები!) და რამდენიმე სხვა, თითქოს „არაგამრავლებადი“ სიტყვა.

საქმე ის არის, რომ კანონპროექტებს ხშირად რუსულიდან ან ინგლისურიდან გადმოვიღებთ ხოლმე და არცთუ იშვიათად, უხეირო თარგმანით. ეგებ რუსულში შეხვდათ тест способностей და „უნარების ტესტი“ ასე „გააკეთეს“?

საქმე ის არის, რომ დიდი რუსული ენა გაცილებით უფრო „მიდრეკილია“ მრავლობითი რიცხვის წარმოებისაკენ, ვიდრე ქართული: умы, мозги, дарования, ворота... საბერძნეთის დედაქალაქსაც კი მრავლობითში წარმოთქვამენ — Афины, მაგრამ ეს მათი საქმეა! არც ერთ ამ სიტყვას ქართველები მრავლობითში არ ვიყენებთ...

ერთ ცნობილ სპეციალისტს ვკითხე აზრი „უნარების“ თაობაზე და ასე დამისაბუთა: უნარი სხვადასხვანაირია და მრავლობითიც ამიტომ არის აღებულიო. ამ ლოგიკით, ჭკუაც სხვადასხვაა, ტვინიც და, რა ვქნათ, „ჭკუები“ და „ტვინები“ ვიხმაროთ?...

**შეიძლება მკითხველმა თქვას — ნეტავ ჩვენს ქართულ სალაპარაკო ენას უარესი არ სჭირდეს და „უნარებს“ კიდევ მოითმენს კაციო. უარესი როგორ არა სჭირს, მაგრამ ეს „უნარების ტესტი“ დაკანონდება, ოფიციალურ ტერმინად იქცევა (თუ უკვე არ იქცა), დოკუმენტებში შევა და ეგებ ღირდეს დაფიქრება, დავუშვათ ეს თუ არა. ამ პრეცედენტს ხომ სხვა მახინჯი ფორმებიც მოჰყვება...**

**თამაზ ეზანოიძე.**

## ინფორმაცია

### ბაღაფშმა არ იცის, მოსკოვში ვისთან ერთად გაემგზავრება

**აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა ჯერ არ იცის, 9 მარტს მოსკოვში მარტო გაემგზავრება, თუ ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთან ან პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბთან ერთად.**

დაზუსტებული ინფორმაციით, აფხაზური მთავრობის შემადგენლობის დაკომპლექტების პროცესმა პრეზიდენტ ბაღაფშსა და ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შორის დაპირისპირება გაამწვავა.

ხაჯიმბა უკმაყოფილოა იმით, რომ პრეზიდენტი ბაღაფში არ ასრულებს 2004 წლის 6 დეკემბერს მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, მას ძალოვანი და საგარეო საქმეთა მინისტრების დანიშვნა და ამ უწყებების კურირება ევალებოდა.

თუ ბაღაფში ხაჯიმბას მოსკოვში მასთან ერთად გამგზავრებას არ შესთავაზებს, სოხუმის სახელისუფლებო წრეებში არ გამორიცხავენ, რომ ვიცე-პრეზიდენტ ხაჯიმბას რუსეთის დედაქალაქში ვიზიტი პრეზიდენტ ბაღაფშისგან დამოუკიდებლად განხორციელდეს.

**ინტერ-პრესი.**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika